„მოთხოვნების“ ერთ-ერთი ასპექტი მჭიდროდაა დაკავშირებული აუცილებლობასთან; ეს ნიშნავს, რომ ჩვენ ვიცით, თუ რა არის საჭირო იმისათვის, რომ იყო ადამიანი. უფრო მეტიც, ეს წარმოადგენს უნივერსალურია. ეს იმას არ ნიშნავს, რომ შეიძლება ჩამოიწეროს მინიმალური და მაქსიმალური მოთხოვნების სია, რომელიც საერთო იქნება ყველა ადამიანისთვის ნებისმიერ დროს და ნებისმიერ სოციალურ სივრცეში. უფრო სწორი იქნება თუ ვისაუბრებთ მოთხოვნების განსაზღვრულ კლასებზე, როგორცაა: „უსაფრთხოების მოთხოვნა“, „კეთილდღეობის მოთხოვნა“, „იდენტურობის მოთხოვნა“, „თავისუფლების მოთხოვნა.“ აღნიშნული კლასიფიკაციის გამოყენებით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ნებისმიერ დროში და ნებისმიერ სივრცეში ადამიანები ცდილობდნენ რაღაც ამდაგვართან წინააღმდეგობაში მოსვლას. დროის ნებისმიერ მონაკვეთში ადამიანების საქმეებისა და მოთხოვნების საფუძველზე შესაძლებელია შევადგინოთ ადამიანის მოთხოვნების სია. ბუნებრივია, ამგვარი სიები ბევრი იქნებოდა. შესაბამისად მათ საფუძველზე, შესაძლებელი იქნება ადამიანის საერთო მოთხოვნების განსაზღვრა.

როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ „რაღაც უნივერსალურის“ შესახებ, აქ იგულისხმება მოთხოვნა და არა მისი დაკმაყოფილების საშუალება; დაკმაყოფილების საშუალებები შეიძლება უფრო მრავალფეროვანი იყოს, ვიდრე თვითონ მოთხოვნები. არ არსებობს ყველა მოთხოვნების დაკმაყოფილების უნივერსალური საშუალებები. ზოგიერთი მოთხოვნების დაკმაყოფილება შეუძლებელია ემპირიული იშვიათობის გამო; ისეთი მოთხოვნებისაც კი, რომელიც ერთ პიროვნებას გააჩნია. არსებობს „ბატონობის მოთხოვნა“, „დაქვემდებარების მოთხოვნა“, „მოთხოვნა, რომ ადამიანი იყოს თავის მეზობელზე უფრო განათლებული ან უფრო ჯანმრთელი“, „პოზიციური მოთხოვნა“, რომლებსაც სხვადასხვა მიზეზების გამო ყველა ვერ იკმაყოფილებს.

ჩვენი დაინტერესების საგანს წარმოადგენს „ადამიანის მოთხოვნები“. ამ ტერმინში იგულისხმება მოთხოვნები, რომლებიც თავს იყრიან ერთ პიროვნებაში. მოთხოვნების სუბიექტი არის ადამიანი, მაგრამ მოთხოვნების დაკმაყოფილების საშუალებებს, იმ აუცილებელ „რაღაცეებს“ ყველა ინდივიდი არ იზიარებს ან შეიძლება იზიარებდეს მხოლოდ გარკვეულ სოციალურ კონტექსტში. პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ტერმინი „მოთხოვნა“, მხოლოდ სუბიექტთან მიმართებაში არ გამოიყენება; ხშირად საუბრობენ „ეროვნულ მოთხოვნებზე“ (ქვეყნის პრესტიჟი), „სოციალურ მოთხოვნებზე“ (მაგ.; ქალაქში კარგი წყალგაყვანილობის არსებობა), „ჯგუფის მოთხოვნებზე“ (მაგ.: შეხვედრების ადგილის არსებობა). აქ საუბარი არ არის იმაზე, რომ არ არსებობს ამ სოციალური ერთობების ან მოქმედების ფუნქციონირების პირობები, ტერმინი „მოთხოვნა“, გამოიყენება მხოლოდ მოთხოვნების სუბიექტთან მიმართებაში, ხოლო ერთადერთი სუბიექტი, რომელიც ჩვენთვის ცნობილია, არის ადამიანი. I ზის ონლყ ინ ტჰემ ტჰატ ტჰე “ცლიცკ ოფ ცორრესპონდენცე” ბეტწვენ ნეედ სატისფიერ ცან ბე ეხპერიენცედ. ადამიანებს მოთხოვნების შესახებ წარმოადგენს სოციალურ კონტექსტში უვითარდებათ, მათი უმრავლესობა საკუთარ მოთხოვნებს სოციალურ კონტექსტში იკმაყოფილებს, ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს იმ ფაქტს, რომ ჯგუფებს, ქალაქებს და ქვეყნებს არ გააჩნიათ გონება, რომლითაც შეძლებდნენ საკუთარი მოთხოვნების გაცნობიერებას. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ამგვარ სოციალურ ერთობებს გააჩნიათ ის სურვილები და მოთხოვნები, რომლებიც მათ მმართველ ელიტებს ახასიათებთ.

ტერმინი „ძირითადი“ გამოიყენება მოთხოვნების ცნების განსაზღვრად, შემდეგ ასპექტში: ნებისმიერი მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს იმისათვის, რომ მოთხოვნების სუბიექტმა იფუნქციოს, როგორც პიროვნებამ. როდესაც ძირითადი მოთხოვნები დაუკმაყოფილებელია, წარმოიქმნება ფუნდამენტური დეზინტეგრაცია. ეს არ არის ობსკურუმ პერ ობსკურიუმ განსაზღვრება, რადგან ჩვენ ფუნდამენტურ დეზინტეგრაციას ასე თუ ისე ვიცნობთ. ინდივიდის დონეზე ისინი ვლინდება სიკვდილიანობასა და დაავადებებში; უკანასკნელი იყოფა ორ კატეგორიად – სომატური და ფსიქიკური დაავადებები. მიუხედავად იმისა, რომ მოთხოვნები ინდივიდუალურია, მათი დაუკმაყოფილებლობის შედეგად წარმოშობილი დეზინტეგრაცია აუცილებლად ინდივიდუალურ დონეზე არ ვლინდება. ის შეიძლება გამოვლინდეს სოციალური დეზინტეგრაციის სახითაც.

სოციალური დეზინტეგრაციის ორი ტიპი შეიძლება განისაზღვროს „დულილისა“ და „გაყინვის“ მეტაფორული გამოყენებით: ერთი მხრივ, არსებობს ისეთი საზოგადოება, რომელიც განიცდის აპათიას, ნაკლებად აქტიურია საერთო საქმიანობაში; მეორე მხრივ, კი არის საზოგადოება, რომელიც ზედმეტად აქტიური და წინააღმდეგობრივია. ისევე, როგორც ადამიანის ბიოლოგიური სიკვდილი, სოციალური დეზინტეგრაცია უცილობლად სავალალო არ არის: ამით ბოლო ედება იმას, რაც უკვე სიცოცხლისუნარიანი აღარ არის. ზემოთაღნიშნული ორივე მაგალითი დეზინტეგრაციის ნიშანია. ნაკლებად საინტერესოა იმის გარკვევა, თუ რომელი მათგანია სოციალური დეზინტეგრაციის მიზეზი: ის, რომ ადამიანის მოთხოვნები საკმარისად არ არის დაკმაყოფილებული, თუ ის, რომ საზოგადოებას დეზინტეგრაციის გამო არ შეუძლია ადამიანის მოთხოვნების დაკმაყოფილება. ალბათ, ეს ორი მოვლენა ერთი და იმავე პროცესის ნაწილია. ჩვენი აზრით, სოციალური დეზინტეგრაცია იმის მაჩვენებელია, რომ კონკრეტულ ისტორიულ პერიოდში ადამიანის ძირითადი მოთხოვნები არ კმაყოფილდება.

ყველაფერი, რაც ამ ქვეთავში ითქვა ერთი ფაქტის მაჩვენებელია: მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ არ გვინდა „მოთხოვნების“ განსაზღვრების მკაცრ ჩარჩოებში მოქცევა, ეს ტერმინი თავისუფლად არ უნდა გამოიყენებოდეს. ეს გამოიწვევს „მოთხოვნების“ განსაზღვრის პრობლემას, რადგან ინდივიდს თავად არ შეუძლია მოთხოვნების განსაზღვრა. ბოლოს გვინდა აღვნიშნოთ, რომ მოთხოვნებებში ვგულისხმობთ ძირითად ადამიანურ მოთხოვნებებს, რადგან „მოთხოვნები“ არის (1) „ადამიანური“ და (2) „ძირითადი“.

### **ადამიანის ძირითადი მოთხოვნების ტიპოლოგიის შესახებ**

ზემოთ ჩვენ შევეხეთ განსხვავებას „მატერიალურ“ და „არამატერიალურ“ მოთხოვნებებს შორის. ამ განსხვავების დაზუსტების ორი გზა არსებობს: მოთხოვნების სუბიექტთან და მოთხოვნების დაკმაყოფილების საშუალებასთან მიმართებაში განსაზღვრა. პირველი უკავშირდება მოთხოვნების სუბიექტს, მეორე დაკმაყოფილების საშუალებას.

არსებობს ტრადიცია, რომლის მიხედვითაც შეიძლება განვასხვაოთ ადამიანის სხეული და ტვინი და, შესაბამისად, სომატური და ფსიქიკური (სულიერი) მოთხოვნები. ერთ-ერთი სირთულე ამ განსაზღვრისას არის ის, რომ სხეული და ტვინი ერთმანეთთან დაკავშირებულია. არის თუ არა, თუნდაც უგემური საჭმლის მიღებისა და ცუდ კომპანიაში ყოფნის პროცესი მხოლოდ სომატური მოთხოვნების დაკმაყოფილება? რა თქმა უნდა, არსებობს პროცესები, რომლებიც მხოლოდ სომატურია, მაგრამ ჭამის პროცესში შიმშილის გრძნობა მცირდება, კმაყოფილება იზრდება და ეს სულიერი თუ არა, მენტალური მოვლენა მაინცაა. თუმცა, სხეულსა და ტვინს შორის განსხვავება ჩვენ აქ დიდად ვერ დაგვეხმარება. მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე დამყარებული განსხვავებაც პრობლემატურია. შედარებით ადვილი გასაგებია, თუ რა არის მატერიალური მოთხოვნების დამაკმაყოფილებელი საშუალება: პოლიციისა და სამხედრო ტექნიკა, საკვები, ტანსაცმელი,



თავშესაფრები, სამედიცინო ტექნიკა, სასკოლო ინვენტარი, სატრანსპორტო-საკომუნიკაციო საშუალებები. ყველა ეს საგანი იშვიათია და ამიტომ ექვემდებარება პრინციპს, “თუ შენ ჩემზე მეტი გაქვს, მაშინ მე შენზე ნაკლები მაქვს და პირიქით“.

არსებობს არამატერიალური მოთხოვნილებების დამაკმაყოფილებელი საშუალებები, რომლის მაგალითია სოციალური სტრუქტურები. ადამიანებმა ერთად ყოფნის მოთხოვნილება რომ დაიკმაყოფილონ, ტელეკომუნიკაციებს ვერ გამოიყენებენ. მარტო ყოფნის სურვილის დასაკმაყოფილებლად გეოგრაფიული დაშორება საჭირო არ არის, მაგრამ სასურველი და დამაკმაყოფილებელია. ორივე შეიძლება განვიხილოთ, როგორც “ადამიანის დასახლების მაგალითი“ და მიეკუთვნოს “სტრუქტურული მოწყობის“ კატეგორიას. პირველი მაგალითი მეორისგან განსხვავებით დიდ გეოგრაფიულ სივრცეს არ საჭიროებს, გეოგრაფიული სივრცე იშვიათია, თუ გავითვალისწინებთ დედამიწის სასრულობას. ყოველთვის არსებობს მატერიალური შეზღუდვები და აქედან გამომდინარე შესაძლებლობებიც შეზღუდულია.

როგორ შეიძლება ადამიანების კლასიფიცირება? შეიძლება ვამტკიცო, რომ ჩემი მეუღლე კი არ არის “მოთხოვნილებების დამაკმაყოფილებელი“, არამედ მისი სიყვარული, მისი თვალის გამომეტყველება, მისი ხმა, ჩვენი გრძნობა, როდესაც სავსე მთვარეს შევყურებთ. რა თქმა უნდა, ძნელია ამის განსაზღვრა, როგორც მატერიალურისა, მაგრამ, ნამდვილად ექვემდებარება პრინციპს, “თუ მე მაქვს მეტი, ვილაცას ექნება ჩემზე ნაკლები“. ამავე დროს, თუ მე სიყვარულის უფრო დიდი უნარი და შესაძლებლობა მაქვს, ეს არ ნიშნავს, რომ ვილაცას ჩემზე ნაკლები უნდა ჰქონდეს. ეს სიმართლეა და თანაც ძალიან მნიშვნელოვანი. მე შეიძლება დაინტერესებული ვიყო სიყვარულით, კონკრეტულ შემთხვევაში და არა ზოგადად. ლიტერატურა და ადამიანების გამოცდილება ადასტურებს, რომ აქ იშვიათობის პრინციპია ჩაბმული. ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ არამატერიალური მოთხოვნილებების სფეროც ხასიათდება იშვიათობით.

როგორც მოთხოვნილებები, ისე მათი დაკმაყოფილების საშუალებები მუდმივად არ არსებობენ. ისინი წარმოიქმნება სოციალურ კონტექსტში და მასზეა დამოკიდებული. ნებისმიერი სოციალური კონტექსტი შეიძლება განხილულ იქნას ორ ასპექტში – მომქმედთა ჯგუფი და სტრუქტურების ერთობლიობა. აუცილებელია, განვასხვავოთ მომქმედებზე დამოკიდებული და სტრუქტურებზე დამოკიდებული მოთხოვნილებები. მომქმედზე დამოკიდებული მოთხოვნილება ისეთი მოთხოვნილებაა, რომელიც დამოკიდებულია მოტივაციასა და მომქმედის შესაძლებლობაზე - ხელი შეუწყოს ან შეუშალოს მოთხოვნილების განხორციელებას; სტრუქტურაზე დამოკიდებული მოთხოვნილება ისეთი მოთხოვნილებაა, რომლის განხორციელების დონეც სოციალური სტრუქტურისთვისაა დამახასიათებელი, მის ავტომატურ შედეგს წარმოადგენს და არ არის დამოკიდებული კონკრეტული მომქმედის მოტივაციასა და შესაძლებლობებზე. ამ ორ კატეგორიას შეიძლება მესამეც დაემატოს – ბუნებაზე დამოკიდებული შესაძლებლობები. სოციალური ანალიზისთვის განვიხილოთ, თუ როგორ გავლენას ახდენს სოციალური კონტექსტი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასა თუ დაუკმაყოფილებლობაზე.

**ცხრილი 1.1**

**ადამიანის ძირითადი მოთხოვნილებების ტიპოლოგია**

	მომქმედებზე დამოკიდებული	სტრუქტურაზე დამოკიდებული
მატერიალური	უსაფრთხოება/ძალადობა	კეთილდღეობა/სიღუხჭირე

ცხრილში მოყვანილი მოთხოვნილებების ოთხი ტიპი ზემოაღნიშნულ ორ განსხვავებას ემყარება. მოთხოვნილებების დაყოფა მომქმედებზე და სტრუქტურაზე დამოკიდებულ მოთხოვნილებებად, პრობლემატურია. უსაფრთხოების მოთხოვნილება მატერიალურს მივაკუთვნეთ, რადგან პოლიციისა და სამხედრო უზრუნველყოფა, უსაფრთხოების სფეროს ეხება. საფრთხე შეიძლება მოდიოდეს უნარიანი მომქმედების მზაკვრული მოტივაციიდან. უსაფრთხოების მოთხოვნილება შეიძლება სტრუქტურაზე დამოკიდებული გახდეს, რადგან სტრუქტურას გააჩნია შესაძლებლობა უზრუნველყოს მისი წევრები გარკვეული მექანიზმებით, რათა მათ შემდგომში მოახდინონ რეაგირება თავდასხმაზე ძალადობრივად ან არაძალადობრივად. საფრთხე შეიძლება ასევე წარმოიშვას სტრუქტურიდან – მაგალითად ექსპლოატატორული ურთიერთობები ზოგადად ჯგუფსა და კონკრეტულად საზოგადოებას შორის. ამავე დროს საფრთხის წარმოქმნაზე ორივე ფაქტორმა შეიძლება იმოქმედოს (ეს, როგორც წესი, ასე ხდება ხოლმე): სტრუქტურები წარმოშობენ „ბოროტ“ მომქმედებს და შემდეგ მომქმედები ბოროტად იყენებენ ცუდ სტრუქტურას.

ტიპოლოგია შეიძლება პრაქტიკულადაც გამოვიყენოთ მოთხოვნ-ნილებების დამაკმაყოფილებლესა და მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებული პრობლემების გადასაწყვეტად. მაგალითად, როდესაც ხალხი შიმშილობს, შეუძლებელია მომქმედის დადანაშაულება, ამის მიზეზი შეიძლება იყოს სტრუქტურა, რომელიც არათანასწორად ანაწილებს ბუნებრივ და ადამიანურ რესურსებს. იგივე შეიძლება ითქვას გაუცხოებაზეც: ეს არის სოციალური კონტექსტის შედეგი. რეპრესია განსხვავებულია: ადამიანის უფლებებში წარმოდგენილი ფორმები მომქმედებზეა დამოკიდებული. ცხრილში 1.1 მოთხოვნილებები ტიპებად არის დაყოფილი. ცხრილში 1.2 ჩვენ შევეცადეთ ეს მოთხოვნილებები მიგვესადაგებინა მდიდარ, ინდუსტრიულ ქვეყნებთან. ცხრილ 1.2 ჩამოთვლილ მოთხოვნილებათა სიას დასავლური ხასიათი აქვს და, შესაბამისად, გამოგვადგება დასავლეთის საზოგადოებების პრობლემების განსახილველად. ჰიპოთეზა მდგომარეობს იმაში, რომ დამაკმაყოფილებლები უზრუნველყოფენ მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ცხრილის შედგენისას სისტემატური ემპირიული გამოკვლევები არ ჩატარებულა. ჩვენ ეს ცხრილი შევადგინეთ იმისთვის, რათა გიჩვენოთ თუ როგორ შეიძლება მოლაპარაკებების გაადვილება მოთხოვნილებების დაკმაყოფილების გზით.

### არსებობს თუ არა მოთხოვნილებების იერარქია?

მოთხოვნილებების შესახებ არსებულ ლიტერატურაში, მეტნაკლებად გარკვევით არის ჩამოყალიბებული მოთხოვნილებების იერარქია. განასხვავებენ “ფიზიოლოგიურ” ანუ “ცხოველურ” მოთხოვნილებებს (უფრო სომატური ან მატერიალურია), რომლებიც იერარქიის პირველ საფეხურზეა და ფსიქიკური ანუ სულიერი მოთხოვნილებები (სხვანაირად რომ ვთქვათ, პიროვნული და თავისუფლების მოთხოვნილებები), რომლებიც იერარქიის შემდეგ საფეხურზე დგას. ეს თეზისი შეიძლება მივაკუთვნოთ აქსიოლოგიურ თეზისს (თუ მოთხოვნილებები ამაღლებულია უფრო ნაკლებად არის ცხოველური); შეიძლება მივაკუთვნოთ ემპირიულ თეზისს ( ფაქტობრივად, ხდება უფრო დაბალი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება); შეიძლება მივაკუთვნოთ ნორმატიულ თეზისსაც (ამაღლებული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებამდე, ყურადღება უნდა მიექცეს დაბალ მოთხოვნილებებს). ამგვარი თეზისი საშიშროებას უქმნის „ადამიანის ძირითადი მოთხოვნილებებისადმი მიდგომას“, რადგან ზღუდავს მისი განვითარების შესაძლებლობებს. ნებისმიერი ამგვარი თეზისი არამარტო ზღუდავს კულტურულ მრავალფეროვნებას, არამედ—ადამიანთა მრავალფეროვნებასაც თავად კულტურის შიგნით და თითოეული პიროვნების სიცოცხლის

განმავლობაში. მოსაზრება იმის შესახებ, რომ არამატერიალური მოთხოვნილებები „უფრო ამადლებულია“, ვიდრე მატერიალური მოთხოვნილებები შეიძლება განვიხილოთ, როგორც ინტელიგენციისა და ასკეტების მიმართ მინიჭებული პოზიციის დაკანონება.

## ცხრილი 1.2

ადამიანის ძირითადი მოთხოვნილებების სია: მოქმედი ჰიპოთეზა

ზოგიერთ საზოგადოებაში არსებული დამაკმაყოფილებლები	
უსაფრთხოების მოთხოვნილებები (გადარჩენის მოთხოვნილება)	– ძალადობის თავიდან აცილება
– ინდივიდუალური პირების წინააღმდეგ ჩადენილი	პოლიცია
ძალადობის (თავდასხმა, წამება) თავიდან აცილება – კოლექტიური ძალადობის თავიდან აცილება (საშინაო და საგარეო ომები)	სამხედრო
კეთილდღეობის მოთხოვნილებები –სიღარიბის თავიდან აცილება (უზრუნველყოფის მოთხოვნილებები)	
–საკვებით, წყლით, ძილით და ჰაერით უზრუნველყოფა	საკვები, წყალი, ჰაერი
–მოდრაობა და გამოყოფა	ფიზიკური თავისუფლება
–კლიმატისა და გარემოსგან დაცვა	ტანსაცმელი, თავშესაფარი
–დაავადებისგან დაცვა	მკურნალობა
–ზედმეტი დაძაბულობისგან დაცვა	შრომის დაზოგვა
–თვითგამონატვა, დიალოგი, განათლება	სწავლა
პიროვნული მოთხოვნილებები (სიანჭლოვის მოთხოვნილება) – გაუცხოების თავიდან აცილება	
–თვითგამონატვა,შემოქმედებითობა, პრაქტიკა, სამუშაო	სამუშაო ადგილები
–თვითაქტუალიზაცია, პოტენციალის რეალიზაცია	სამუშაო ადგილები, დასვენება
–კეთილდღეობა, ბედნიერება, სინარული	რეკრეაცია, ოჯახი
–აქტიურობა და სუბიექტობა; არაპასიურობა, კლიენტად და ობიექტად არყოფნა	რეკრეაცია, ოჯახი
–გამოწვევა და ახალი გამოცდილება	რეკრეაცია
–მოხიბვლა; სიყვარული; სექსი; მეგობრები; ქორწინება; რეპროდუქცია	პირველადი ჯგუფები

– საფუძველი, მიკუთვნებულობა, მხარდაჭერა, შეფასება, მსგავს ადამიანებთან გაერთიანება	მეორადი ჯგუფები
–სოციალური ძალების გაგება, სოციალური გამჭვირვალობა	პოლიტიკური საქმიანობა
–ბუნებასთან სიახლოვე	ბუნებრივი პარკები
–მიზნის არსი, ცხოვრების მნიშვნელობა, ზებუნებრივ ძალებთან სიახლოვე	რელიგია, იდეოლოგია
თავისუფლების მოთხოვნილება (თავისუფლება რაღაცისთვის; არჩევანი)	–ზეწოლის თავიდან აცილება
–ინფორმაციისა და აზრის მიღებისა და გამოხატვის არჩევანი	კომუნიკაცია
–ადამიანებისა და ადგილების ნახვისა და დათვალიერების არჩევანი	მოგზაურობა
–ცნობიერების ფორმირების არჩევანი	შეხვედრები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები
–მობილიზაციის არჩევანი	ორგანიზაციები, პარტიები
–კონფრონტაციის არჩევანი	არჩევნები
–პროფესიის არჩევანი	შრომის ბაზარი
–საცხოვრებელი ადგილის არჩევანი	?
–მეუღლის არჩევანი	საქორწინო ბაზარი
–საქონლისა და მომსახურების არჩევანი	(სუპერ) მარკეტი
–სიცოცხლის არჩევანი	?

მოთხოვნილებების შესახებ თეორიებს ძირითადად ინტელექტუალები აყალიბებენ. ეს საკითხი განხილვას საჭიროებს, მაგალითისათვის უტოპიებიც გამოდგება.

ეს იმდენად იერარქიულ თეზისს არ ეხება, რამდენადაც ემპირიულს: თუ ემპირიულად დამტკიცდა, რომ ადამიანები ჯერ მატერიალურ მოთხოვნილებებს იკმაყოფილებენ და შემდეგ არამატერიალურს, მაშინაც კი, როდესაც მათ არავინ აიძულებს ამგვარად მოქცევას, დასკვნა ძალზე მნიშვნელოვანი იქნება. ემპირიული თეზისი ადამიანის ქცევის წესების დასადგენად საკმარისად საფუძვლიანი არ არის. ხალხს სურს, განიცდიდეს ძალადობასა და უბედურებას და სიცოცხლის ფასად იბრძოლოს თავისუფლებისა და პიროვნული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ეს თეზისი საფუძვლიანად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ყველაზე დაბალი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისას – უკიდურესი გაჭირვებისას (შიმშილობა, ბუნების ან ადამიანის მიერ მიყენებული ტკივილის განცდა, გამოყოფაზე ან ძირითად სანიტარულ პირობებზე უარის თქმა, მოძრაობაზე უარის თქმა, სექსუალური “შიმშილი“) პრიორიტეტები ნათელია. ასეთ შემთხვევებში ეპითეტი “ცხოველური ქცევა“ ხშირად გამოიყენება. ამას აკავშირებენ ექსტრემალურ ქცევასთან, მაგალითად, საკონცენტრაციო ბანაკის პირობებში.

ჩვენ არ უარყოფთ იმას, რომ ადამიანებში არსებობს ძირითადი ფიზიოლოგიური რეაქციები, რომელსაც ჩვენ განვიხილავთ, როგორც ექსტრემალურ სიტუაციას – რეალურად აკონტროლებს ადამიანის ქცევას. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ:

1. ყველა ადამიანი ნებისმიერ სიტუაციაში აღნიშნული მოთხოვნილებების მაქსიმალურად დაკმაყოფილებას ცდილობს ან ყოველ შემთხვევაში ცდილობს დააკმაყოფილოს ეს მოთხოვნილებები და ნაკლებად აქცევს ყურადღებას სხვა მოთხოვნილებებს.
2. ეს არ ნიშნავს იმას, რომ არამატერიალური მოთხოვნილებები ამ დროს ადამიანში არ არსებობს. უბრალოდ ისინი მეორე პლანზე იწვევენ, სანამ გაჭირვების დაძლევა არ მოხდება.
3. ეს არ ნიშნავს, რომ გაჭირვებისას ყველა ადამიანს მოქმედების ერთნაირი ლიმიტები აქვს. არსებობს მოსაზრება, რომ სხვადასხვა კულტურულ გარემოში მცხოვრებ ადამიანებს ფიზიოლოგიური გაჭირვების ატანის განსხვავებული შესაძლებლობა აქვთ. ასეა თუ ისე, ეს ცნობიერების წვრთნისა და პრაქტიკის შედეგია.

მრავალფეროვნების მხრივ ყველაზე საშიში არის ნორმატიული თეზისი. შესაძლო ემპირიული წინამძღვარი ნორმის დონეზეა აყვანილი და შესაძლებელია ჰქონდეს პოლიტიკური შედეგები. თეზისის არსი, ფაქტობრივად, შემდეგში მდგომარეობს: ინდივიდუალურ და ჯგუფურ დონეზე კონკრეტული პოლიტიკა და სტრატეგია დროში თანამიმდევრულად უნდა დალაგდეს. პრიორიტეტული უნდა იყოს, ჯერ მატერიალური და შემდეგ არამატერიალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. ნორმატიული თეზისი შეიძლება გახდეს არამატერიალური მოთხოვნილებების მიმართ უყურადღებობის წინაპირობა და ამის არგუმენტად შეიძლება მოჰყავდეთ ის ფაქტი, რომ „არამატერიალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების დრო ჯერ არ მოსულა“. ამის შედეგად ინდივიდუალურ და ჯგუფურ დონეზე არამატერიალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება შეიძლება გაურკვეველი დროით გადაიდოს.

პრაქტიკაში ამ თეზისის გამოყენებამ შეიძლება ხელი შეუწყოს ისეთი პოლიტიკის გატარებას, რომელიც ეკონომიკურ კეთილდღეობასა და უსაფრთხოებას გაუცხოებისა და რეპრესიის ხარჯზე უზრუნველყოფს. პრობლემა მხოლოდ იმაში არ მდგომარეობს, რომ არამატერიალური მოთხოვნილებები იერარქიის დაბალ საფეხურზეა დაყვანილი. ის სტრუქტურები, რომლებიც მატერიალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას უზრუნველყოფენ, შემდგომში ხელს შეუშლიან არამატერიალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას.

მოთხოვნილებების თეორია ცდილობს თანამედროვე საზოგადოებაში აღნიშნული ხარვეზების გამოსწორებას. საზოგადოება, რომელსაც არ შეუძლია მოსახლეობის მატერიალური თუ არამატერიალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, შეიძლება მისაღები იყოს თეორიებისთვის, რომლებიც მათ განსაზღვრავენ, როგორც ისტორიულ პროცესს ან განვითარებისთვის აუცილებელ პირობას. ასეთი თეორიების სახელით შეიძლება გამართლდეს ნებისმიერი დანაშაული და დაკანონდეს ნებისმიერი პრივილეგია. ამის გასამართლებლად კი შეიძლება მოყვანილ იქნას ის არგუმენტი, რომ ეს არის “ისტორიული აუცილებლობა” ან “ერთადერთი ისტორიული შესაძლებლობა განვითარების მოცემულ ეტაპზე”.

მოთხოვნილებების თეორია უნდა იყოს ადამიანის არსის შეცნობის საფუძველი და უნდა მოითხოვდეს ისეთი სტრუქტურების არსებობას, რომლებიც ამ არსს პატივს სცემენ. ეს არგუმენტი არ ეწინააღმდეგება გარკვეული პრივილეგიების არსებობას. უბრალოდ, არ უნდა არსებობდეს მოთხოვნილებების ისეთი თეორია, რომელიც საყოველთაოს გახდის და დააკანონებს გარკვეულ პრიორიტეტებს და შეზღუდავს მრავალფეროვნებას. უფრო მეტიც,

მოთხოვნილებათა თეორია უნდა იყოს გარკვეული გაფრთხილება, რათა საზოგადოების სხვადასხვა ფენაში არ მოხდეს ძირითადი მოთხოვნილებების უკანა პლანზე გადაწევა. იერარქიის თეზისი შეიძლება სტატუს-ქვო გახდეს სტრუქტურულ ასპექტში. იერარქიული თეზისის მეშვეობით დიდი ყურადღება მიექცა გაჭირვების დაძლევის, რაც რეალურად გამოწვეული იყო უთანხმოებით, რომელიც არსებობდა არამატერიალური მოთხოვნილებებისა და მათი დაკმაყოფილების საშუალებების შეუთანხმებლობის გამო.

აუცილებელია, თავიდან ავიცილოთ მოთხოვნილებების იერარქიზაციის დაწესება. ინდივიდებსა და ჯგუფებს გააჩნიათ საკუთარი პრიორიტეტები და წარმოდგენა მოთხოვნილებების შესახებ. მოთხოვნილებების თეორიის მიზანია, რომ მოსახლეობამ თავად განსაზღვროს საკუთარი პრიორიტეტები. განვითარების შემსწავლელი თეორიის მთავარი მიზანი არის შესაძლებლობათა ზღვარის გაზრდა და ეს უფრო ადვილი იქნება, თუ არ იარსებებს მოთხოვნილებების იერარქიული სია. ადამიანებმა თავად უნდა დაადგინონ პრიორიტეტები და თავის თავში დარწმუნებულ ინდივიდებს ყოველთვის ეყოფათ იმის გამბედაობა, რომ ეს საკითხი სხვებთან დიალოგის მეშვეობით მოაგვარონ.

### **მოთხოვნილებები და ვესტერნიზაცია: ათი პრობლემატური საკითხი**

ზოგიერთი საკითხის წინასწარი განხილვის შემდეგ ჩავუღრმავდებით პრობლემატურ საკითხებს. უმთავრესი წინამძღვარი იქნება ის, რომ ადამიანებს გააჩნიათ მოთხოვნილებები. არსებობს ძირითადი დეზინტეგრაცია ან პათოლოგია, რომელიც ვლინდება ინდივიდუალურ-პიროვნულ ან სოციალურ დონეზე, როდესაც მოთხოვნილებები არ არის დაკმაყოფილებული. რადგან გამოყენებულია სიტყვა “ადამიანი“, ამიტომ ეს მოსაზრება უნივერსალურ დონეზე განიხილება. ამავე დროს ის ბევრ რამეს ვერ აზუსტებს: მოთხოვნილებები არ არის დაკონკრეტებული; არსად არ არის საუბარი იმაზე თუ განვითარების რომელ ეტაპზე იჩენს თავს პათოლოგია. ადამიანები უსაზღვროდ მორჩილები არ არიან. ჩვენ გვაქვს მიზნები, რომელთაგან ზოგიერთი ძირითადი მოთხოვნილებების ფორმას იღებს, ეს ადამიანს შეიძლება მეტ-ნაკლებად ჰქონდეს გაცნობიერებული. ინდივიდებისა და ჯგუფების ძირითადი მოთხოვნილებები განსხვავებულია; ისინი მორჩილები არიან და მოთხოვნილებები ადამიანების მიერ გათავისებულია. ინდივიდი მორჩილი არ არის თუ იგი გარკვეული რისკის წინაშე არ დგას. ადამიანი მეტ-ნაკლებად გაცნობიერებულად გარკვეულ გამოთვლებს აკეთებს: ამის აღსანიშნავად გამოიყენება ტერმინი დაკმაყოფილება-დაუკმაყოფილებლობა. სოციალიზაციის თეორიამ შეიძლება დიდი როლი ითამაშოს ნებისმიერ მოთხოვნილებათა თეორიაში, თუ ის არ იქნება დაყვანილი ფსიქოლოგიურ დონეზე, რომელიც სოციალიზაციას დამოუკიდებლად განიხილავს (ისევე როგორც კულტურისგან დამოუკიდებლად). ამის გამო წარმოიქმნება პრობლემა იმისა, რომ ადამიანები შეიძლება განიცდიდნენ სოციალიზაციას საკუთარი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად და ამით ხელი შეუშალონ სხვებს მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში, იქნება ეს ახლანდელი თუ მომავალი თაობა. კონფლიქტების თეორიაც შეიძლება დავაკავშიროთ მოთხოვნილებების თეორიასთან, განსაკუთრებით კი იმ შემთხვევაში, თუ ვიდაც ეძებს განვითარების ისეთ ფორმებს, რომლებიც სხვების პრინციპებს არ ეწინააღმდეგება.

ჩვენ შევეცდებით განვიხილოთ დამოკიდებულება, ერთი მხრივ, მოთხოვნილებების ძალზე ფართო კონცეფციასა და, მეორე მხრივ, “ვესტერნიზაციას“ შორის. ვესტერნიზაცია არის პროცესი, რომელიც ყველაფერს დასავლეთისკენ მიმართავს. ეს არის გარკვეული კოდი, რომელიც ყველა შემხვედრ წინააღმდეგობას კვალს ამჩნევს და თავის სასარგებლოდ გარდაქმნის. ეს კოდი გარკვეულწილად გამოხატულია, როგორც მოსაზრება იმის შესახებ თუ როგორაა ორგანიზებული მსოფლიო და ადამიანთა ურთიერთობები; როგორ ვითარდება ეს ურთიერთობები სოციალურ კოსმოლოგიასთან მიმართებაში. ეს კოდი აგრეთვე მოიცავს

სპეციფიკურ მოსაზრებებს სოციალური სტრუქტურის შესახებ. ამ კოდის აღსაწერად მოვიყვანოთ ორ მოკლე სიას:

**დასავლური სოციალური კოსმოლოგია შემდეგი ნიშნებით ხასიათდება:**

1. დასავლეთზე კონცენტრირებული უნივერსალური დროის კონცეფცია
2. სწორხაზოვანი, აწმყოზე კონცენტრირებული დროის კონცეფცია
3. უფრო ანალიტიკური, ვიდრე პოლისტიკური ეპისტემოლოგიის კონცეფცია
4. ადამიანთა ურთიერთობებში ერთმანეთზე ბატონობის/იერარქიის (მან-ოვერ-მან) კონცეფცია
5. გარესამყაროსთან მიმართებაში ადამიანის ბუნებაზე ბატონობის (მან-ოვერ-ნატურე) კონცეფცია

**დასავლეთის სოციალური სტრუქტურა შემდეგი ნიშნებით ხასიათდება:**

6. მუშაობის ვერტიკალური განაწილება, ცენტრის უპირატესობით
7. ცენტრის მიერ პერიფერიისათვის პირობების წაყენება
8. საზოგადოების შიდა და გარე მხარეების დაყოფა
9. ინდივიდების ერთმანეთისაგან დაშორება
10. ინდივიდების შინაგანი სეგმანტაცია და დაყოფა.

კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ ეს არის მცდელობა მოთხოვნილებების ზოგადი თეორია გაემიჯნოს დასავლეთის “უზუსტობებს”; იგი აკრიტიკებს კონცეფციასაც, რომელიც წინ უდგას დასავლურ კოდს. პრაქტიკასა და თეორიაში მიღწეული შედეგების უმეტესობას დასავლეთის ანაბეჭდი აქვს; ჩვენ შევეცდებით ამოვიცნოთ ეს ანაბეჭდი. ჩვენ არ მიგვაჩნია, რომ მოთხოვნილების კონცეფცია დასავლურია, როგორც ეს ზემოთ აღინიშნა. ჩვენ განვიხილავთ ზემოთ მოყვანილი სიის თითოეულ პუნქტს და შევეცდებით ხაზი გავავლოთ დასავლურსა და ზოგადს შორის. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია პრობლემის დაძლევის მცდელობა.

**1. დასავლეთზე კონცენტრირებული, უნივერსალური დროის კონცეფცია**

დასავლეთი ცდილობს გაავრცელოს და დააკანონოს დასავლეთის ცენტრებში არსებული პროცესები, რომლებიც მას საყოველთაოდ მისაღებად მიაჩნია. ნათელია, თუ როგორ გამოიყენებს დასავლეთი ადამიანის ძირითადი მოთხოვნილებებისადმი მიდგომას. პირველი ნაბიჯი იქნება ძირითადი მოთხოვნილებების სიის შედგენა, რომელიც განსაზღვრავს ადამიანის უნივერსალურ კონცეფციას. ასეთი სიის არსებობის შემთხვევაში, დასავლეთში სერიოზული ცვლილებები არ მოხდება და ხალხი მთელს მსოფლიოში შეეცდება ამ მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. ამით საზოგადოებაში დაინერგება მოთხოვნილებების გარკვეული მოდელი. სამთავრობათშორისო ორგანიზაციების მეშვეობით დასავლეთი შეძლებს თავისი კონცეფციების ინსტიტუციონალიზაციას, დანერგვას და ეს შეიძლება პოლიტიკური რეალობაც გახდეს. დასავლეთმა შეიძლება გამოიყენოს ეს სიები და გაერო—ს ან მასთან დაკავშირებული

ორგანიზაციების მიერ გატარებული რეზოლუციებით ზეწოლა მოახდინოს სხვა ქვეყნებზე და იქ დასავლური მოდელები დანერგოს.

პირველ პუნქტზე პასუხის გაცემა საკმაოდ ადვილია: უნივერსალური სიების ძიების მაგივრად მოხდეს კონკრეტული სიების ძიება. საუკეთესო საშუალება იქნება კონკრეტული ინდივიდის მოთხოვნილებების სიის ძიება მოცემულ დროსა და ადგილზე. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ყოველ მოცემულ კულტურაში შეინიშნება ინდივიდთა მოთხოვნილებების გარკვეული ერთობლიობა დროსა და სივრცეში.

## 2. სწორხაზოვანი, აწმყოზე კონცენტრირებული დროის კონცეფცია

ამ საკითხთან დაკავშირებით ორი პრობლემა არსებობს: დასავლეთის გარკვეული დროის და სივრცითი იმპერიალიზმი. ძირითადი ლოგიკა შემდეგში მდგომარეობს: დასავლეთის საზოგადოების ამსახველი მოთხოვნილებები ყველა დროში მისაღები უნდა იყოს – სხვანაირად რომ ვთქვათ, ეს ფენომენი დროის ჩარჩოებში არ განიხილება. ისტორია განიხილება, როგორც ამ მოთხოვნილებების თანდათანობითი რეალიზაცია, რომელიც ისეა კონსტრუირებული, რომ მასში ასახულია დასავლური მოდელი და იდეები პროგრესის შესახებ.

არსებობს მეორე პრობლემა, რომელიც ტერმინ “სწორხაზოვანში“ იმალება. უფრო სწორად ეს არის მოთხოვნილებების არსის ანტი ან თუნდაც არადიალექტიკური ხედვა. მოთხოვნილებების ამსახველი ტერმინები ცალმხრივია; ჩვენ ხშირად გვესმის, რომ არსებობს უსაფრთხოების მოთხოვნილება, მაგრამ თითქმის არასოდეს საუბრობენ საფრთხის მოთხოვნილებებზე. არსებობს საკვების მოთხოვნილება, მაგრამ სად არის შიმშილის მოთხოვნილება? თუ არსებობს ერთად ყოფნის მოთხოვნილება, სად არის განცალკევების ან იზოლაციის მოთხოვნილება? სად არის სიძულვილის მოთხოვნილება, თუ არსებობს სიყვარულის მოთხოვნილება? ადამიანებს შეიძლება ჰქონდეთ მოთხოვნილება, რომ ისინი ვინმეს ეზიზღებოდეს, რადგან ადამიანებს ასევე აქვთ იმის მოთხოვნილებაც, რომ ვიღაც უყვარდეთ და თავადაც იყვნენ სიყვარულის ობიექტი.

ამაზე პასუხის გაცემა არ უნდა მოხდეს მხოლოდ საწინააღმდეგო ტერმინების მექანიკურად დამატებით. უფრო სწორი იქნებოდა მოთხოვნილებებისა და მათი დამაკმაყოფილებელი საშუალებებისადმი დიალექტიკური მიდგომების გამოყენება. მშვიერ ადამიანებს აქვთ ჭამის მოთხოვნილება; ისეთი ადამიანი, რომელიც ყველაფრით უზრუნველყოფილია, შეიძლება განიცდიდეს შიმშილის განცდის მოთხოვნილებას, მას შეიძლება სურდეს ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილებით გამოწვეული სიამოვნების მიღება.

საკვების მოთხოვნილება არის პროცესი, რომელსაც არც დასაწყისი აქვს, არც დასასრული; ეს არის დაკმაყოფილებისა და დაუკმაყოფილებლობის პროცესი, რომელსაც დროში არათანაბარი რიტმი აქვს, ეს პროცესი არ ჩერდება და წინააღმდეგობებს მოიცავს. “საკვების მოთხოვნილება“ განხილულ უნდა იქნეს, როგორც უფრო კომპლექსური მოთხოვნილების გამოხატულება. თეზისი შემდეგში მდგომარეობს: ნებისმიერ მოთხოვნილებაში არსებობს მისი უარყოფის ელემენტი.

## 3. ეპისტემოლოგიის უფრო ანალიტიკური, ვიდრე ჰოლისტიკური კონცეფცია

დასავლური ეპისტემოლოგია უფრო ანალიტიკურია. კარტეზიანული განსაზღვრებით ნებისმიერი პრობლემა შეიძლება დაიყოს შემადგენელ ნაწილებად და განხილულ იქნეს ყველაზე უბრალო კომპონენტებიდან. პრობლემა შემდეგში მდგომარეობს: შეიძლება თუ არა ნებისმიერი პრობლემის ან საკითხის დაყოფისას მისი პირვანდელი არსის შენარჩუნება.



მაგალითად: სპილოს თუ დაყოფთ იგი ისეთივე არ დარჩება; სპილო როგორც მთლიანობა (ჰოლისის) არ არის ხორთუმის, ფეხების, კულისა და ა.შ. ჯამი. მოთხოვნილებათა სია კომპონენტების სიას ჰგავს. კითხვა შემდეგში მდგომარეობს: რა არის ის მთლიანობა, რომელიც დაიყო მოთხოვნილებების სიის შესადგენად და რა მოხდება თუ ამ პროცესის დროს რაიმე გამორჩათ?

ერთი მოსაზრების მიხედვით, მოთხოვნილებების წარმოსაჩენად პიროვნება „დაიყო“. აქ წარმოიშობა ორმაგი პრობლემა: პიროვნების მთლიანობა და ადამიანის შესახებ ჩვენი წარმოდგენის მთლიანობა. ორივე პრობლემა რთული გადასაწყვეტია: შეიძლება ორივეს მიმართ რაიმე მიდგომის მონახვა, მაგრამ მისი გადაწყვეტა დასავლური ანალიტიკური მიდგომის გამოყენებით საუკეთესო გამოსავალი არ არის.

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადად ადამიანი (თუ მას სპეციალური ტრენინგი არ აქვს გავლილი) ვერ აღიქვამს სიტუაციას მოთხოვნილებებისა და მისი დამაკმაყოფილებელი საშუალებების სახით. პრობლემა მდგომარეობს შემდეგში: რა ხდება, როდესაც ანალიტიკოსი ყოფს კარგად ან ცუდად არსებობის გამოცდილებას კონკრეტულ მოთხოვნილებებად, იყენებს მას ადამიანის შესახებ წარმოდგენის გამოსახატად მოთხოვნილებათა სიის სახით, შემდეგ ავრცელებს ამ წარმოდგენებს ხალხში, ხოლო ეს უკანასკნელნი მათ ითავისებენ.

ანალიტიკურ და პოლისტიკურ წარმოდგენებად დაყოფა არ გულისხმობს ალტერნატივების თანმიმდევრულ დაყოფას ორ ნაწილად (დიქოტომია); ეს პრობლემა შეიძლება მთლიანობაში განვიხილოთ. პრობლემა იმაში არ მდგომარეობს, რომ უნდა აღმოიფხვრას ანალიტიკური აზროვნება ამ სფეროში, უბრალოდ უნდა მოხდეს პოლისტიკური აზროვნების დანერგვა.

მესამე პრობლემაა, თუ როგორ ხდება ეს ყველაფერი? როგორ შეუძლია მკვლევარს დაადგინოს წარმოდგენები თუ ისინი ცალსახად ანალიტიკური არ არის? ყველაზე საუკეთესო გამოსავალია ადამიანებთან საუბარი, იმის გაგება თუ როგორ აღიქვამენ ისინი სხვადასხვა სიტუაციებს.

#### **4. ადამიანთა ურთიერთობებში ერთმანეთზე ბატონობის კონცეფცია**

დასავლური კოსმოლოგიის ამ ნაწილის განსამარტად უნდა გამოვიყენოთ ვერტიკალობა და ინდივიდუალიზმი. საზოგადოება განხილულია როგორც ჯუნგლები, სადაც კონფლიქტების გადაწყვეტა ხდება მოგებულებისა და წაგებულების გამოაშკარავებით და არა კონსენსუსისა და შეთანხმების მიღწევით. როდესაც ასეთი პროცესები ხშირად მეორდება, წარმოიქმნება ვერტიკალურად ორგანიზებული საზოგადოება, რომელშიც ინდივიდები ერთმანეთთან არ არიან დაკავშირებული. არსებობს პრობლემა, თუ როგორ გავლენას მოახდენს ასეთი კოდი მოთხოვნილებების თეორიაზე. ამ საკითხის განხილვისას აქცენტი უნდა გაკეთდეს ზემოხსენებულ სამ თემაზე: კონფლიქტი, ვერტიკალურობა და ინდივიდუალიზმი. კონფლიქტი

დასავლური მოთხოვნილებების თეორიის პოლიტიკურ პრაქტიკაში გატარებისას წარმოიქმნება დიდი ალბათობა იმისა, რომ აღმოცენდეს კონფლიქტი და არა თანამშრომლობა. ამგვარი პრაქტიკის ცხოვრებაში დასანერგად უპირატესობა უნდა მიენიჭოს მატერიალურ მოთხოვნილებებს. ამასთან ერთად მატერიალური მოთხოვნილებების დამაკმაყოფილებელი საშუალებების ოდენობა შეზღუდულია და, შესაბამისად, თუ მე ვილატაზე მეტი მაქვს, მას ჩემზე ნაკლები ექნება. მატერიალური მოთხოვნილებებისაში უპირატესობის მინიჭება დასავლური ტენდენციის ერთ-ერთი ნაწილია: ამით კონფლიქტი აუცილებლად წარმოიშობა და ის შეიძლება გამოიყენონ ადამიანების ვერტიკალურად და ინდივიდუალურად განლაგებისათვის.

როდესაც აქცენტი არამატერიალურ მოთხოვნებებზე კეთდება, საზოგადოების კონტროლირება უფრო ნაკლებად შესაძლებელია. რა თქმა უნდა, არის გამონაკლისებიც: შეიძლება არსებობდეს არამატერიალური იშვიათობაც. მნიშვნელოვანი საკითხია, შეიძლება თუ არა წინააღმდეგობრივ და არაწინააღმდეგობრივ მოთხოვნებებს შორის ხაზის გაკლება ისე, რომ ის მატერიალურ და არამატერიალურ მოთხოვნებებს დაემთხვეს. სხვა კოდების მეშვეობით შესაძლებელია ხალხისა და საზოგადოების გაკონტროლება არაწინააღმდეგობრივ მოთხოვნებებზე უფრო მეტი აქცენტირებით, ვიდრე – წინააღმდეგობრივ მოთხოვნებებზე. ამასთან, რა თქმა უნდა, არ უნდა მოხდეს ადამიანის მოთხოვნებების არსებობის უგულებელყოფა.

## **ვერტიკალობა**

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხდება ადამიანის შესახებ ისეთი წარმოდგენის გავრცელება, რომელიც კონფლიქტის წარმოქმნას უწყობს ხელს და საზოგადოების ვერტიკალურ მოწყობას განაპირობებს. საჭიროა ითქვას, რომ ამის მიღწევის სხვა გზებიც არსებობს. მოთხოვნების დიფერენცირება მაშინაც შეიძლება გამოყენებულ იქნეს საზოგადოების ვერტიკალური ორგანიზებისთვის, როდესაც მათი დამაკმაყოფილებელი საშუალებები წინააღმდეგობრივია არ არის.

ამის უკან დგას არა მხოლოდ ადამიანების რანგებად დაყოფა, არამედ – კულტურული ნორმა, რომელიც მოსახლეობას ამისკენ უბიძგებს. ნიშნავს თუ არა ეს, რომ დასავლურ კონტექსტში ჩვენ უნდა ვილაპარაკოთ არა მხოლოდ იმაზე, რომ ვილაცაზე უკეთესი ვიყოთ, არამედ იმაზეც, რომ ვილაცაზე მეტი გვქონდეს?

ერთ-ერთი მიდგომა ამ საკითხისადმი შედეგში მდგომარეობს: ყველა ჩვენი სურვილი “მოთხოვნებულად” არ უნდა განვიხილოთ, რადგან ზოგჯერ მათ განხორციელებას შეიძლება წინააღმდეგობა შეხვდეს; რადგან თუ მე რაღაც ადგილი მაქვს საზოგადოებაში, სხვები ჩემს ადგილს ვერ დაიკავენ; ეს ლოგიკურ წინააღმდეგობას წარმოშობს. მხოლოდ განსაზღვრებით ამ პრობლემის გადაწყვეტა დაახლოებით იგივეა, რაც ცოდვის კანონით აკრძალვა. ფასეულობათა ასეთი სისტემა კვლავაც იარსებებს და არა მხოლოდ დასავლურ კოდში. ჩვენი აზრით, კონფლიქტი და ვერტიკალობა, როგორც ასეთი, საზოგადოებაში დანერგილი არ არის., მაგრამ რა შეიძლება ითქვას ინდივიდუალიზმის შესახებ?

## **ინდივიდუალიზმი**

რა თქმა უნდა, ინდივიდუალისტურია იმის მტკიცება, რომ მოთხოვნების ერთადერთი სუბიექტი ადამიანია. ამის არგუმენტად შეიძლება გამოვიყენოთ ის ფაქტი, რომ ერთად ყოფნის მოთხოვნება და სიამოვნების შეგრძნება თვით ადამიანშია. სხვა თვალსაზრისები ამის შესახებ ცრურწმენას შეიძლება მივაკუთვნოთ, ისინი ემპირიულად დადასტურებული არ არის და პოლიტიკურ საშიშროებას წარმოადგენს. ადამიანის მოთხოვნება მიეკუთვნებოდა ისეთ საზოგადოებას, რომლითაც ის იამაყებს, საზოგადოების წევრებში არსებობს; ქვეყანა, რომელიც ომში ან ეკონომიკურად სხვაზე ძლიერია სწორედ აღნიშნულ მოთხოვნებებს აკმაყოფილებს; მაგრამ როგორც მოთხოვნება, ისე მისი დაკმაყოფილების საშუალება (თვით დამკმაყოფილებელში) ინდივიდუალურია. ეს ტრივიალური მოსაზრება საკმარისი არ არის იმისთვის, რომ მოთხოვნებათა თეორია ზოგადად ინდივიდუალისტურად მივიჩნიოთ.

წმინდა ინდივიდუალისტური მიდგომით, მოთხოვნების დამაკმაყოფილებელი საშუალება იზოლაციაში მყოფ ადამიანშიც არის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის სოციალური კონტექსტი აუცილებელი არ არის. ეჭვგარეშეა, რომ

მოთხოვნისათვის თეორია ამ მიმართულებით შეიძლება გადაიხაროს. მაგრამ ამ მიმართულების მქონე კონცეფცია ჯერ არ არის დანერგილი.

## **5. გარესამყაროსთან მიმართებაში ადამიანის ბუნებაზე ბატონობის კონცეფცია**

მოსაზრება იმის შესახებ, რომ მოთხოვნისათვის სუბიექტი მხოლოდ ადამიანია, ხაზს უსვამს არა მარტო ადამიანთა ერთობლიობას, რომლებიც მოთხოვნისათვის ლოგიკური სუბიექტები არიან; ბუნების მეორე მხარეს არსებობს სხვა საზღვარიც. ბუნება – ცხოველები, მცენარეები და სხვა არსებები – არ განიხილება, როგორც მოთხოვნისათვის მქონე სუბიექტი. დასავლური ტრადიცია ბუნებას სულიერებას არ ანიჭებს; ის ასულიერებს მხოლოდ ადამიანს, რაც ამ თეორიაში დასავლურობიდან ნასესხებ ელემენტად გვევლინება, რომელიც კრიტიკასა და გარკვეულ მოდიფიკაციას შეიძლება დაექვემდებაროს.

მიუხედავად იმისა, რომ ბუნება მოთხოვნისათვის სუბიექტად არ განიხილება, არსებობს, მაგალითად, ეკოსისტემის გადარჩენისათვის საჭირო აუცილებელი პირობები, ისევე როგორც არსებობს, კაპიტალისტური სისტემის გადარჩენისათვის აუცილებელი პირობები (ჩვენ შევეცდებით ეს პირობები მანამ არ გავაიგივოთ ადამიანის მოთხოვნისათვის დასაკმაყოფილებელ საშუალებებთან, სანამ არ გვეჩვენება საკმარისი მტკიცებულებები).

## **6. მუშაობის ვერტიკალური დანაწილება, ცენტრის უპირატესობით**

ყველასათვის ნათელია, თუ როგორ ხდება ამგვარი დანაწილება: არსებობს გარკვეული ჯგუფი ცენტრში, რომელიც დანარჩენ მოსახლეობას უმარტავს მათსავე მოთხოვნისათვის. ვესტერნიზაციაზე საუბრისას ეს პრობლემა გეოპოლიტიკური კუთხით უკვე განვიხილეთ. ჩვენი განხილვის საგანს წარმოადგენს ამგვარი სტრუქტურის არსებობა საზოგადოების შიგნით. არსებობენ ისეთი ადამიანები, რომლებიც ადგენენ მოთხოვნისათვის სიას; ამავე დროს არიან ისეთები, რომლებსაც მოთხოვნისათვის უმარტავენ. ამგვარი სისტემა სოციალისტურ და კაპიტალისტურ ქვეყნებში ერთნაირია: სოციალისტურ ქვეყნებში დიდ როლს თამაშობს სახელმწიფო ბიუროკრატია, ხოლო კაპიტალისტურში – კორპორაციები.

ზემოაღნიშნული მიზეზების გამო, ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ მატერიალურ მოთხოვნისათვის; კაპიტალისტურ ქვეყნებში გარკვეულ-წილად უარყოფენ იდენტურობის მოთხოვნისათვის, ხოლო სოციალისტურ ქვეყნებში - თავისუფლების მოთხოვნისათვის. ჩვენ ისეთი მაგალითები შევარჩიეთ, რომლებიც ნათელყოფენ, თუ რამდენად პოლიტიკურია მოთხოვნისათვის და მათ დამაკმაყოფილებელ საშუალებებთან დაკავშირებული პრობლემები. ადამიანების ბრძოლა, თავად განსაზღვრონ საკუთარი მოთხოვნისათვის, პოლიტიკურია. გარკვეულწილად ეს პრობლემა ჰგავს განვითარების შემსწავლელ მეცნიერებაში არსებულ სიტუაციას: ეს იდეა, ეროვნულ თუ საერთაშორისო დონეზე, გავლენიანი ელიტების მიერ დაინერგა, რომლებიც ბიუროკრატების, კაპიტალისტებისა და ინტელექტუალებისაგან შედგებოდნენ. რა თქმა უნდა, ძალის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ძალაუფლებაში მყოფი იდეის დაკნინება შეუძლიათ. იგივე შეიძლება ითქვას განვითარებაზეც: ის შეიძლება გამოიყენონ პოლიტიკური ან სამხედრო მანიპულაციისა და ეკონომიკური ექსპლოატაციისათვის; პრობლემა ვერ მოგვარდება, თუ განვითარება მიჩნეულ იქნება მოთხოვნისათვის დაკმაყოფილებისაკენ მიმართულ პროცესად.

პრობლემა კონკრეტულად მოთხოვნისათვის თეორიის კონცეფციას არ ეხება. ის დაკავშირებულია მოთხოვნისათვის სხვებისათვის განმარტებასთან. თუ ვისაუბრებთ იდენტურობის მოთხოვნისათვის, უნდა გავითვალისწინოთ ადამიანის სურვილი, თავად განმარტოს საკუთარი მოთხოვნისათვის. ინდივიდუალურ, ჯგუფურ, ქვეყნისა თუ რეგიონის

დონეზე მოთხოვნილებების განსაზღვრაში მონაწილეობა ზოგად ნორმად უნდა გადაიქცეს. ამ პროცესში მონაწილეობა უნდა მიიღონ ბიუროკრატებმა, კაპიტალისტებმა და ინტელექტუალებმა, რადგან ისინიც ადამიანები არიან. მაგრამ დღევანდელ სტრუქტურაში მათი რიცხვი დიდია.

## 7. ცენტრის მიერ პერიფერიისათვის პირობების წაყენება

ეს საკითხი მხოლოდ პოტენციური ან ფაქტობრივი დეპერსონალიზაციის ან კულტურის აღმოფხვრის მოსალოდნელ შესაძლებლობას არ ეხება. ელიტების მიერ შემუშავებული მოთხოვნილებათა სიის სტრუქტურა მთელს მსოფლიოში ვრცელდება, როგორც საყოველთაო ნორმა. არსებობს იმის საშიშროება, რომ მოთხოვნილებათა სტრუქტურის გავრცელების შედეგად ადამიანები მოთხოვნილებების დამაკმაყოფილებელ საშუალებებზე დამოკიდებულნი გახდებიან. “ადამიანის ძირითადი მოთხოვნილებებისადმი მიდგომით (ანალიზი)” პერიფერიის მართვის ექვსი საშუალება არსებობს:

1. „ძირითადი მოთხოვნილებებისადმი მიდგომა“ როგორც ახალი ეკონომიკური წესრიგის (NEIO) საკითხების უკანა პლანზე გადაწევის საშუალება.
2. „ძირითადი მოთხოვნილებებისადმი მიდგომა“ როგორც ინტერვენციის დაკანონების ახალი შესაძლებლობა.
3. „ძირითადი მოთხოვნილებებისადმი მიდგომა“ როგორც ბაზრის გაფართოების ინსტრუმენტი.
4. „ძირითადი მოთხოვნილებებისადმი მიდგომა“ როგორც მესამე მსოფლიოს ქვეყნების განვითარების შეფერხების საშუალება.
5. „ძირითადი მოთხოვნილებებისადმი მიდგომა“ როგორც ტექნიკური დახმარების შემცირების შესაძლებლობა.
6. „ძირითადი მოთხოვნილებებისადმი მიდგომა“ როგორც ღარიბებისაგან დაცვის საშუალება.

არის თუ არა ასეთი შედეგების მიღწევა წინასწარ განზრახული, ნაკლებად საინტერესოა. პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ “ძირითად მოთხოვნილებებზე ორიენტირებული სტრატეგია” ცენტრის მიერ შეიძლება ამგვარად განხორციელდეს (აქ იგულისხმება მესამე მსოფლიოს ქვეყნებში არსებული ცენტრებიც).

გარკვეულწილად ეს მოსალოდნელია. როდესაც მოთხოვნილებები გარკვეულ სტრუქტურაში ინერგება და გარკვეული კოდით იმართება, ისინი შეიძლება წინააღმდეგობრივი გახდეს. ამის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ შეთავსებად მოთხოვნილებათა საშუალებით, სადაც უპირატესობა ენიჭება მოცემული საზოგადოებისათვის ყველაზე მისაღებ მოთხოვნილებებს. დღესდღეობით, მოთხოვნილებების განსაღვრა ხდება უფრო დამაკმაყოფილებელი საშუალებებით, ვიდრე პირიქით. თავისთავად იგულისხმება, რომ ასეთ შემთხვევაში ზედმეტი აქცენტი კეთდება მატერიალურ მოთხოვნილებებზე.

## 8. მარგინალიზაცია - არსებობა სოციალური სტრუქტურის შიგნით და გარეთ

საზოგადოებრივი მასების მარგინალიზაციის ყველაზე ხელისშემწყობი ფაქტორი შეიძლება იყოს მოთხოვნილებების იერარქია, რომლის თავშიც არიან ადამიანები, რომლებიც, პირველ

რიგში, მატერიალური მოთხოვნების დაკმაყოფილებას ცდილობენ (მასლოუს ტერმინოლო-გიით, ფიზიოლოგიური და უსაფრთხოების მოთხოვნები) და შემდეგ – არამატერიალურის. მოთხოვნებისა და სოციალური იერარქიების იზომორფიზმი ორივეს გააძლიერებს. ელიტები “მატერიალური მოთხოვნების იდეას” ჰუმანიტარიზმის სახით გაუწევენ პროპაგანდას. მათი მიზანი იქნება მომავალი თაობების მარგინალიზაცია; ისინი შეეცდებიან მომავალმა თაობებმა, “პირველ რიგში, ყველაზე გაჭირვებული ფენების მოთხოვნები დააკმაყოფილონ“. ამის განსახორციელებელ საშუალებად ელიტებს მართვა მიაჩნიათ. ამ მოთხოვნების დაკმაყოფილება არც თუ ისე დიდი ფასია სოციალურ მართვაზე მონოპოლიის შესანარჩუნებლად – როგორც ეს ხდება ხოლმე სოციალური და დემოკრატიული კეთილდღეობის ქვეყანაში.

ცხრილში 1.3 მოვიყვანეთ რეალური სიტუაციის ამსახველი „რუკა“, რომელშიც მოთხოვნებათა დამაკმაყოფილებელი საშუალებები ფიგურირებენ. მდიდარ და ღარიბ ქვეყნებში არსებული ელიტები აკმაყოფილებენ მოსახლეობის ძირითად მატერიალურ მოთხოვნებს და გარდა ამისა, კიდევ გააჩნიათ მოთხოვნების დასაკმაყოფილებელი მატერიალური საშუალებები. მოსახლეობის მასებს ეს უკანასკნელი თითქმის არ გააჩნიათ; გარკვეულწილად ასეც ხდება მასებსა და ელიტებს შორის ხაზის გავლება. რაც შეეხება არამატერიალური მოთხოვნების დაკმაყოფილებას. თანამედროვე საზოგადოებაში, რომელშიც მმართველი ელიტა შედგება ბიუროკრატების, კაპიტალისტებისა და ინტელექტუალებისაგან, არამატერიალური მოთხოვნების დაკმაყოფილება შეუძლებელია; ამის შედეგად საზოგადოებაში მოიმატა ფსიქიკური დაავადებების მქონე ადამიანთა რიცხვმა. ადამიანის პიროვნების ამოცნობის ერთ-ერთი საშუალება მასთან სიახლოვეა; ბევრი ავტორი წერს: “ღარიბებს შორის ყოფნისას მე შევიცანი გულუხვობა, სითბო და სოლიდარობა, რაც ჩემს გარემოცვაში თითქმის არ მხვდება“.

ცხრილი 1.3  
მოთხოვნებათა დაკმაყოფილების დონე: ჰიპოთეზა

	ძირითადი	მატერიალური	არამატერიალური
		მოთხოვნები	მოთხოვნები
		ჰეორესტრისხოვანი	პირიადი და ჰეორესტრისხოვანი
ელიტები	ღიაბ	ღიაბ	არა
მასები	შეიფარი ქვეყნები	ღიაბ	ღიაბ/არა
	ღარიბი ქვეყნები	არა	არა
			არა/ღიაბ

მოთხოვნებათა თეორია აცალკევებს ერთმანეთისგან ადამიანებს, რომელთა ძირითადი მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და ადამიანებს, რომელთა ძირითადი მოთხოვნები დაუკმაყოფილებელია. ასევე ხდება გარკვეული დაავადებების განკურნებისას: არსებობს ავადმყოფი და ჯანმრთელი ადამიანების გარკვეული დაყოფა, საზოგადოება მათ საკუთარ წევრებად აღარ აღიქვამს და ისინი ოჯახსა და სამსახურს ჩამოშორებულები არიან. მოთხოვნებათა თეორია უნდა მიუთითებდეს, რომ, როდესაც ადამიანები რომელიმე მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობას განიცდიან და მის დაკმაყოფილებას ცდილობენ, სხვა ადამიანების მოთხოვნებიც უნდა გაითვალისწინონ. თანამედროვე საზოგადოებაში მატერიალური მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის

თვალნათლივ დანახვა შეიძლება: შესაძლებელია სიღარიბისა და ავადმყოფობის დანახვა. არამატერიალური მოთხოვნილებების დაუკმაყოფილებლობა კი ნაკლებად შესამჩნევია: გაუცხოებას, სიყვარულის უუნარობას უფრო ნაკლებ ყურადღებას აქცევენ, ვიდრე სიღარიბეს. რატომ? იმიტომ, რომ ჩვენს საზოგადოებაში მატერიალურ მოთხოვნილებებზე დიდ ყურადღებას ამახვილებენ. აქ იგულისხმება, რომ მატერიალური პრობლემების საზოგადოების შიგნით გადაწყვეტა შესაძლებელია, სხვა პრობლემების გადაჭრა კი შეუძლებლად არის მიჩნეული. მოთხოვნილებებთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებისას ყურადღებას აქცევენ მატერიალურ „ფაქტებს“ და არა არამატერიალურ „ფასეულობებს“. განსხვავებულ კულტურაში, რომელშიც ყურადღება ექცევა არამატერიალურ მოთხოვნილებებს, ყველაფერი სხვანაირად მოხდება.

მასლოუს მოთხოვნილებათა იერარქია დასავლეთის კულტურას მოთხოვნილებათა თეორიას ყველაზე ცუდი მხრიდან მიუსადაგებს. მაგრამ ჩვენ ხომ ამის შესახებ უკვე ვისაუბრეთ? დიახ, ჩვენ ეს პრობლემა ორ დონეზე განვიხილეთ: პირველ რიგში, ამ იერარქიას მიიჩნევენ უნივერსალურად, უფრო მეტად, ვიდრე დასავლეთის კულტურის თავისებურებების ასახვად. მეორე საკითხი კი იმაში მდგომარეობს, რომ იგი აძლიერებს სოციალური სტრატეგიკაციისა და კლასების ფორმაციის დასავლურ ტიპს. ხშირად ამ იერარქიას არადასავლური ქვეყნები აკრიტიკებენ. ზოგჯერ ამგვარი რაღაც შეიძლება დასავლურ ქვეყნებშიც მოხდეს. ჩვენი აზრით, საზოგადოებამ მოთხოვნილებათა თეორია ისე უნდა გამოიყენოს, რომ მატერიალურ და არამატერიალურ მოთხოვნილებებს თანაბარი უპირატესობები მიენიჭოს. ასეთ შემთხვევაში მატერიალური და არამატერიალური მოთხოვნილებების იერარქიის შექმნა შეუძლებელი იქნებოდა. ამის მისაღწევად თითოეულმა საზოგადოებამ და კულტურამ უნდა იბრძოდეს.

## 9. ფრაგმენტაცია, ინდივიდების ერთმანეთისგან დაშორება

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოთხოვნილების დაკმაყოფილება იზოლაციაში მყოფ ადამიანსაც შეუძლია. სხვანაირად თუ ვიტყვით, სოციალური კონტექსტი აუცილებელი არ არის. მოთხოვნილებათა თეორია ამ მიმართულებით შეიძლება გადაიხაროს. ეს “მიმართულება” ორ ნაწილად შეიძლება დავეყოთ. ორივეს გარკვეული მნიშვნელობა აქვს დასავლურ ინდივიდუალიზმსა და ფრაგმენტაციაში, მაგრამ მათ შეიძლება სხვადასხვა შედეგები ჰქონდეს: მოთხოვნილების სუბიექტის არსებობა მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელი საშუალების არსებობას იწვევს და მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელი საშუალება სოციალურ იზოლაციაში იჩენს თავს. დასავლური ტრადიცია ორივე შესაძლებლობას ერთ მიმართულებად აერთიანებს.

ჩვენი აზრით, არ უნდა არსებობდეს მოთხოვნილებათა ისეთი თეორია, რომელიც სოციალური ფორმაციის ასეთ ტიპს მოთხოვნილებათა თეორიის ლოგიკურ შედეგად წარმოაჩენს. მიუღებელი იქნება, თუ “იდენტურობის მოთხოვნილებების” კლასში “ერთად ყოფნის მოთხოვნილებას” არ ვიგულისხმებთ. საზოგადოება, რომელიც უგულებელყოფს ამ მოთხოვნილებას, ადრე თუ გვიან “დაისჯება”, მიუხედავად იმისა, ცდილობს თუ არა მისი უარყოფითი მხარეების დადებითად წარმოჩენას და იმის მტკიცებას, რომ ეს “ბუნებრივი” ტენდენციაა.

## 10. სემენტაცია, დაყოფა ინდივიდების შიგნით

ზემოთ ჩვენ უკვე განვიხილეთ, თუ როგორ გავლენას ახდენს მოთხოვნილებათა იერარქირება სოციალურ იერარქიაზე. ვისაუბრეთ იმაზე, რომ მოთხოვნილებათა სუბიექტების ინდივიდუალიზაცია იწვევს მოთხოვნილებათა ობიექტების წარმოქმნას. ახლა ჩვენ შევეცდებით, განვიხილოთ, თუ როგორ გავლენას ახდენენ მოთხოვნილებები სემენტაციაზე.

ჩვენ ჯერ არ გვისაუბრია იმაზე, თუ როგორ ხდება მოთხოვნილებების დაკმაყოფილება მოთხოვნილებების ობიექტებით (მოთხოვნილებების დამაკმაყოფილებელი საშუალებები). დროის გასვლასთან ერთად – დილა, შუადღე, საღამო, ღამე – პიროვნების ქცევა და ადგილმდებარეობა იცვლება. მაგალითად, დილას პიროვნება შეიძლება იყოს ოჯახთან ერთად, შუადღისას სამსახურში, საღამოს – მეგობრებთან და ღამე ისევ ოჯახში დაბრუნდეს. ეს არის სეგმენტირებული ქცევა; ინტეგრაციულ ქცევაში დრო ასევე იცვლება, მაგრამ ქცევა ხორციელდება ერთი და იგივე ხალხის მიმართ და ადგილმდებარეობა მეტნაკლებად ერთნაირია. დროისა და ხალხის ხანგრძლივად არსებობა იწვევს გარკვეულ სოციალურ ხანგრძლივობას ერთი ქმედების მეორით შესაცვლელად. სეგმენტირებული ქცევის აღსანიშნად ნშირად იყენებენ ტერმინს “დაყოფილი ქცევა“, რადგან ერთი მოქმედების მეორით შესაცვლელად აუცილებელია ადგილმდებარეობისა და სოციალური პარტნიორების შეცვლა – სივრცის “ახალი დანაყოფი“.

ეს მაგალითი შეიძლება ყველამ არ გაიზიაროს. სეგმენტური ქცევა გარკვეულწილად გამოცდილების დაგროვებას იწვევს; ინტეგრაციული ქცევა კი - ზედმეტ სტაბილურობას. მიუხედავად ამისა, საკითხი შემდეგში მდგომარეობს: მოთხოვნილებათა თეორია შეიძლება გამოიყენონ იმ მიზნით, რომ გარკვეული სეგმენტირებული ქცევა მოთხოვნილებათა დამაკმაყოფილებელი საშუალების ერთ ტიპს ან მოთხოვნილების ერთ კლასს მიაკუთვნონ. სივრცისა და ადამიანების დაყოფის გარეშე წარმოიქმნება უცვლელი ხანგრძლივობა ერთი მოთხოვნილებიდან ან მისი დამაკმაყოფილებელი საშუალებიდან მეორეში. სოციალური კონტექსტისა და მოთხოვნილებების დამაკმაყოფილებელი საშუალებების ინტეგრაციამ შეიძლება განმარტოს “ადამიანის ძირითადი მოთხოვნილებების მიდგომის“ თეორიაში არსებული ჰოლისტიკის პრობლემა.

„ვესტერნიზაციას“ შეიძლება “მანქანა“ გუწოდოთ; წარმოიქმნება ამოსაცნობი მთლიანობა, მაგრამ ის სხვადასხვა მხარეს არის მიმართული. ჩვენი აზრით, მოთხოვნილებათა დასავლური თეორიები ცდილობენ საყოველთაოდ მისაღები გახდნენ; დროისადმი მიდგომა არაწინა-აღმდეგობრივი და მექანიკური გახდება; მოთხოვნილებების ეპისტემოლოგია იქნება ანალიტიკური და არა - ჰოლისტიკური; ყურადღება გამახვილდება ისეთ მოთხოვნილებებზე, რომლებიც დაუკმაყოფილებელია და კონფლიქტებს იწვევს; ბუნებას განიხილავენ როგორც მოთხოვნილებების არმქონე ობიექტს; მოხდება მუშაობის დაყოფა და ისინი, ვინც მოთხოვნილებებს სხვებს უმარტავენ, ამ უკანასკნელთა ცხოვრებაზეც მოახდენენ გავლენას; ცენტრი გაავრცელებს წარმოდგენებს არა მხოლოდ მოთხოვნილებების შესახებ, არამედ მათი დამაკმაყოფილებელი საშუალებების შესახებაც, რაც ახალი მოთხოვნილებების წარმოქმნას გამოიწვევს; იარსებებს მოთხოვნილებების იერარქია, რაც დღეს არსებული სტრატეგიკაციის შეცვლას - ზედა და ქვედა კლასების გამოყოფას გამოიწვევს; მოხდება მოთხოვნილებების დამაკმაყოფილებელი საშუალებების ინდივიდუალიზაცია; მოთხოვნილებების დაკმაყოფილება ზედმეტად სეგმენტირებული გახდება (ერთი მოთხოვნილების დაკმაყოფილება ერთ სოციალურ კონტექსტში). ჩვენ მოთხოვნილებათა თეორიის ამგვარი გაგების წინააღმდეგნი ვართ; თეორიას აუცილებლად უნდა მოჰყვებოდეს თეორიული და ემპირიული შედეგები.

მაგრამ ეს ჯერ არ არის დამტკიცებული. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს გარკვეული გადახრები, ეს თეორია დასავლური არ არის. ზემოაღნიშნულ ათ პუნქტში ჩვენ განვასხვავეთ მოთხოვნილებათა ზოგადი თეორია და დასავლეთში მიღებული სპეციფიკა. მკითხველმა არ უნდა გამოიტანოს დასკვნა, რომ ზოგადი თეორია “კარგია“, ხოლო დასავლური სპეციფიკა - “ცუდი“. აუცილებელია არსებობდეს რაც შეიძლება მეტი დაკონკრეტება, მაგრამ ისინი ყველასათვის მისაღებ ჭეშმარიტებად არ უნდა აღვიქვათ. საჭიროა, რომ ზოგადი თეორია ვრცელი იყოს და ამგვარი თავისებურებების გაგებაში დაგვეხმაროს.

**„ადამიანის ძირითადი მოთხოვნილებების მიდგომა“: ზოგიერთი სუსტი და ძლიერი მხარე.**

„ადამიანის ძირითადი მოთხოვნებიების მიდგომა“ ახალი ცნება არ არის. უნდა გამოიყოს ორი ტრადიციული მიდგომა: დასავლურ-ქრისტიანული და ინდურ-ინდუისტური. “პური ჩვენ არსობისა მოგვეც ჩვენ დღეს“ მინიმალური მატერიალური მოთხოვნების დაკმაყოფილების მოთხოვნაა, რა თქმა უნდა, საქმე მხოლოდ პურს არ ეხება); ჯონ რასკინის წიგნი “Unto This Last” გამსჭვალულია ამ იდეით (დღეს დაკმაყოფილების წყარო უფრო სეკულარიზებულია); მარქსის თეორიაში შეიძლება მოთხოვნებიებზე ფიქრი დავინახოთ; გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ისტორიაშიც არსებობს ამის მაგალითი: ლორდ ბოიდ ორის ცნობილი სიტყვა, რომელიც მან კვებეკში, 1954 წელს FAO-ს დაარსებისას წარმოთქვა. ქრისტიანობით შთაგონებული განდი და ინდუისტური “ფესვების“ მქონე რასკინი მოთხოვნებიებს თეორიასა და პრაქტიკაში ყოველთვის წინა პლანზე აყენებდნენ. განვიხილოთ „ადამიანის ძირითადი მოთხოვნებიების მიდგომის“ ძლიერი მხარეები.

ყველაზე ძლიერი მხარე არის ის, რომ “ადამიანის ძირითადი მოთხოვნებიების მიდგომა“ ცდილობს გარკვეული პრიორიტეტების გამოყოფას. „ადამიანის ძირითადი მოთხოვნებიების მიდგომა“ არის მცდელობა, ყურადღება მიექცეს ფუნდამენტურ საკითხებს და საზოგადოებაში ლატაკებისა და უბედური ადამიანების მიმართ ინტერესი გაჩნდეს. რასკინის წიგნიდან მოვიყვანოთ შემდეგ ფრაზას: “მითხარი მატერიალურად გაჭირვებული და სულიერად უბედური ადამიანების რაოდენობა საზოგადოების ქვედა ფენაში და გეტყვი, როგორ საზოგადოებაში ცხოვრობ“. თუ ჩვენ გავითვალისწინებთ გაჭირვებული და ტანჯვაში მყოფი ადამიანების რაოდენობას, შევძლებთ პრიორიტეტების პირდაპირ დასახვას.

„ადამიანის ძირითადი მოთხოვნებიების მიდგომის“ მთავარი სისუსტე შემდეგში მდგომარეობს: მიდგომა არაფერს ამბობს იმის შესახებ, თუ საიდან წარმოიშობა უბედურება; ის სოციალურ თეორიას არ მოიცავს. მიდგომაში არაფერია ნათქვამი სოციალური უსამართლობის შესახებ. ადამიანს შეიძლება ჰქონდეს მოთხოვნები, არ იყოს ექსპლოატირებული ან არ იცხოვროს ისეთ საზოგადოებაში, რომელშიც ამდენი უსამართლობა ხდება. სოციალური სამართლიანობა და თანასწორობა საზოგადოებრივი ფასეულობებია. არსებობს იშვიათი შემთხვევები, როდესაც აღნიშნული ფასეულობები იმდენად ინტერნალიზირებულია, რომ მოთხოვნებათა ხასიათს ღებულობს. რასაც ადამიანი საკუთარ თავში გრძნობს, არის კონკრეტული რაღაცის ნაკლებობა, რაც იწვევს დამბულობას ან ტანჯვას – მოთხოვნებათა თეორია სწორედ ამის შესწავლას ცდილობს. თუ ხალხის მიერ მოხდება მინიმალური მოთხოვნებიების განსაზღვრა, მაშინ ეს მოთხოვნებიები დაკმაყოფილდება, მიუხედავად იმისა, იარსებებს თუ არა სოციალური უსამართლობა და უთანასწორობა. “ადამიანის ძირითადი მოთხოვნებიების მიდგომა“ ყველა სოციალურ საკითხს არ მოიცავს; ეს მისი კონცეფციის “გაწელვა“ იქნებოდა. მაგრამ არსებობს გარკვეული საფრთხე: მაშინაც კი, როდესაც მატერიალური და არამატერიალური მოთხოვნებიები ერთ დონეზეა დაყენებული, შესაძლებელია “ადამიანის ძირითადი მოთხოვნებიების მიდგომის“ ექსპლოატატორულ პროცესებში გამოყენება; რესურსების დიდი ნაწილის მდიდრებისადმი გადადინება, მაშინ, როდესაც ღარიბები მინიმუმით კმაყოფილდებიან. ალბათ, შესაძლებელია სოციალური მინიმუმისა და მაქსიმუმის დაწესება, მაგრამ ამ შემთხვევაში ორ დონეს შორის უსამართლობა და უთანასწორობა იარსებებს; ერთმა ადამიანმა საკუთარი მოთხოვნები სხვის ხარჯზე შეიძლება დაიკმაყოფილოს. მოთხოვნებათა თეორია ამ საკითხის გადაწყვეტას მხოლოდ მოთხოვნებიების სუბიექტთან მიმართებაში შეძლებს.

აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტას შემდეგი გზით უნდა შევეცადოთ: არ უნდა ვამტკიცოთ, რომ “ადამიანის ძირითადი მოთხოვნებიების მიდგომა“ ისეთი საკითხების გადაწყვეტას შეძლებს, რომელთაც იგი არ მოიცავს. მიდგომას უნდა შეერწყას რაც შეიძლება მეტი თეორია, მოსაზრება, პერსპექტივა. ყველაზე მნიშვნელოვანი იქნებოდა თეორიები იმის



შესახებ, თუ როგორ წარმოიქმნება უბედურება - აუცილებელია, რომ მათ პრობლემის საფუძველი ამოიცნონ. ასევე გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კონფლიქტის თეორიას: მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საშუალებები იშვიათია და ხშირად არჩევნის გაკეთება გვიწევს.

„ადამიანის ძირითადი მოთხოვნილებების მიდგომის“ შემდეგი ძლიერი მხარე არის ადამიანის ბუნების შესახებ მდიდარი წარმოდგენები. მოთხოვნილებათა სია, რომელიც ცხრილში 1.2 წარმოგიდგინეთ, ადვილად შეიძლება დანაწილდეს სხვადასხვა სოციალურ მეცნიერებებს შორის. ნათელია, რომ ფსიქოლოგი, სოციალური ფსიქოლოგი, სოციოლოგი, პოლიტოლოგი და ეკონომისტი სხვადასხვა საკითხებზე გაამახვილებენ ყურადღებას. „ადამიანის ძირითადი მოთხოვნილებების მიდგომა“ ცდილობს ეს წარმოდგენები დაყოს ბიო-სოციალურ და ფსიქოლოგიურ-კულტურულ წარმოდგენებად.

„ადამიანის ძირითადი მოთხოვნილებების მიდგომის“ შემდეგი სუსტი მხარე ამ წარმოდგენების შესწავლისას არის ემპირიული პროცედურების ნაკლებობა. ხალხის გამოკითხვის შედეგად შეიძლება მათი ზუსტი მოტივაციის დადგენა, მაგრამ მოთხოვნილებებთან მიმართებაში სიტუაცია უფრო რთულია: მიუხედავად იმისა, რომ სუბიექტი ერთს ამბობს, იგი შეიძლება სულ სხვას გულისხმობდეს და ამიტომ მისი ნათქვამის მთელი სიზუსტით მიღება არ შეიძლება. ჩვენ გამოვიყენებთ მოთხოვნილებების განმსაზღვრელ ორ ტერმინს:

გაცნობიერებული და გაუცნობიერებელი (აშკარა და ფარული), რეალური და მოჩვენებითი მოთხოვნილებები: არ არის აუცილებელი, რომ სუბიექტს გაცნობიერებული ჰქონდეს საკუთარი მოთხოვნილებები. რასაც სუბიექტი რეალურ მოთხოვნილებად მიიჩნევს, შესაძლოა, მოჩვენებითი აღმოჩნდეს, ანუ მნიშვნელოვანი არ იყოს.

ემპირიული მეთოდები არსებობს, მაგრამ ისინი უნდა მოიცავდნენ უფრო მეტს, ვიდრე ადამიანის გამოკითხვაა. დიალოგისას მთავარი აქცენტი უნდა გაკეთდეს კითხვაზე: „არსებობს თუ არა ისეთი რამ, რის გარეშეც ცხოვრება შეუძლებელია?“ უნდა არსებობდეს მოთხოვნილების დაუკმაყოფილებლობის განსაზღვრის ორმხრივი მცდელობა. ჩვენ უნდა შევეცადოთ განვსაზღვროთ, რას გავწირავთ ან რამდენ ენერგიას მოვანხმართ რაიმე მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. ამგვარი დიალოგით შესაძლებელია ადამიანის გონების საიდუმლოებების ამოცნობა.

შემდეგი მიდგომა უფრო პრაქტიკულია და დაყოფას გულისხმობს. გაჭირვება შეიძლება წარმოიქმნას მაშინ, როდესაც მოთხოვნილებების დამაკმაყოფილებელი საშუალებები მთლიანად ან ნაწილობრივ მანკს ქრება: წარმოიქმნება თუ არა ასეთ შემთხვევაში დეზინტეგრაცია? რას გაიღებენ ადამიანები კონკრეტულ სიტუაციაში მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად? ადამიანები ხშირად თავს სწირავენ თავისუფლების ან პიროვნული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, ასე რომ, ფიზიკური გადარჩენა ყველაზე მნიშვნელოვანი მოთხოვნილება არ არის. ჩვენ არ უარვყოფთ იერარქიის არსებობას ზოგიერთ სიტუაციაში.

ცხრილში 1.4 მოცემულია ოთხი ემპირიული მიდგომა. ეს ცხრილი შეიძლება განვიხილოთ, როგორც სავარჯიშო ემპირიულ მეთოდოლოგიაში და მკითხველს შესაძლებლობა ექნება, თავად განსაზღვროს, რომელი მეთოდი ყველაზე გამოსადეგი და სანდო. უნდა აღინიშნოს, რომ არავერბალური მეთოდი უფრო გამოსადეგია, მაგრამ ნაკლებად სანდოა, ამის ერთ-ერთი მიზეზია ის, რომ კოპირება ნაკლებად გამოსადეგია. ვერბალური მიდგომა უფრო სანდოა და ამავე დროს, ნაკლებად გამოსადეგი. ვერბალური მიდგომა ადვილი გამოსაყენებელია.

#### ცხრილი 1.4

#### მოთხოვნილებების გამოკვლევის ემპირიული მეთოდები

**ჯერბადლური მიდგომა  
(დიალოგის საშუალებით)**

**(A)**

**(B)**

**არაფერბადლური  
მიდგომა**

**(C)**

**(D)**

**(ქვეყნის ანადღიზის საშუალებით)**

**შესაძლებელია თუ არა რას გაჩირბადლეთ შეშდეგის  
შეშდეგის გარეშე არსებობა? დანბკმბუფილბებლად?**

ეს ოთხი მიდგომა სოციალური პრაქტიკის ფორმადაც შეიძლება განვიხილოთ. დიალოგის მსვლელობაში ადამიანები ერთმანეთს ეხმარებიან და აშკარავდება მათი რეალური მოთხოვნილებები – აშკარა-გაცნობიერებული თუ ფარული-გაუცნობიერებელი – რაშიც იგულისხმება ის, რის გარეშეც მათ ცხოვრება არ შეუძლიათ.

ადამიანის ძირითადი მოთხოვნილებებისადმი მიდგომის“ შემდეგი პუნქტი არის ის, რომ ის კარგად წარმოაჩინოს მომავალი განვითარების საკითხებს. “ადამიანის ძირითადი მოთხოვნილებისადმი მიდგომა“ უფრო მეტია, ვიდრე პრიორიტეტების სიის შედგენა. ამ მიდგომის სწორად გაგებისას აშკარა ხდება ის ფაქტი, რომ დამკამყოფილების მინიმალურ ღონეს სამი განხრით სცილდება. პირველი, რაც უნდა აღინიშნოს, არის ის, რომ ეს მიდგომა ააშკარავებს ადამიანის რეალურ მოთხოვნილებებს და ამით ამდიდრებს ადამიანის არსებობის აზრს. ამის აუცილებელი პირობა მხოლოდ რეალური და მოჩვენებითი მოთხოვნილებების განსხვავება არ არის. აუცილებელია, ადამიანის ბუნება გამდიდრდეს ფარული, მაგრამ რეალური მოთხოვნილებებით. ამის გამო, ადამიანებს ერთმანეთისაგან ბევრის სწავლა შეუძლიათ – უნივერსალიზმის შესახებ ერთობლივი მიდგომის არსი ძალიან მნიშვნელოვანია. მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორი არის ის, რომ შესაძლებელია რეალური და მოჩვენებითი მოთხოვნილებების დამაკამყოფილებელის გამოკვლევა. მესამე მნიშვნელოვანი ფაქტორი არის ის, რომ გვეძლევა საშუალება შევისწავლოთ მოთხოვნილებებსა და მათ დამაკამყოფილებელ საშუალებებს შორის არსებული დამოკიდებულება, განსაკუთრებით კი - როგორ გავლენას ახდენს ახალი დამაკამყოფილებელი საშუალებების კონტექსტი მოთხოვნილებათა რთულ კომპლექსზე.

ამ ძლიერი მხარიდან გამომდინარეობს შემდეგი სისუსტე: უნდა განვასხვაოთ დაძაბულობის დაძლევა და განვითარება; წარმოდგენა ამის შესახებ საკმარისად ჰოლისტიკური არ არის. ამაზე წინასწარი პასუხი იქნებოდა ის, რომ მოთხოვნილებათა თეორია არ გულისხმობს მოთხოვნილებების ერთ ღონეზე გაჩერებას. მოთხოვნილებები ვითარდება, რადგან ისინი ბიოსოციალური ხასითისაა. ჩვენ შევეცდებით, განვმარტოთ ეს პროცესი: ფასეულობათა ინტერნალიზაციის გავლენით ჩვენი სურვილების უმეტესობა მოთხოვნილებად გადაიქცევა. მაგრამ ეს ფაქტი ადამიანის ბუნების შესახებ წარმოდგენას არ გააქარწყლებს, რადგან ჩვენ გვაქვს უნარი, ნებისმიერი წარმოდგენა დადებითად ან უარყოფითად გარდავქმნათ. „ადამიანის ძირითადი მოთხოვნილებებისადმი მიდგომა“ შეუცვლელია განვითარების შემსწავლელი იმ მეცნიერებებისათვის, რომლებიც განვითარებას მხოლოდ ადამიანების განვითარებად მიიჩნევენ – სხვა თეორიებში “ადამიანის ძირითადი მოთხოვნილებებისადმი მიდგომა“ უსარგებლო და ხელისშემშლელიც კი არის. ასეა, თუ ისე, “ადამიანის ძირითადი მოთხოვნილებებისადმი მიდგომა“ იარსებებს, თუნდაც სხვა სახელით. მოთხოვნილებების იერარქიის ზედა საფეხურზე დაყენების ნაცვლად შესაძლებელია ფასეულობების ქვედა საფეხურზე წამოწევა და ამის არგუმენტად კულტურული განპირობებულობის ფაქტის გამოყენება. ჩვენ არ გავურბივართ ცონდიციო სინე ქუა ნონ იდეას. განვითარების არცერთი თეორია ადამიანის გარეშე ვერ იარსებებს და აუცილებელი პირობების კონცეფცია კვლავ დარჩება. არსებობს მიდგომები, რომლებიც პრობლემას განიხილავენ და ამან შეიძლება

სერიოზული გამოკვლევებისკენ გვიბიძგოს. ძირითად პრობლემას წარმოადგენენ ის ადამიანები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ “ადამიანის ძირითადი მოთხოვნილებებისადმი მიდგომა” ისეთ კითხვებს სცემს პასუხს, რომლებიც ამ თეორიის ფარგლებში საერთოდ არ არის ფორმულირებული; არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც “ადამიანის ძირითადი მოთხოვნილებებისადმი მიდგომას” აკრიტიკებენ იმის გამო, რომ ეს თეორია არ პასუხობს ისეთ კითხვებს, რომლებსაც მისი არსი არ მოიცავს.

მომავალში აუცილებელია, არსებობდეს ფართო პერსპექტივა, რომელიც „ადამიანის ძირითადი მოთხოვნილებებისადმი მიდგომასაც“ მოიცავს და აგრეთვე, ძირითადი მოთხოვნილებების თეორია, რაც ძალიან რთული იქნება. მიუხედავად ამისა, ეს ერთობლიობა იმდენად რთული არ იქნება, როგორც ადამიანის ცხოვრება და საზოგადოების მრავალფეროვნებაა. დადებით მხარედ შეიძლება მოგვევლინოს ის ფაქტორი, რომელსაც ბევრი ნაკლოვანებად მიიჩნევს: ისინი არა მარტო რთული, არამედ ქაოტურიცაა. მაგრამ რატომაც არა? იქნებ არის აზრი იმაში, რომ ისინი ქაოტური იყოს. ამით ბიუროკრატები, კორპორაციები და ინტელექტუალები ვერ შეძლებენ მოთხოვნილებების დადგენას! დიდი სიბრძნეა მუშაკოჯის ზღაპარში ქაოსის შეახებ: მეფე ქაოსი გარდაიცვალა, როდესაც ჩრდილოეთის და სამხრეთის ზღვების მეფეებმა “გაამარტივეს” ის ყურების, თვლებისა და პირის მინიჭებით. სწორედ ამიტომ გამოვიყენეთ ტერმინი “მიდგომა” და არა “მოდელი” ან “სტრატეგია”; ჩვენ ასევე ვიცოდით, რომ არიან ისეთი პირები, რომლებიც ძირითადი მოთხოვნილებების თეორიას ამ კუთხით განიხილავენ. რასაკვირველია, საჭიროა საკითხის გარკვეულ-წილად გამარტივება; ადეკვატურია თუ არა ჩვენი მცდელობა - ეს მკითხველის გადასაწყვეტია.

*თარგმნა თამარ გუნიაძე*

## ეროვნული ინტერესის ცნება

### კორნელი კაკაჩია

#### *ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტის სტრატეგიულ კვლევათა ინსტიტუტი*

„ჩვენ არა გვყავს მუდმივი მტრები და არც მუდმივი მოკავშირეები. მხოლოდ ჩვენი ინტერესებია მუდმივი და ჩვენი მოვალეობაა მივყვეთ ამ ინტერესებს“

*ლორდი პალმერსტონი*

დღეს, როდესაც საქართველო და ყოფილი კომუნისტური სახელმწიფოები იწყებენ მსოფლიო პოლიტიკის სრულყოფილებიან სუბიექტებად ჩამოყალიბებას, დღის წესრიგში დგება რიგი ახალი საკითხებისა, რომელთა უმრავლესობაც მათგან სრულებით ახლებურ გააზრებას მოითხოვს. ამ საკითხებიდან ძირითადია მსოფლიოში საკუთარი ადგილისა და როლის პოვნა, საკუთარი საგარეო პოლიტიკური მიზნებისა და პრიორიტეტების და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, საკუთარი ეროვნული ინტერესების განსაზღვრა.

ეროვნული ინტერესის, როგორც ტერმინის დამკვიდრება იწყება მე-16 საუკუნეში. საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში საკმაოდ გავრცელებული შეხედულება ეროვნულ სახელმწიფოზე, როგორც მსოფლიო პოლიტიკის მთავარ მოქმედ პირზე, დამაჯერებლად ახსნილი ეროვნული ინტერესის ტრადიციული ინტერპრეტაციით, რომელიც გაიგივებულია

სახელმწიფოებრივ, პირველ რიგში კი მის საგარეო პოლიტიკურ ინტერესებთან, რომელსაც შიდაპოლიტიკაში შეესატყვისება ცნება საზოგადოებრივი ინტერესი.

კაცობრიობის ისტორიის მანძილზე სახელმწიფოები საკუთარი თავის გარდა არ ცნობდნენ მათზე მაღლა მდგომ ხელისუფლებას. ცხადია, სახელმწიფო წარმოადგენს ერთეულს, რომელიც თვითონ განსაზღვრავს საკუთარ ინტერესებს და ამ ინტერესების მიღწევის ფორმებს. სწორედ სახელმწიფო ინტერესს ეწოდება ეროვნული ინტერესი, ხოლო იმ მეთოდებს და ქმედებებს, რომლებსაც ის მიმართავს ეროვნული ინტერესის მისაღწევად ეწოდება ეროვნული პოლიტიკა.

უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე საერთაშორისო ლიტერატურაში ეროვნული ინტერესების კონცეფციის ცნება საკმაოდ ბუნდოვანია. ვინ განსაზღვრავს სახელმწიფოს შიგნით ეროვნულ ინტერესს? იცვლება თუ არა ეროვნული ინტერესი მთავრობის მშვიდობიანი თუ ძალადობრივი გზით შეცვლისას? სახელმწიფოს შიგნით არსებული რომელი ჯგუფები განსაზღვრავენ, თუ რომელი სახელმწიფო არის მტერი და რომელი მოყვარე? როდესაც არსებობს შიდა დაპირისპირება ეროვნული ინტერესისა და ეროვნული პოლიტიკის შესახებ, რომელი შეხედულება წარმოადგენს ნამდვილად ეროვნულს? გააჩნიათ თუ არა სახელმწიფოებს ხანგრძლივ პერიოდზე გათვლილი ინტერესები, რომლებიც განპირობებულია მათი გეოგრაფიული მდებარეობით, რესურსების ბაზის, მოსახლეობის, კულტურული კავშირების არსებობით? უამრავ ამ საკითხზე პასუხი საკმაოდ ბუნდოვანია.

მსოფლიო ისტორიის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ინდივიდები და ცალკეული ჯგუფები აპელირებდნენ ეროვნული ინტერესების ცნებით, რათა გაემართლებინათ ის პოლიტიკა, რომელსაც ისინი ატარებდნენ. ჰანიბალს მიაჩნდა, რომ კართაგენის ეროვნულ ინტერესებში შედიოდა რომის იმპერიასთან ომი; მაგრამ ისტორიამ დაგვანახა, რომ პუნიკური ომების წაგებამ არა მარტო შეასუსტა კართაგენის ეროვნული ინტერესები, არამედ დაანგრია მისი სახელმწიფოებრიობა. ნაპოლეონი თვლიდა, რომ საფრანგეთის ეროვნულ ინტერესებს წარმოადგენდა რუსეთის წინააღმდეგ დაწყებული ჩრდილოეთის კამპანია.

ეროვნული ინტერესის ცნება დღესაც სხვადასხვანაირად არის განსაზღვრული. შორს რომ არ წავიდეთ, ავიღოთ მაგალითი საქართველოს უახლოესი წარსულიდან. 1991 წელს ცნობილი გკჩპ-ს მოვლენების დროს პრეზიდენტ გამსახურდიას მიაჩნდა, რომ მის მიერ ეროვნული გვარდიის გაუქმება ნაკარნახევი იყო ეროვნული ინტერესებით,<sup>1</sup> თუმცა მრავალი ჩვენი მოქალაქე მას ამაში არ ეთანხმებოდა. ასევე 1993 წელს სახელმწიფო საბჭოსა და მის იმჟამინდელ თავმჯდომარეს მიაჩნდათ, რომ საქართველოს ეროვნული ინტერესებით იყო განპირობებული აფხაზეთში შეიარაღებული ძალების გაგზავნა იმ მიზნით, რათა დაეცვათ რკინიგზის მაგისტრალი, რომელიც აერთიანებდა ამიერკავკასიას რუსეთთან, ასევე ცოტა მოგვიანებით იმავე ძალების გაგზავნა სამეგრელოში კონსტიტუციური წესრიგის აღსადგენად.<sup>2</sup> თუმცა მრავალი ჩვენი მოქალაქე სიფრთხილით ეკიდებოდა ამ ამბავს. მოქალაქეები დღესაც სვამენ სამართლიან შეკითხვას, იყო თუ არა გამართლებული საქართველოს შესვლა დსთ-ში ყოველივე იმის შემდეგ, რაც გააკეთა რუსეთმა აფხაზეთში ომის დროს და რამდენად ემსახურება ჩვენს, ლევანდელ ეროვნულ ინტერესებს ასეთი ოდიოზური ორგანიზაციის წევრობა.

მაშ რა არის ეროვნული ინტერესი და ვინ უნდა გასაზღვროს იგი? რა ფაქტორებმა უნდა ითამაშონ გადაწყვეტი როლი მისი განსაზღვრისას? მსოფლიოში არსებული 190 სახელმწიფოს სწორედ ეს საკითხები აქვს გადასაწყვეტი. სხვადასხვა ინდივიდებს სხვადასხვა პასუხები გააჩნიათ ამ შეკითხვაზე.

არსებობს მოსაზრება, რომ ეკონომიკური კრიტერიუმი არის ეროვნული ინტერესის ამოსავალი წერტილი და ნებისმიერი პოლიტიკა, რომელიც აძლიერებს სახელმწიფოს ეკონომიკურ მდგომარეობას, სწორედ ეროვნული ინტერესებით არის განპირობებული. სახელმწიფოს სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესება, მისი ინდუსტრიული ბაზის გაძლიერება, მის სარგებლობაში ენერგომატარებლებისა და ბუნებრივი გაზის არსებობა - აი, სწორედ ეს წარმოადგენს ეროვნულ ინტერესს. თუმცა, როგორც პრაქტიკა ადასტურებს, ხშირად ეკონომიკური კრიტერიუმი წინააღმდეგობაში მოდის სხვა კრიტერიუმებთან. მაგალითისთვის, უნდა გააგრძელოს თუ არა ერთმა სახელმწიფომ ვაჭრობა მეორე სახელმწიფოსთან, თუ ეს სახელმწიფო ამ რესურსებს იყენებს სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიების დასაპყრობად?

ასეთი დილემის წინაშე აღმოჩნდა აშშ და აზერბაიჯანი ჩვენი საუკუნის სხვადასხვა პერიოდში, პირველი გერმანიასა და იაპონიასთან მიმართებაში მეორე მსოფლიო ომის დაწყების წინ, ხოლო მეორე - სომხეთთან მიმართებაში, რომელიც აქტიურად უჭერდა მხარს მთიანი ყარაბაღის მიერ აზერბაიჯანული მიწების მიტაცებას. ასევე საინტერესოა, უნდა გააგრძელოს თუ არა ერთმა სახელმწიფომ მეორესთან ეკონომიკური კავშირები მისი მინერალური რესურსების მოხმარების მიზნით, თუ ამ მეორის შიდა სოციალური და პოლიტიკური სისტემა ეწინააღმდეგება პირველი სახელმწიფოს მოქალაქეთა შეხედულებებს. ამის თვალსაჩინო მაგალითია აშშ-ს ურთიერთობა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასთან აპართეიდის წლებში და თანამედროვე ევროპის სახელმწიფოთა პოლიტიკა ერაყის მიმართ.

მეორე კრიტერიუმი რომელიც ხშირად იხმარება ეროვნული ინტერესების განსაზღვრავად, არის იდეოლოგიური კრიტერიუმი. მრავალი სახელმწიფო ღიად თუ დაფარულად სარგებლობს იდეოლოგიით, რათა გაამართლოს საკუთარი პოლიტიკა და ხელისუფლების ლეგიტიმურობა. ბოლო ხანებამდე კომუნისტური ბლოკის სახელმწიფოები ხელმძღვანელობდნენ მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპებით და ზოგადად მიაჩნდათ, რომ მათი ინტერესები ერთმანეთს ემთხვეოდა. ეროვნული ინტერესის ასეთივე გაგება გააჩნდათ დასავლეთის ლიბერალურ-დემოკრატიულ სახელმწიფოებსაც. სოლიდარობის იმავე პოზიციაზე იდგნენ განვითარებადი ქვეყნები, რომლებიც მხარს უჭერდნენ ერთმანეთს საერთაშორისო ეკონომიკურ სისტემაში საკუთარი ადგილის პოვნაში. ამასთანავე საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის კომუნისტური სისტემის რღვევამ იდეოლოგიური კრიტერიუმი განადა ნაკლებად მნიშვნელოვანი სახელმწიფოთა ეროვნული ინტერესების განსაზღვრისას. თუმცა უნდა ითქვას, რომ იდეოლოგიური კრიტერიუმი ჯერ კიდევ ახდენს გავლენას ეროვნულ ინტერესზე, ხოლო ზოგიერთ სახელმწიფოში მას კვლავ მნიშვნელოვანი გავლენა გააჩნია. მაგრამ მთლიანობაში თუ ვიმსჯელებთ, იდეოლოგიური კრიტერიუმის გავლენა ეროვნული ინტერესის განსაზღვრაზე მნიშვნელოვნად შემცირდა.

ძლიერების ზრდა წარმოადგენს ეროვნული ინტერესების განსაზღვრის კიდევ ერთ მეთოდს. რეალპოლიტიკის ცნობილმა მაესტრომ ჰანს მორგენტაუმ ძლიერება, ძალაუფლება, ძალა განსაზღვრა როგორც ყველაფრის ნებისმომცემი მოვლენა, რომელიც საშუალებას აძლევს ერთ სახელმწიფოს დაამყაროს და შეინარჩუნოს კონტროლი მეორე სახელმწიფოზე. ქედან გამომდინარე, ნებისმიერი პოლიტიკა, რომელიც გააძლიერებს სახელმწიფოს ძლიერებას, წარმოადგენს ეროვნულ ინტერესს. რა თქმა უნდა, შესაძლებელია ძლიერების გავრცობა ისეთი ხერხებით, როგორცაა ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესება, იდეოლოგიური მობილიზებითა და თავდაცვითუნარიანობის განმტკიცებით. ორგენტაუს შეხედულებით სწორედ ძლიერება უზრუნველყოფს სახელმწიფოს გადარჩენას, ამიტომაც ყველა სახელმწიფოს ინტერესს წარმოადგენს, რომ ფლობდეს რაც შეიძლება მეტ სიძლიერეს.

სამხედრო უსაფრთხოება ან უპირატესობა არის ეროვნული ინტერესის განსაზღვრის კიდევ ერთი ცნობილი კრიტერიუმი. როდესაც ძალას გააჩნია ასეთი მნიშვნელოვანი როლი

საერთაშორისო ურთიერთობებში, ბუნებრივია, სახელმწიფოები სამხედრო უსაფრთხოების საკითხებს განიხილავენ მათი ეროვნული ინტერესების პრიორიტეტულ სფეროდ. სამხედრო უსაფრთხოების მომხრეები ამტკიცებენ, რომ ყოველი სახელმწიფოს მოვალეობაა დაიცვას საკუთარი მოსახლეობის უსაფრთხოება; ხოლო სამხედრო უპირატესობის მომხრეები თვლიან, რომ ასეთი უსაფრთხოების მისაღწევად საუკეთესო გზაა სამხედრო უპირატესობის მოპოვება.

კანონიერება და მორალი წარმოადგენს ეროვნული ინტერესების განსაზღვრის კედევ ერთ კრიტერიუმს. თუმცა ხშირ შემთხვევაში მართალისა და მტყუანის გარკვევა ადვილია, მაგრამ თუ უფრო ღრმად დაუკვირდებით, ძალზე გაგვიძნელებს კანონიერებისა და მორალის ზღვარის დადგენა. 1994 წელს ჰაიტიში დატრიალებულმა მოვლენებმა დაგვანახა ის სირთულეები, რომელიც თან ახლავს ამ პროცესს. ერთის მხრივ, გასაგები იყო ის, რომ სამხედროებმა ჩამოაგდეს კანონიერად არჩეული პრეზიდენტი, რის შედეგადაც ქვეყანაში დამყარდა ტერორისა და განუკითხაობის ატმოსფერო. მაგრამ, მეორეს მხრივ, ისმის კითხვა, აძლედა თუ არა ეს აშშ-ს ინტერვენციის უფლებას იმ მიზნით, რათა ხელისუფლებისგან ჩამოეშორებინა სამხედროები და აღედგინა პრეზიდენტ არისტიდის მთავრობა? და მეორეც, გაეროს მიერ დაგვიანებით მიღებული რეზოლუცია, რომელიც ამართლებდა ინტერვენციას, არის კი საკმარისი საბუთი ინტერვენციის გასამართლებლად?

ეროვნული ინტერესის განსაზღვრის კიდევ ერთ კრიტერიუმს წარმოადგენს კულტურული ნათესაობა, რომლის მიმდევრები ეროვნულ ინტერესს განსაზღვრავენ სხვა ენობრივი თუ ტრადიციებით მონათესავე სახელმწიფოების ინტერესებთან მჭიდრო კავშირში. ზოგიერთებს მიაჩნიათ, რომ ეთნიკური და რასობრივი საკითხები თამაშობს მნიშვნელოვან როლს ეროვნული ინტერესების განსაზღვრისას. სხვებისთვის კი ეროვნული ინტერესების ცნება წარმოადგენს ქმედებას, რომელიც საშუალებას აძლევს სახელმწიფოს დამოუკიდებლად მიიღოს ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, მიუხედავად მისი ეკონომიკური, სამხედრო თუ პოლიტიკური პოტენციალისა.

აღსანიშნავია, რომ ხშირად მთავრობების დონეზეც კი არ არსებობს ერთგვაროვანი პასუხი იმაზე, თუ რა არის ეროვნული ინტერესი და როგორ შეიძლება მისი მიღწევა. მაგალითად, სახელმწიფო ჩინოვნიკებს და, ზოგადად, ბიუროკრატებს ეროვნული ინტერესი იდენტიფიცირებული აქვს მისი უწყების ინტერესთან. ისინი, ვინც მუშაობენ თავდაცვის სფეროში, თვლიან, რომ თავდაცვის სფეროში დაფინანსების შეკვეცა პირდაპირ ემუქრება სახელმწიფოს ეროვნულ ინტერესებს. ხოლო სხვები, ვინც პასუხისმგებელი არიან საგარეო ურთიერთობებზე, სოფლის მეურნეობაზე და ა.შ. თვლიან, რომ ბიუჯეტის შეკვეცა მათ სექტორში გავლენას იქონიებს მთელი ქვეყნის ინტერესებზე. ეს პრინციპი გასაგებადაა გადმოცემული შემდეგ გამონათქვამში: ჩინოვნიკის პოზიცია, დამოკიდებულია იმაზე, თუ სად ზის იგი.

პოლიტიკური რეალისტების მიხედვით სახელმწიფოთა ეროვნული ინტერესები ცვლებადია. არსებობს ე.წ. ლეგიტიმური და არალეგიტიმური ეროვნული ინტერესები. ლეგიტიმური ეწოდება ისეთ ინტერესს, როდესაც სახელმწიფოებს არ შეუძლიათ მათ გარეშე გაძლება, ანუ ამ ინტერესების უგულებელყოფის შემთხვევაში საფრთხე ემუქრება მათ გადარჩენას. ლეგიტიმური ინტერესების მაგალითს წარმოადგენს აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი, რომელთა გარეშეც საქართველოს სახელმწიფოებრიობას საფრთხე ემუქრება, ვინაიდან საქართველოს ტერიტორიული დაქუცმაცება საფრთხეს შეუქმნის ქართველი ერის ფიზიკურ არსებობას. სამწუხაროდ, საქართველოს ამის მწარე ისტორიული გამოცდილება უკვე აქვს. გარდა ამისა, არსებობს ე.წ. ტრადიციული ეროვნული ინტერესებიც. მაგალითად მე-19-20 საუკუნის დასაწყისამდე დიდი ბრიტანეთის იმპერიის ეროვნულ ინტერესებს წარმოადგენდა თავისუფალი ვაჭრობა ზღვაზე, ვინაიდან მას სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა

კოლონიებთან ურთიერთობებისას, ასეთივე ტრადიციული იყო მეფის რუსეთის სწრაფვა კონსტანტინოპოლისა და თბილი ზღვების პორტებისაკენ, საქართველოს სახელმწიფოს ტრადიციულ ინტერესებში იყო დერბენდისა და დარიალის კარიბჭეთა კონტროლი, რომელიც გამოძინარეობდა საქართველოს გეოპოლიტიკური ინტერესებიდან.

არსებობს მოკლევადიანი და გრძელვადიანი ეროვნული ინტერესები. მოკლევადიან ეროვნულ ინტერესებს წარმოადგენს ისეთი ინტერესები, რომელთა მიღწევა შესაძლებელია უახლოეს მომავალში. ასეთი ინტერესების წარმოშობას ხელს უწყობს სახელმწიფოსა და მთავრობის აუცილებელი საჭიროებანი, ხოლო გრძელვადიანი ეროვნული ინტერესებისათვის დამახასიათებელია ისეთი მიზნები, რომლებიც ძირითადად წარმოადგენს გარკვეული ერის პოლიტიკურ, კულტურულ თუ ეკონომიკურ მისწრაფებებს, რომელზეც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მისი ისტორია და ეროვნული იდეოლოგია. ასეთ ეროვნულ ინტერესებს ხშირად ახასიათებს ოპტიმიზმი, წინააღმდეგობრიობა, მესიანიზმი, იდეოლოგიური ექსტრემიზმი, როცა პირველს ახასიათებს მეტნაკლები პრაგმატიზმი, განხორციელების აუცილებლობა და ძალზე ხშირად ემყარება საგარეო პოლიტიკის სისტემატურ დაგეგმვას.

და ბოლოს, სუვერენიზმის მსგავსად ეროვნული ინტერესი წარმოადგენს ნიშნელოვანი ფუნქციის მქონე ცნებას. პოლიტიკური ლიდერები ხშირად იყენებენ მას, რათა მიიღონ მოსახლეობის ფართო ფენების მხარდაჭერა ეროვნული ერთიანობის უზრუნველსაყოფად. პოლიტიკოსები მას ეფექტურად იყენებენ, როგორც სიმბოლოს ღრმა კრიზისებისა და მთავრობების არაკომპეტენტურობის მისაჩქმალად. ეროვნული ინტერესი და ეროვნულ უსაფრთხოებაზე აპელირება ხშირად გამხდარა უკანონო საქმიანობის გამართლების მიზეზი, როგორც საერთაშორისო პოლიტიკაში, ისე ქვეყნის შიგნითაც.

ზემოთმოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, რომ ეროვნული ინტერესის განსაზღვრა წარმოადგენს რთულ პრობლემას, რადგანაც ქვეყნის შიგნითაც კი თითოეული ჯგუფი სხვადასხვანაირად განსაზღვრავს მას. ეს არის კონცეფცია, რომელსაც არ გააჩნია უნივერსალური დეფინიცია. მაგრამ ამავე დროს ის წარმოადგენს ისეთ სასარგებლო კონცეფციას, რომელიც საშუალებას გვაძლევს ზოგადად მაინც გავიგოთ ის მიზნები, რომლებსაც ეძიებენ სახელმწიფოები საერთაშორისო პოლიტიკაში.

1. იხ. საქართველოს რესპუბლიკა. 1991 წ
2. იხ. აფხაზეთის საკითხი ოფიციალურ დოკუმენტებში. 1989-1999წ.წ ნაწილი I თბილისი 2000. გვ.80
3. Hans Morgenthau. „Politics Among Nations: The Struggle for Power and Peace, 5th ed.New York Tavi 3. 1973
4. Richard Mansbach. The Global Puzzle. Houghton Mifflin Company. 2000 p.81

## პოსტკომუნიკაცია

### ანუ სამშობლო დედის ძუძუი

#### მანანა ცირაშუა

ქართულ-ამერიკული საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი

„ჩვენ პოსტმოდერნისტები ვართ...” ასე იწყებს ლექციას ირაკლი კაკაბაძე. ვინ ჩვენ, ქართველები? თუ სტუდენტები? ეგებ მომავალი სახელმწიფო მოხელეები? ხორხე ლუის ბორხესი ადარებს ორ ღონ კინოტს - ერთი XVII საუკუნის ნიჭიერი თვითნასწავლი ესპანელის ქმნილებაა, მეორე კი უილიამ ჯეიმსის თანამედროვე პიერ მენარისა, რომელიც, სამწუხაროდ, თავისი წინამორბედის ნაღვაწს ხელმეორედ გვილაგებს, ოღონდ უკუმიმდევრობით - ბოლოდან თავისკენ, თანამედროვე თვალსა-წიერიდან. ტექსტი, მოგეხსენებათ ჩემო ბატონო, უცვლელია, მაგრამ თანამედროვე ავტორის გვარი მის სრულიად ახლებურ დატვირთვას და ხედვის ახლებურ წაკითხვას ითხოვს. ბორხესი შეკითხვას სვამს: “თუ ლუის სილენსს ან ჯეიმს ჯოისს მივაწერთ “ქრისტეს მიბადვის შესახებ” ტრაქტატის ავტორობას, ნუთუ ეს შესამჩნევ სიახლეს არ შემოიტანს სათუთ სულიერ მოძღვრებაში?” (“*¿El cristianismo de James Joyce? ¿El cristianismo de Luis Silenus? ¿El cristianismo de James Joyce? ¿El cristianismo de Luis Silenus?*” (iê. 1380-1471) ).

ამრიგად, პოსტ მოდერნისტთა პოსტულატები ისტორიული თვალსაწიერიდან ციტატათა რიგის უწყვეტი ჯაჭვით ბორკავენ სიტყვისა თუ პრესის თავისუფლებას. თანამედროვეთა აზრი, გაჯერებული მრავალ სხვა ავტორთა გამონათქვამებით, დემოკრატიულ ხასიათს იძენს. იგი ივსება სხვათა თანამოაზრობის, დასტურის პრინციპით. საინტერესოა, დემოკრატიაში შექმნა პოსტმოდერნი, თუ პირუკუ? ისტორიული ქრონოლოგია ალბათ ჩვენს შემთხვევაში შეუფერებელია, ვინაიდან ტერმინის საბოლოო ფორმულირება მოვლენის მანამდე არ არსებობას სრულიადაც არ ნიშნავს და ხშირია ანაქრონიზმი.

მაგრამ დემოკრატია სამართლებრივი სახელმწიფოს საფუძველია და კანონის უზენაესობას აღიარებს, კანონისა, რომლისთვისაც ‘ვარდთა და ნეხვთა ვინათგან მზე სწორედ მოეფინების’”. ამგვარი პოსტულატი ერთი შეხედვლებით ქრისტიანულ მოძღვრებაში პოვებს ღრმა ფესვებს და მიმართულია ერი-სახელმწიფოებს შორის საზღვრების მოშლისაკენ. დღეს ამ მოვლენას ხშირად გლობალიზაციის სახელით მოიხსენიებენ და ფარად საერთაშორისო ხელშეკრულებები, კონვენციები, აქტი თუ პაქტი აუფარებიათ. მათი მისიაა არეგულირონ კონკრეტული შემთხვევები (თუ, რა თქმა უნდა, ერი-სახელმწიფოს კონსტიტუციას არ ეწინააღმდეგება), იქნება ეს კონფლიქტები თუ ეკონომიკური ურთიერთობანი საერთაშორისო დონეზე. საკითხის ამგვარი განთავსება ქალაქში საკმაოდ კეთილგანწყობილად გამოიყურება პიროვნების უსაფრთხოების, თვითორიენტაციის თვალსაზრისით. ერთიანი სტარტის დეკლარირებით მოხიბლული საზოგადოება თანასაწორუფლებიანობის პრინციპს ტაშის კვრით ეგებება და მართლაც სწამს ღვთისაგან ბოძებული თავისუფლებისა. საზოგადოებასთან ურთიერთობის დროს კი, როცა ინდივიდი წააწყდება იერარქიული სტრუქტურის მკაცრ დიფერენციაციას, იწყებს სხვადასხვა იხმებით მის შემკობას (იქნება ეს კაპიტალიზმი, მონოპოლიზმი, სიონიზმი, რასიზმი, თუ ა. შ.)

დემოკრატია კი ერთი შეხედვით მმართველობის უფრო მოქნილი ფორმაა, რომელიც ჯონ ბარტონისეულ “ღია წიგნის” პრინციპს უფრო უახლოვდება თავისუფლების, იდენტურობის, პატივისცემის აღიარებით. ეს მთავარი ონტოლოგიური ღირებულებები იმ მომენტამდე რჩებიან ჰუმანისტური მოდიფიკაციის ნიღბის ქვეშ, სანამ ეროვნულ ინტერესთა საზღვარზე არ გადაიკვეთება საერთაშორისო ინტერესები. მწარე მაგალითად დღევანდელი იუგოსლავია მინდა მოვიყვანო, რომელიც კანონის უზენაესობისა და დემოკრატიის შემახილით კუსტურიცას ფილმს მაგონებს. ფილმის ფინალში კუნძულად ქცეული მიწის ნაგლეჯი მოხეიბე მიცვალებულთა აჩრდილებისა და ხალიანი ძროხების ნავსაყუდლად გაირიყა. სამუელ ჰანტინგტონი კი იმედს გამოთქვამს, რომ მომავალში მსოფლიო წარმოდგენილი იქნება ერთმანეთისაგან განსხვავებული ცივილიზაციებით და თითოეული მათგანი ისწავლის სხვებთან თანაარსებობას. მისი ნაშრომი “ცივილიზაციათა შეჯახება” ცივილიზაციას განსაზღვრავს, როგორც კულტურული იდენტურობის ყველაზე ფართო დონეს: “განისაზღვრება ობიექტური ხასიათის საერთო ნიშნების არსებობით, როგორცაა ენა,



ისტორია, რელიგია, ზნე-ჩვეულებანი, ინსტიტუტები, – აგრეთვე ადამიანთა სუბიექტური თვითიდენტიფიკაცია.” ამგვარ კრიტერიუმებზე დაყრდნობით ჰანთინგტონი მასშტაბთა და არაერთ-გვაროვნების მიუხედავად გამოყოფს ექვს ძირითად ტიპს:

1. დასავლური;
2. ისლამური;
3. კონფუციური;
4. იაპონური;
5. ინდუისტური;
6. მართლმადიდებლურ-სლავური.

როგორც ვხედავთ, დასავლური და მართლმადიდებლურ-სლავური ტიპი განსხვავებულია ქრონოლოგიურად ამ კლასიფიკაციაში და შესაძლოა იუგოსლავიის მაგალითზე რუსეთის ხელისუფლების პოზიციაც ამის დასტური იყოს. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა 28 ივნისის “ვესტი”-ს გამოშვებაში უკმაყოფილება გამოთქვა სლობოდან მილოშევიჩის საერთაშორისო ტრიბუნალში გადაცემის თაობაზე. მან მომხდარ ფაქტს შემდეგნაირი ინტერპრეტაცია გაუკეთა: ‘làöëÿ, êiôîðàÿ îðààà, ò íàðíáííáí ããðîÿ ÷òæáçàîòàì â ðóèè íà ðãñòãðçàîèà, íá äîñòîièá íà ñòúãñòáîíâáîièâ”. ცხადია, ამგვარი მკვეთრი გამონათქვამი ფაქიზი დასავლური ყურისათვის საკმაოდ მჭახედ ჟღერს და არამც და არამც არ გამოხატავს დასავლური ცივილიზაციისათვის სასურველ ოდას. მასხენდება მერაბ მამარდაშვილის პასუხი ვლადიმერსტოკელი ბავშვის შეკითხვაზე: – “სად არის პარიზი, შორსაო?” – “გააჩნია, საიდან შორსაო”. ათვლის წერტილი პარადიგმის კოორდინატთა განსაზღვრისათვის აუცილებელი ქვაკუთხედი და მისი საზღვრები სულაც არ არის აუცილებელი მეორე პარადიგმის პარალელურად იგივე საკოორდინატო სიბრტყეზე მდებარეობდეს.

“ჩვენ კაცთა მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერთა”, ასე რომ, რუსული აზრი განსხვავდება დასავლურისაგან. მაგრამ დემოკრატია ზომ „ღია წიგნია”, იგი გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში მრავალთა მონაწილეობას გულისხმობს, შედარებით ღია სისტემაა. ხალხის რჩეულნი და არა ხელდასხმული მეფენი ქმნიან კანონებს, რათა კანონმა ამ ხალხის ნება გამოხატოს. ეს ხდება სახელმწიფოთა დონეზე, ხოლო საერთაშორისო დონეზე ხალხის რჩეულთა რჩეულნი ადგენენ საერთაშორისო ნორმებს. ამ თეორიის მიხედვით ყველას აქვს მინიჭებული უფლება გააკეთოს არჩევანი, მოიხადოს მოქალაქეობრივი ვალი და პასუხი აგოს იმ კანონებზე, რომელსაც მის მიერ დასახელებული რჩეულნი მისსავე სასიკეთოდ შეიმუშავენ. მათ წინასაარჩევნო პერიოდში მას-მედიიდან უკიჟინებენ “ჩვენ კი არა, თქვენ, ხალხი მართავთ ქვეყანასო”. არჩევნების დამთავრებისთანავე მოლოდინთა გაცრუების, ნიჰილიზმისა თუ ცინიზმის პერიოდებში იგივე მას-მედიიდან ბრალსა სდებენ – “რაც ერიო, ის ბერიო” – “გაუთვითცნობიერებლობისა და გაუნათლებლობისაგან რაც თესეთ, იმას იმკითო”.

აღბათ, ასე იყო იუგოსლავიაშიც. ხალხის რჩეულთა რჩეულებმა საერთაშორისო ორგანიზაციებიდან უკეთ უწყიან, როგორ ესადაგება ეროვნული, რელიგიური თუ ტერიტორიული ინტერესები საერთაშორისო სამართლისა და დემოკრატის ნორმებს. მაგრამ მთა და ბარი რომ არ გასწორდება? ძალა კი აღმართსა ხნავს და საქართველოს ტერიტორიული მოწყობის საკითხი მანამ იქნება საჩოთიროდ სათქმელი, სანამ უზენაესი კანონმდებლობა მოწყალე თვალით არ გადმოგვხედავს.

კანონმდებელი კი ხალხია, მაგრამ რომელი? ქართველი თუ ევროპელი? ჩვენ, კოსმოპოლიტები, ვზიდავთ ჩვენს გაუმაგრებელ მხრებზე ზოგად საკაცობრიო ნორმების ტვირთს?

თუ ნებას მომცემთ, ორიოდ სიტყვას შევაწევ კანონის უზენაესობას, რომელსაც ერთი ცუდი ზნეს ჭირს – ანონიმურობა. მუსულმანური ქვეყნების უზურპატორები, დიქტატორები, ჰუსეინი იქნება ეს თუ არაფატი, არამუსულმანი პინოჩეტი თუ ლენინი, ერისა და ისტორიის წინაშე აგებენ პასუხს მათ ქვეყანაში დატრიალებულ ავ-კარგზე. სტალინსაც ხოტბასთან ერთად კაციჭამია წითელ გველეშაპად ნათლავენ. უბედურ დედათა წყევლით იბორგებ და მისი ნეშტი საფლავში ქრისტიანული წესით დამარხვა რომ ღირსებოდა, მაგრამ რა ვუყოთ დღევანდელ უპიროვნო კანონებს? ამიტომ ხომ არ იწერება დღეს ლექსების კრებული “ჩემი დედა...” (ავტორი არ ვიცი). ადრესატი არა ჩანს. ვინ დასწყევლონ დღევანდელმა დედებმა, ვის შეაგინოს ქართველმა კაცმა. ხალხის სახელს ამოფარებული ანონიმები ბოლშევიკური პრინციპით “ , ” - სამხედრო ბლოკებად ერთიანდებიან და საერთაშორისო არშინით ზომავენ ერთა თვითგამორკვევას. ამის შესახებ იუგოსლაველი თუ ჩეჩენი ხალხი სისხლით წერს ისტორიის ბოლო ფურცლებს. “ენა, მამული. სარწმუნოება” ჩვენთვის უკვე ეფემიზმად იქცა. მსოფლიო სტანდარტიზაციის მექანიზმის ბოლო ჭანჭიკად ქცევაზე ორიენტირებულნი „ახალ ბოლშევიზმს” ველტვით.

„მოამბეში” ვისმენტ ხშირად: „დღეს, ჩვენ დამოუკიდებელი საქართველოს საფუძვლის სათავეებთან ვდგავართ, ვაკეთებთ არჩევანს: “მზე ჩრდილოეთიდან კი არა, დასავლეთიდან ამოდისო.” ხალხის რჩეული ზურაბ ჟვანია ძალიან ძალადი ტრიბუნიდან გეზს გვისახავს: “მე ქართველი ვარ, ანუ ევროპელი!” ეს ხომ მართლმადიდებლურ-სლავური ცივილიზაციიდან გამოსვლას და ახალ, დასავლურ ცივილიზაციაში გადასახლებას გულისხმობს! პირველი დოგმა – ერთმორწმუნე რუსეთის უმცროსი ძმა იცვლება მეორე დოგმით – ერთიანი ქრისტიანული სამყაროს პოსტ-საბჭოური პროვინციით. რით არ არის პარადიგმატული გარდატეხა?

მეორეს მხრივ, დენის სანდონისეული რეალ-პოლიტიკის მესამე პუნქტში “სახელმძღვანელო რეალიზმი” ვკითხულობთ: “განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ნეგატიურ ბიოლოგიურ დეტერმინიზმთან ერთად საქმე გვაქვს პრობლემების გადაჭრის საჭირო მექანიზმების არქონასთან, ჩვენ ვხედავთ ძალადობის მეტად არასახარბიელო შემთხვევებს ყველა ღონეზე. ამ შემთხვევაში ჩვენ - როგორც გადაწყვეტილების მიმღებებმა - ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ დავიცვათ ჩვენი ძირეული ინტერესები, იმისათვის რათა გადავარჩინოთ საკუთარი თავი, საკუთარი როლი და/ან ჯგუფი (ერი). ერთადერთი მორალი ამ შემთხვევაში ამ ინტერესების წარმატებული დაცვაა.

მსოფლიო, პრეისტორიული დროიდან მოყოლებული, ამ პრინციპებით ახორციელებს ხუთი მილიარდი ადამიანის მართვას. ვინც ამ პრინციპებს არ იზიარებს, ვინაიდან არც გაუგია და არც უწინევია საკუთარ ზურგზე, XX საუკუნის შესანიშნავ პირმშოს, სტატისტიკას, არც დაუთვლია და ალბათ, არც უგულისხმია. ეს ხალხები ნამდვილად არ მღერაიან „ბითლზების” ცნობილ სიმღერას ‘ ელპ! შომებოდყ!’

ჩვენ, ქართველები, უკაცრავად, საქართველოს მოქალაქეები, ახლის ძიებაში სსრკ-ს მსგავს (აქ უკვე ვეღარ ვხედავ პარადიგმატულ გარდატეხას), მაგრამ უფრო დიდი სიმძლის ვერტიკალურ იერარქიას ვახვეთ კალთებს, რათა შეგვიფაროს. იოჰან ჰალტუნგი ამ ვერტიკალს ”ადამიანურ ურთიერთობათა მოდელს - კაცი-კაცის წინააღმდეგ” უწოდებს, “როდესაც ამ მოდელს პოლიტიკურ პრაქტიკაში გადავიტანთ, ეს კონფლიქტს იწვევს და არა თანამშრომლობას” (“საერთაშორისო განვითარება ადამიანური თვალთახედვით”).

დამოკიდებულებათა ამგვარი სისტემა, როგორც ვხედავთ, „მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეჭით” ხორციელდება.

ფიზიკოსები ამბობენ  $m = 3$ , ეს სხეულის მასაა, რომელიც სიმაღლის პირდაპირპროპორციულია,  $\rho = \text{კონსტანტი}$ -ია – გრავიტაცია აქაური წესია – დედამიწა ტრიალებს და იზიდავს. ქარაგმად ნუ ჩამითვლით. რაც მეტი უზენაესი კანონი დაგვემატება, მით უფრო დიდი არეალის ბრალი იქნება ეს, ევროსაბჭო იქნება ეს თუ გაერო. 5 მილიონიანი ქვეყნის ინტერესები ნუთუ გაუძლებს 5 მილიარდიან თარგზე აჭედელ აბჯარს? მეორე პარადიგმატული გარდატეხა ხდება მაშინ, როდესაც აღმოვაჩინეთ, რომ “მზე სწორად მოეფინება” - სიყალბეა. საბჭოთა კავშირი მსოფლიოს 1/3 ტერიტორიაზე მატერიალური თუ შრომითი რესურსების თანაბარი განაწილების პრინციპებს ახორციელებდა. იგივე ტერიტორიებზე (თუ არ ჩავთვლით ჩინეთს) დღეს ახალგაზრდობა სახელმწიფო პროგრამების დახმარებით რესურსებისა და ხელისუფლების უკმარისობის თეორიას ითვისებს.

პარადოქსია, მაგრამ ფაქტად რჩება საბჭოური ქვეყნის საფუძველი – მარქსისტული მოძღვრება. ეს მოძღვრება ადამიანის საქციელის მთავარ გამსაზღვრელად ეკონომიკას ასახელებდა. ამავე დროს დიალექტიკური მატერიალიზმის მქადაგებლებმა საბაზრო ეკონომიკის გზას გვერდი უქციეს (მარქსი ხომ ადამ სმიტის სტუდენტი იყო), უარი თქვეს თავისუფალ ბაზარზე და რესურსების გადანაწილების მთელი პასუხისმგებლობა თვითონ იტვირთეს.

რაც შეეხება ძალაუფლებას – მისი სიმწირე დაძლეულ იქნა (თუნდაც თეორიულად) ხელისუფლებაში შესვლის ჰორიზონტალური ვექტორით: “ხელისუფლება ხალხს!” „ძალაუფლება საბჭოებს!” (მმართველობის ჰორიზონტალიზმი მარქსის თეორიის გვერდით, ალბათ, არამარქსისტულ რადიკალთა დიდ უკმაყოფილებას გამოიწვევს, მაგრამ ქრისტიანობის ძირითადი პოსტულატი – თანაბარი შესაძლებლობებით დაწყება - საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის მონაპოვარი იყო). „ხალხი” და “საბჭოები” კრებითი სახელებია. თავის დროზე ამ სიტყვებმა შეცვალეს ცნებები: ეროვნება, რელიგია, რასა. მოიცვეს დიდი გეოგრაფიული ტერიტორია და მუშათა და გლეხთა დიქტატურამ ერთნაირ სტარტის ხაზზე განალაგა ყველა ხელისუფლებაში მოსვლის მსურველი (მახსენდება ფილმი “Nâèiàðêà è Ìàñòòð”, რომლებიც თავიანთი დამკვრელური შრომის წყალობით კრემლის სააქტო დარბაზში ყრილობაზე მოხვდებიან და სახელმწიფოს მართვის მონაწილეებად გადაიქცევიან).

ამ პრინციპებზე გაზრდილი საზოგადოება დღეს საპრეზიდენტო მმართველობას ირჩევს. როგორია ეს სისტემა? ჯერ გაუმართავი, მაგრამ ჩონჩხი აწყობილი: ძლიერი პრეზიდენტი და სუსტი პარლამენტი, მმართველობის სამი შტო ძალაუფლების გადანაწილებით, კონტროლითა და ბალანსით, კანონის უზენაესობით. კანონის უზენაესობაზე ბევრი ვისაუბრეთ, დემოკრატიზაციაზეც, მაგრამ გამოგვრჩა ნოამ ჩომსკის “მანუფაქტურინგ ეფფექტ”, რომელიც უკვე აპრობირებულმა ამერიკულმა დემოკრატამ შვა და გვიჩვენა, რომ კორპორაციებს ძალუძთ ადამიანის ფანტაზიაც კი დაუმორჩილონ თავიანთ მიზნებს. მიზანი კი, მოგეხსენებათ ამართლებს საშუალებას.

ჰენრი კისინჯერი ამბობდა: “მე ვიცავ დემოკრატიას. რეალურად არ არსებობს შანსი, რომ ყველამ ერთდროულად მიაღწიოს ბედნიერებას. ამიტომ შევხედოთ სიმართლეს თვალებში”.

მორგენტაუ ადამიანს ძალაუფლებისადმი წყურვილის მონად გვისახავს, ომს და კონკურენციას აიგივებს. მაკიაველი რესპუბლიკის, როგორც მმართველობის საუკეთესო ფორმის მისაღწევად, მედიჩებისადმი მიწერილ წერილში ძალის, ეშმაკობის გამოყენებასაც სთავაზობს პრინცს, რადგან იგი თვლის, რომ მხოლოდ კარგი საშუალებებით ვერ მივაღწევთ

კარგ საზოგადოებადღე. მაკიაველი, ისევე როგორც ვოლტერი და რუსო მოდიან პოსტ-რენესანსულ პერიოდში იეზუიტების პარალელურად, მაგრამ ასეთი აზრით – ადამიანი ადამიანისათვის მგელია. კარგი შეუძლია იყოს 5%-ს, დანარჩენი კი უნდა იმართოს ძალით, დაშინებით ან ეშმაკობით.

ძალაზე დამყარებული პოლიტიკური რეალიზმი ჯონ ბარტონს საკმაოდ მოძველებურად მიაჩნია. იგი ძალოვანი პოლიტიკის მარცხზე ლაპარაკობს და აკრიტიკებს ტრადიციულ იდეალისტებს: „არსებობდა რწმენათა სისტემა, რომელიც ეფუძნებოდა თანამშრომლობითი ურთიერთობის სურვილს, მაგრამ არ არსებობდა თეორია, რომელიც ახსნიდა კონფლიქტს, ან გაამართლებდა ალტერნატიულ პოლიტიკას”.

დასავლეთი ეძებს ალტერნატიულ პოლიტიკას, იკვლევს ეთნიკურ და გაუცხოების კონფლიქტებს, “ვინაიდან ეს ყოველივე საფრთხეს წარმოადგენს ყველაზე განვითარებული საზოგადოებებისთვისაც კი. ინდივიდები ან ჯგუფები, რომელთა ძირითადი ადამიანური მოთხოვნები არ არის დაკმაყოფილებული, ვერ იქცევიან სოციალური გარემოს ბუნებრივ ნაწილად და არ ექცევიან კანონით ნაკარნახევი ქცევის წესების გავლენის სფეროში” (ჯონ ბარტონი “კონფლიქტების მოგვარება როგორც პოლიტიკური სიტუაცია”).

ვებსტერის (1983) განსაზღვრებით ტერმინ „კონფლიქტის” საფუძველია “ჩხუბი, ბრძოლა, ომი” და მხარეთა შორის ფიზიკურ კონფრონტაციას ნიშნავს. მაგრამ ტერმინის მნიშვნელობა დღეს-დღეობით უფრო გაფართოვდა და იდეის, ინტერესების და სხვათა მკვეთრ უთანხმოებასაც მოიცავს. იგი გულისხმობს როგორც ფიზიკურ, ასევე ფსიქოლოგიურ კონფრონტაციასაც. ამიტომ შეცდომა იქნებოდა ორ დაპირისპირებულ მხარეს შორის ურთიერთქმედებების განხილვა - ლვა ჩხუბში, ომში ან ბრძოლაში გადაზრდის აუცილებლობის ჭრილში. კონფლიქტი შეიძლება იყოს უხილავიც, რომელიც პარადიგმატული გარდატეხის დროს თეორეტიკოსებსა და პრაქტიკოსებს შორის არსებობს და ხშირად უპირისპირდება ტრადიციულ ცნებებს. თუმცა, მასლოუს მოთხოვნებიანთა იერარქიაზე დარყდნობით, ბარტონი შეიმუშავებს ეგრეთ წოდებულ ონტოლოგიურ მოთხოვნებიანთა თეორიას და შესაძლებლად თვლის ინდივიდის სოციალიზაციის ინსტიტუტების მოთხოვნებიდან გამომდინარე. იგი თანდაყოლილ და უნივერსალურ ადამიანურ მოთხოვნებიანთა (უსაფრთხოება, იდენტურობა (თვითგამორკვევა), პატივისცემა, ჯგუფთან კუთვნილება და ა.შ.) ინსტიტუტების შეწყობის გზით გვთავაზობს გეზის არჩევას.

სწორედ ახლა, სანამ მოვლენებს ჩამორჩენილ საქართველოს ორიენტირებზე ვილაპარაკებდეთ, მინდა ტერმინი “პოსტკომუნიკაცია” შემოვიტანო, რომელიც ჩემი მოგონილი არ განლავთ ეს ტერმინი პირველად 1994 წელს ახალგაზრდა ქართველმა ინტელექტუალმა გამოიყენეს ქარვასლაში მოწყობილი გამოფენის სათაურად და ასეთი განსაზღვრება მისცეს: პოსტკომუნიკაცია საზოგადოებრივი მდგომარეობაა, როდესაც მთავრდება კომუნიკაცია მაღალ ემელონებში და წარმოჩინდება მისი შედეგები საზოგადოებაში. იგი არა მხოლოდ პირად ურთიერთობებზე, არამედ თანამედროვე ტექნოლოგიებზეც ვრცელდება და ამ ტექნოლოგიების საშუალებით დაიძლევა დროისა თუ მანძილის ბარიერები. უფრო მარტივად, გამორთული ტელეფონის ყურმილის აღება და დადება არ ცვლის ადამიანის შინაგან განწყობილებას, ქცევას, მაგრამ მნიშვნელოვანმა სატელეფონო საუბარმა შეიძლება ძირეულად შეცვალოს ადამიანის არა მხოლოდ გუნება-განწყობილება, არამედ შემდგომი ცხოვრებაც.

მაგრამ სხვაგვარი ეფექტი აქვს გამორთულ ტელევიზორს. მას შეუძლია არა მხოლოდ მის წინ დადგმული ყვავილების ლარნაკი ან ჩავლილი ბავშვის გამოსახულება აირეკლოს, არამედ, არა აქვს მნიშვნელობა ჩვენ მას ჩავრთავთ თუ არა, ტელევიზია, როგორც დამოუკიდებელი სუბიექტი “*ἰδῶν ἄνθρωπος ἢ ἀκούων ἄνθρωπος ἢ ἰδῶν ἄνθρωπος*” (მიხეილ რომი) და

ანონიმთა მიერ შემუშავებულ საზოგადოებრივი ევოლუციის ნორმებს გვინერგავს. მას-მედიის ანუ მეოთხე ხელისუფლების ძალა იმდენად შთამბეჭდავია, რომ მას ვერც თბილისის და ვერც ოსტანკინოს დამწვარი ტელანძები ვერ შეაჩერებენ. ამას ემატება კომუნიკაციათა ახალი ტექნოლოგიები: ინტერნეტი თუ ოპტიკური კაბელი, რომელთა ელექტრული ბზული დედამიწის ბრუნვის გრუხუნს ეტმასნება, ჩვენს ყურს არ ესმის, ინფრა-უხილავია და ვერცა ვგრძნობთ სად იმალება გორგონას თავი. ანონიმს უპყრია ელექტრული სადავეები.

პოსტკომუნიკაციის ცნება თავისი ვიწრო გაგებით ზედმიწევნით მიესადაგება საქართველოს დღევანდელ მდგომარეობას. დამოუკიდებლობის ხელმეორედ მოპოვების ათი წლის თავზე თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ განვთავისუფლდით დოგმებისაგან, არ გაგვაჩნია სახელმწიფო თუ ეროვნული იდეოლოგია, პოსტსაბჭოური აზროვნების ეს “მდარე გადმონაშთი”.

ჟან ბოდრიარი წერს: “ამერიკამ ვიეტნამის ომი წააგო, ჰოლივუდმა - მოიგო”. “არ იარსებებდა ერასყის ომი, რომ არა ინფორმაცია ომის შესახებ-”ო.

ესეიგი, დღეს ომებს (ისევე, როგორც ყოველთვის) იდეოლოგია იგებს და მისი გაშუქების წყაროები მძლავრი იარაღებია. ხელოვნებას კი ყველაზე მეტად ძალუძს ადამიანთა ცნობიერების გავლენის ქვეშ დაქვემდებარება. საქართველოში არ შექმნილა ამ 10 წლის განმავლობაში არცერთი მხატვრული ნაწარმოები, რომელსაც თავისუფლების მოპოვების სიხარული, საკუთარ ძალთა რწმენა, აღმშენებლობის პათოსი მოეტანა.

ერთიანი სტრატეგიის დეკლარირებით, დღეს სიტყვა “ეროვნული” მსოფლიო მასშტაბში აგრესიის მატარებლად იქცა. მეტალისტები და როკერები, ჰიპები და პანკები ინდივიდუალობის გამოსახატავად გამოიწვევე, გარეგნულად ვულგარულ ფორმებს ირჩევენ, მაგრამ მათი გამოსვლები აგრესიად არ ითვლება, ვინაიდან რევოლუციაში გადასვლის საფრთხეს არ წარმოადგენენ. მათი ცხოვრებისეული ფილოსოფია დიდ მასშტაბებს ვერ წვდება და თანაც ენერჯისგან დაცლის ადვილად სამართავი ფორმები გააჩნია – ხმაურიანი დისკოთეკები, ალკოჰოლი, ნარკოტიკები და ქუჩის ჩხუბები.

კისინჯერი უპირისპირებს რა ერთმანეთს საბჭოთა წყობას და დასავლურ დემოკრატიას, გამოყოფს პრიორიტეტებს: “სტაბილური პოლიტიკური სტრუქტურების მქონე მთავრობები არ მიმართავენ რევოლუციურ ან ავანტიურისტულ საგარეო პოლიტიკას იმისათვის, რომ ალაღვინონ ან შეინარჩუნონ შინაური სიწყნარე”. (“რეალიზმი მეოცე საუკუნის საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიაში”)

ეროვნული თუ ნაციონალური თვითიდენტიფიკაცია უფრო ფუნდამენტალური ადამიანური საწყისებიდან მოდის. მისი პროპაგანდა დღეს მსოფლიოს ახალ წესრიგს დიდ საფრთხეს მოუტანდა. არც მთლად ნიველირება გამოდის. თედ რობერტ გერი ადამიანის მოთხოვნილებათა ჩამოყალიბებას სოციუმში ხედავს, რომლის გასაღებიც სოციო-ეკონომიკაა. ფრუსტრაცია ამ მოთხოვნილებათა დაუკმაყოფილებლობითაა გამოწვეული. ‘რატომ ჯანყდება კაცი?’ – Ted geri Relative Deprivation-ის მოლოდინთა გაცრუებით, შესაძლებლობის მიუწვდომლობით ხსნის, რაც შემდგომში გადაიზრდება კულტურულ რელატივიზმში. არაერთგვაროვანი სუბკულტურული გარემო მოლოდინთა არ გამართლებით აყალიბებს კონფლიქტს (Ted Robert Gurr “Relative Deprivation and The Impetus to Violence”).

ხომ არ ჯობია ვალუე ეხპეტატონ და ვალუე ცაპაბილიტიეს თივის ზვინში ჩამალული ნემსივით არსებობისათვის ყოველდღიურ ბრძოლაში ჩაიკარგოს. ქვენა სექტორს, ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, დიდი ძალისხმევა სჭირდება. იგი ინფორმაციის დიდ ნაკადში თავს უმწეოდ, უვიცად ჩათვლის და დაკარგავს საკუთარი თავისადმი რწმენას. ახალი წესრიგის მქადაგებლები კი თავს აარიდებენ ნეორეაქტიულ

ძალებს, ვინაიდან გამონთავისუფლებული ეროვნული სული კონფლიქტის შესაძლო ცხელი კერაა. მის მოსაგვარებლად ქემფთაუნის ტყე ძალზე პატარაა.

ხშირად მებადება კითხვა: კონფლიქტოლოგია კონფლიქტთა მოგვარების თუ მოწყობის ტექნიკას შეისწავლის? მწირი რესურსების გადანაწილებისას დღეს განვითარებული ქვეყნების დაბალ სოციალურ ფენებზე მეტად დაბალგანვითარებული ერი-სახელმწიფოების ხალხები იჩაგრებიან. სახელმწიფოების იერარქიებად დაყოფამ, სექტორებმა, რესურსებისა და ეკონომიკურ ურთიერთობათა არასამართლიანი გადანაწილება გამოიწვია. ისტორიულად უმდიდრესი ინდოეთი და მრავალსაუკუნოვანი აფრიკის ქვეყნები დღეს შიმშილით სიკვდილის პირას აღმოჩნდნენ.

პოსტკომუნიკაციის უფრო კონკრეტული მაგალითია მრავალ-მილიონიანი (და ხანდახან მილიარდებიანი) ჰუმანიტარული პროგრამები, რომლებიც ჩ-ის და ჩ -ის არხებზე კარიკატურულად გამოიყურებიან. გვალვისაგან გადახრუკულ, ან წყალდიდობისაგან დატბორილ აფრიკის ქვეყნებს თვითმფრინავებიდან პაკეტებით სასმელ წყალს უყრიან, ტომრებით ფქვილსა და შაქარს უზიდავენ – ეს ყოველივე ხანგრძლივი მოლაპარაკებების, ინტერაქტიული კომუნიკაციების, ზღვა საქაღალდო სამუშაოების შედეგებია. პოსტკომუნიკაცია ისეთი სოციალური მდგომარეობაა, რომელიც ხან მოლოდინს (ვინ რას გადმოგვიგდებს თვითმფრინავიდან), ხან გულისწყრომას და ხანაც საკუთარი თავის სიბრალულს გამოხატავს.

ჩვენს სიტუაციაში პოსტკომუნიკაცია პოლიტიკური, ტერიტორიული მოწყობის, რელიგიური დაქსაქსვის მოლოდინებში გამოიხატება – ჩვენთვის

უხილავ ინფრა-სინშირებზე როდის გადაგვიწყვეტენ ლოკალურ პრობლემებს.

პოსტკომუნიკაციური მდგომარეობის დაძლევის საუკეთესო საშუალებაა:

1. პასუხისმგებლობის აღება საკუთარ თავზე გადაწყვეტილებათა მიღების დროს;
2. მოქმედების სურვილი;
3. სტრატეგია;
4. ტაქტიკა.

ნოამ ჩომსკი თავის წიგნში “რა უნდა სინამდვილეში ანკლ სემს” წერს:

“დიდი საიდუმლო არ არის ის, თუ სად იმყოფება ნამდვილი ძალაუფლება შეერთებულ შტატებში. ის ძირითადად იმყოფება იმ ადამიანების ხელში, ვინც იღებს საინვესტიციო გადაწყვეტილებებს - იმის შესახებ თუ რა უნდა აწარმოონ და რა უნდა მიაწოდონ აქა იქ.

მათი ერთ-ერთი ყველაზე დიდი სურვილია რომ ჰყავდეთ პასიური, მორჩილი მოსახლეობა. აქედან გამომდინარე, ჩვენ ნამდვილად შეგვიძლია გავაკეთოთ ერთი რამ მათი მოფორტის დასარღვევად. ეს არის ის, რომ არ ვიყოთ პასიურნი და მორჩილნი. ამის გაკეთებისათვის კი ბევრი გზა არსებობს.”

ყოველივე ზემოთ თქმული შეიძლება კანონის უზენაესობის, დემოკრატიზაციის წინააღმდეგ გამოსვლად მიიჩნიოთ, ამიტომ მინდა უფრო კონკრეტულად ჩამოვავალიბო ჩემი მონათხრობი. დემოკრატიზმის წინააღმდეგ გალაშქრება კი არა, ჩვენს ქვეყანაში მისი დამკვიდრების დასაწყისშივე წინასწარ თქმული ფაქტორებია, რომლებიც შეგვიძლია გავითვალისწინოთ სხვა ქვეყნების გამოცდილებიდან. ეს ის სირთულეებია, რომლებსაც დემოკრატია უკვე გადააწყდა ევოლუციის პროცესში. დაზღვეულები არც ჩვენ ვიქნებით შეცდომებისაგან. დონ ხუანი

კარლოს კასტანედას მთაში სიარულისას აფრთხილებს: “დაზღვეული არაფრისგან ხარ, გზაში შეიძლება თასმა შეგეხსნას ფენსაცემელზე, შესაკრავად დაიხარო, ლოდი დაგეცეს და დაილუპო. შენი ერთადერთი გარანტიაა, წასვლის წინ თასმები მაგრად შეიკრაო”.

ხოლო რაც შეეხება არ ვიყოს „პასიურები და დავარღვიოთ მყურღობა” – სტრატეგიის არჩევანში გამოიკვეთება რა გზას დაადგება ქართველი ერი

მოქმედების დროს. რომ არა კონფლიქტური სიტუაცია, დაუკმაყოფილებლობის შეგრძნება, მრავალი გარდაქმნა თუ პროგრესი არ იარსებებდა (თუმცა არსებობს უამრავი მოსაზრება, რომელიც პროგრესს უარყოფს). არაპროგრესირებადი ერები ნელ-ნელა გაქრნენ, თვით სრული იდეალური მოდელები აღარ განვითარდნენ. ისინი წყნარად ისტორიას ჩაბარდნენ. (არაფერს ვიტყვი ერთეულებზე, რომლებიც თანამედროვე ცივილიზაციამ მუზეუმის საცავით ეტალონებად შემოგვინახა).

დაუკმაყოფილებლობით გამოწვეული მოქმედების სურვილი პირველ რიგში გააზრებული, მშვიდობიანი მოქმედებით უნდა გამოიხატოს. სოციალური გარდაქმნების მეთოდი ინდივიდუალური თავისუფლებისაკენ უნდა წარიმართოს. ამ თვალსაზრისით არა მარქსისტი რადიკალები, იგივე პოსტმოდერნისტები დღეს ბევრ წარმატებებს აღწევენ, მათი ცოდნა და გამოცდილება უდაოდ ბევრ სიკეთეს მოგვითმანს. მარტინ ლუთერ კინგი წერდა “დარწმუნებული ვარ, რომ ადამიანი წარმოადგენს მიზანს... ადამიანი კი არ არის შექმნილი სახელმწიფოსთვის, არამედ სახელმწიფოა - ადამიანისთვის. მაჰათმა განდი ძალადობას და ბოროტებას მთელი ენერჯითა და ძალით ებრძოდა, მაგრამ იგი ეწინააღმდეგებოდა არა სიძულვილით, არამედ სიყვარულით”. ირაკლი კაკაბაძე სიკვდილის ფილოსოფიის მაგიერ სიყვარულის დოქტრინას გვაცნობს “მისი ავტორი ყოველი ჩვენთაგანი შეიძლება იყოს. მისი წინამძღვრები კი მოცემულია დიდ რელიგიურ სწავლებებში, ხელოვნების ნაწარმოებებსა და მეცნიერულ და ფილოსოფიურ ნაშრომებში”.

ამრიგად, სტრატეგია კონფლიქტების ჩახშობა ან მიჩქმალვის გზას კი არა, მათი მიზეზების დადგენის საფუძველზე ეროვნული იდეოლოგიის გზამკვლევად უნდა მოგვევლინოს, რაც სახელმწიფოებრიობის შეგრძნებას, იდენტიფიკაციას, ინდივიდთა მონაწილეობის სურვილს გაადრმავეებს. დიდი სიყვარული შელახულ, გაღანძვლულ ერს გააცოცხლებს. სახელმწიფოს ლიდერი, რომელიც თავს დასდებს ყოველი მოქალაქის უფლების დასაცავად, დაანახებს ხალხს ურთიერთობისა და თანამშრომლობის ძალას, მიზნებისაკენ სიკეთით სვლას, არ მოერიდება პატრიოტიზმის გამოვლინებას – უდაოდ შეცვლის დღევანდელ ნიჰილიზმს. ამიტომ ვფიქრობ, რომ სიტუაციას არა ანონიმური კანონის სახელით უნდა გავუძღვეთ წინ, არამედ პიროვნებებით, რწმენითა და ენერჯით აღსავსე ინდივიდებით, რომელთა ქარიზმატ პოსტკომუნიკაციურ მოდელს დაამსხვრევს.

## **აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების გზების ძიებაში**

**ეკა ჯინორიძე**

### ***ქართულ-ამერიკული საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი***

ტერმინი კონფლიქტი, ვებსტერის განსაზღვრებით “ჩხუბს, ომს, ბრძოლას ნიშნავს” და ძირითადად მხარეთა შორის კონფრონტაციას გულისხმობს. მაგრამ დღევანდელი გაგებით ამ ტერმინმა უფრო ფართო მნიშვნელობა შეიძინა და ხშირად იგი ფსიქოლოგიურ კონფრონტაციასაც გულისხმობს. იგი იდეის, ინტერესებისა და სხვათა მკვეთრ უთანხმოებას

მოიცავს, რომელიც სრულიადაც არ არის სავალდებულო მხარეთა შორის ჩხუბში, ომში ან ბრძოლაში გადაიზარდოს. ამრიგად, ხშირად კონფლიქტს უხილავი ხასიათი შეიძლება ჰქონდეს, როგორც იყო მაგალითად, ცივი ომის პერიოდში “წითელ” და “არაწითელ” მსოფლიოს გადანაწილების დროს.

კონფლიქტების მოგვარება შედარებით ახალი ცნებაა, რომელიც ჯერ-ჯერობით არ არის რომელიმე საყოველთაოდ აღიარებული მსოფლმხედველობის ნაწილი. ამიტომ კონფლიქტური სიტუაციების განხილვისას უპრიანი იქნებოდა გაგვეკეთებინა განსხვავება ორ ტერმინს – კონფლიქტსა და უთანხმოებას შორის. ამ ორ ტერმინს კონცეპტუალური დიფერენციაცია გააჩნია: “ერთის მხრივ, არის სიტუაციები, რომლებიც მოლაპარაკებადია და მეორეს მხრივ, სიტუაციები, სადაც კომპრომისი შეუძლებელია. ეს განსხვავებული კონცეფციები გულისხმობენ უთანხმოებების და კონფლიქტების მოგვარების სრულიად განსხვავებულ მიდგომებს.” (“კონფლიქტების მოგვარება, როგორც პოლიტიკური ფილოსოფია” ჯონ ბარტონი).

ჩვენ როდესაც ლაპარაკს ვიწყებთ აფხაზეთის თემაზე, ვცდილობთ ემოციურ გამონათქვამებზე შევიკავოთ თავი და ვიყოთ რაც შეიძლება კონსტრუქციულები. კონსტრუქციულობა გულისხმობს მოვლენის ეტაპობრივ აღწერასაც, ფაქტების კონსტატაციას და იმ მიზეზების გამოძიებას, რის საფუძველზეც იქმნება კონფრონტაცია. შეგვიძლია გამოვყოთ საკითხები, რომლებიც მოლაპარაკებადია.

ჩვენი ძირითადი პრობლემა დღეს-დღეობით არის ის, რომ როდესაც აფხაზეთის თემაზე ვიწყებთ ლაპარაკს, ვიწყებთ იმ საკითხებიდან, სადაც კომპრომისი დაუშვებელია და სწორედ აქ არის ჩვენი შეცდომა.

საქართველოს კონსტიტუციის პირველი მუხლის პირველ ნაწილში ვკითხულობთ: “საქართველო არის დამოუკიდებელი, ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო, რაც დადასტურებულია 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმით, რომელიც ჩატარდა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის აფხაზეთის ასსრ-ში და ყოფილ ოსეთის ავტონომიურ ოლქში და 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი” (საქართველოს კონსტიტუცია, I თავი, I მუხლი, I ნაწილი).

ამრიგად, აფხაზეთი არა მხოლოდ ისტორიული, ძირძველი ქართული ტერიტორიაა, არამედ მისი საქართველოს ერთიან ნაწილად გაფორმება დამოუკიდებლობის აღდგენის დროს მოხდა ხალხის გადაწყვეტილებით, ხალხის, რომლის 17%-ს აფხაზები შეადგენდნენ. რეფერენდუმმა დადასტურა ადგილობრივი მოსახლეობის სურვილი და ეს არც ყოფილა საკამათო თემა, ვიდრე გარე ძალები ჩაერეოდნენ.

დაპირისპირების მიზეზი, როგორც ვხედავთ არა აფხაზ და ქართველ ხალხს შორის უნდა ვეძებოთ, როგორც ამის აღწერას ცდილობენ რუსი ჟურნალისტები, არამედ ძირები ვეძიოთ რუსეთის კავკასიის ხალხების მიმართ არჩეულ პოლიტიკაში, რომელიც დამყარებულია ძალისმიერ მეთოდებზე და ცდილობს ძალაუფლების შენარჩუნებას ყველანაირი გზებით: იქნება ეს ღია კონფრონტაცია თუ ინსინუაციები, ფარული მეთოდები შუღლის ჩამოგდების, ეკონომიკური სანქციები და ა. შ.

რუსული პოლიტიკა, ისევე როგორც სხვა დიდი სახელმწიფოების პოლიტიკა, ისტორიულად ჯერ ისევე ფეოდალური პერიოდიდან დამყარებულია ძალისმიერ პრინციპზე, რომელსაც მაიკლ ბენსი თავის სტატიაში “საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინა: კონფლიქტების მოგვარების მომგებიანობა თუ წამგებიანობა” “პოლიტიკურ რეალიზმს” უწოდებს.

დენის სანდოლი აღწერს კონფლიქტების მოგვარების 4 პოლიტიკურ ფილოსოფიას:



1. რეალპოლიტიკა;
2. იდეალპოლიტიკა;
3. მარქსიზმი;
4. არამარქსისტული რადიკალიზმი;

ეს პოლიტიკური ფილოსოფიები კონცეპტუალურად განსხვავდებიან საკითხის წაკითხვის და საკითხის დასმის თვალსაზრისით. თვითოეული მათგანი ადამიანის ბუნების სხვადასხვაგვარ ახსნას გვთავაზობს. ძირითადი განხეთქილების ვაშლი რეალპოლიტიკასა და იდეალპოლიტიკას შორის არის ადამიანური ბუნების შესახებ მოსაზრებაა.

რეალპოლიტიკა ამტკიცებს, რომ ადამიანის ბუნება ბოროტია, იგი ცოდვის შვილია და მას არ ძალუძს იყოს კეთილი. მხოლოდ მცირეოდენ პროცენტს შეუძლია იყოს კეთილი. ამიტომ ადამიანმა ძალით უნდა მოიპოვოს ადგილი სოციუმში და მის ძლიერებაზე დამოკიდებული, თუ რა იერარქიაში მოხვდება იგი. (ცნობისათვის იხილეთ ჰანს მორგენტაუს, ჯორჯ კენანის, ჰენრი კისინჯერის ნაწერები. რედ.)

მეორე შეხედულება, უფრო იდეალისტური კი ამტკიცებს, რომ თუმცა ადამიანში არსებობს წინააღმდეგობები, მაგრამ ადამიანს აქვს არჩევანი და ძალუძს მიიღოს გადაწყვეტილება სიკეთის სასარგებლოდ. ადამიანს აქვს შანსი, რომ მოუყაროს თავი ერთად საკაცობრიო აზროვნებაში დაგროვილ პოზიტიურ გამოცდილებას და შექმნას ჰარმონიული საზოგადოება.

ამ ძირეულად განსხვავებული წარმოდგენების უკან დგას მთელი მსოფლიოს მოწყობის პრინციპი, რომლებიც ძირითადად პირველ აზრს იზიარებენ და მათ სანდოლი “რეალპოლიტიკოსებს” უწოდებს. ეს საზოგადოების მოწყობის ისეთი პრინციპია, როდესაც ძირითადი დევიზი – ადამიანი ადამიანისათვის მგელია – ბატონობს. აქ აშკარად გამოკვეთილი იერარქიულობის, კონკურენციის ტენდენციაა იერარქიის მძლავრად გამოკვეთილი ვერტიკალიზმით. ვერტიკალის ზედა ფენა მბრძანებლობს, იმორჩილებს და ბატონობს ქვედა ფენებზე. ეს არის მმართველობის იძულებითი ფორმა, რომელმაც გამოიწვია უამრავი ომები, აჯანყებები და ისტორიულად დაგვანახა, რომ მას თუმცა, “პოლიტიკური რეალიზმი” ჰქვია, იგი საკმაოდ დაშორებულია რეალობისაგან და თვითდამანგრეველია.

იდეალიზმი კი ადამიანის რწმენაზე, სიყვარულზე დაფუძნებული თეორიაა, რომელსაც თანამშრომლობის, ურთიერთპატივისცემის და ურთიერთობების სურვილი ახასიათებს. ბარტონი ამ თეორიის კრიტიკაში წერს, რომ “ძირითადი ნაკლი აქვს ის, რომ მას არ შეუძლია ახსნას კონფლიქტი, რის გამოც ვერ ამართლებს ალტერნატიულ პოლიტიკას”.

თუმცა, არსებობენ ცივილიზაციები, რომლებიც უფრო ჰარმონიულად არიან მოწყობილნი, კოლექტივიზმის თუ პასუხისმგებლობის შეგრძნების მაღალი დონით და ეს ცივილიზაციები, გამოკეტილნი თავის თავში თვითმყოფადი ელემენტებია და თვით სრულ ჰარმონიულ საზოგადოებას ქმნიან.

იდეალპოლიტიკოსები საზრდოობენ ჰუმანიტური იდეებით, გამოდიან რა იდეალიზმის ფილოსოფიიდან (ჰეგელი) და შესაძლებლად თვლიან საზოგადოების ამგვარად მოწყობას.

რუსული პოლიტიკა დამყარებული იყო მარქსისტულ მოძღვრებაზე, რომელიც თავისი არსით იყო მატერიალისტური, ფორმით სოციალისტური და ფორმალურად იმ მაღალ ჰუმანიტურ იდეალებს ასახავდა, რომლებიც იდეალისტებისათვის ალბათ, უფრო გასაგები უნდა ყოფილიყო, ვიდრე ასე ეგონათ მაშინდელ ფილოსოფოსებს.

იგი უარყოფდა კლასობრივ დიფერენციაციას – საზოგადოების დაპირისპირებულ სოციალურ ფენებად დაყოფას და ერთი შეხედვით ხალხის ინტერესების დამცველად გვევლინებოდა.

მაგრამ ეს ყველაფერი მხოლოდ ქაღალდზე რჩებოდა. სინამდვილეში იერარქიული სისტემა პარტიული ნომენკლატურის კასტურ პრინციპებს აღიარებდა. პარტია, როგორც მამოძრავებელი ძალა, იყო სახელმწიფოს წარმმართველი და იგი იღებდა თავის თავზე ყველანაირ პასუხისმგებლობას: იქნებოდა ეს რესურსების გადანაწილება თუ უფრო გლობალური – სხვადასხვა ერებზე ძალაუფლების გადანაწილება.

რეალპოლიტიკაც პრინციპში რესურსებისა და ძალაუფლების უკმარისობაზე (დატაცებაზე) აკეთებს აქცენტს. მაგრამ განსხვავება მარქსიზმსა და არამარქსისტულ თეორიებს შორის არის ის, რომ მარქსიზმმა უარი თქვა საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე და მართვის ცენტრალიზებული სისტემის საშუალებით ერთიანი დაგეგმარების პრინციპით სტანდარტიზაციის მაღალ საფეხურს მიაღწია. სტანდარტიზაცია არა მხოლოდ წარმოების საშუალებებით წარმოებულ საქონელზე, არამედ ხალხთა სტანდარტიზაცია, რომლებსაც ერთიანი სამშობლო – სსრკ და ერთი რწმენა კომუნიზმის მშენებლობა ექნებოდათ. ამავე დროს თვით რუსი ხალხი გამოდიოდა ჰეგემონის როლში, თავის გადაწყვეტილებებს ახვევდა ამ ხალხებს და ცდილობდა გაეფართოვებინა თავისი ქვეყნის საზღვრები. რუსეთის იმპერიალისტური მისწრაფებები საბჭოთა კავშირის რღვევის შემდეგაც საკმაოდ მტკივნეულად იგრძნობა იმ ხალხებთან მიმართებაში, რომლებსაც სურთ ამ იმპერიიდან თავის დაღწევა.

ჩვენს შემთხვევაში რუსეთისთვის ძალზე მტკივნეული აღმოჩნდა პოზიციების დათმობა ამიერკავკასიაში, სადაც მას მძლავრად გამაგრებული სამხედრო ძალები, სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ბაზები ჰქონდა განლაგებული.

ამასთან, შავი ზღვის ეს სანაპირო მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქვეყნის ეკონომიკაში. რუსული პოლიტიკა თავიდანვე იყენებდა რომაელთა სტრატეგიას “დაშალე და იბატონე”. ეს პრინციპი უფრო აშკარა გახდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ. მოგეხსენებათ “ციხე შიგნიდან გატყდებისო”. ამიტომ ამიერკავკასიაში ლოკალური კონფლიქტების გაჩაღება რუსეთს საშუალებას აძლევდა კავკასიის ქვეყნებთან საურთიერთობო ბერკეტების შენარჩუნებაში. კავკასიური სახელმწიფოები კი ჯერ ფეხზე ვერ დამდგარნი, დამოუკიდებლობას შეუჩვეველნი ვერ ანხორციელებდნენ სათანადო პოლიტიკას. ეროვნულ და პატრიოტულ გრძნობებს აყოლილი მოსახლეობა თითქმის უმართავი შეიქმნა და სიტუაციის რეალური შეფასების, ერთიანი პოლიტიკის შემუშავების საფუძვლები ვერ ჩაიყარა. ყოველივე ამან გამოიწვია ღია კონფრონტაცია, ჩვენ მივალწიეთ სისხლიან შეტაკებებს, რომლებმაც უფრო გაამწვავა დაპირისპირება ეთნიკურ დონეზე. საქართველოს დამოუკიდებლობის პირველივე წლები რთული იყო მრავალი შიდა ფაქტორის გამო. ქვეყანა მოუშზადებელი აღმოჩნდა ერთბაშად შერკინებოდა დამოუკიდებელი მმართველობის სირთულეებს, საგარეო პოლიტიკის თუ ურთიერთობების გამოუცდელობას. ყოველივე ეს ნაყოფიერ ნიადაგს ქმნიდა რუსეთისათვის ზეგავლენა მოეხდინა აფხაზ, ოს თუ მთიანი ყარაბახის მოსახლეობაზე.

მოდით ისევ აფხაზეთს დაუბრუნდეთ. რა იყო იმის მიზეზი, რომ ავტონომიურმა რესპუბლიკამ სუვერენულ სახელმწიფოდ გადაქცევა მოითხოვა. იყო ეს ხალხის ნება თუ სეპარატისტთა მცირე ჯგუფის მიერ ხელოვნურად ინსპირირებული, საქართველოს ერთიანობის წინააღმდეგ მიმართული აქტი?

სემუელ ჰანთინგტონი ჩამოყალიბების პროცესში მყოფ ახალ მსოფლიოსათვის კონფლიქტის წყაროდ მიიჩნევს არა იდეოლოგიას ან ეკონომიკას, არამედ ცივილიზაციურ კუთვნილებას. ცივილიზაციას იგი განსაზღვრავს როგორც ადამიანთა კულტურული იდენტურობის ყველაზე ფართო დონეს და ობიექტური ხასიათის საერთო ნიშნების არსებობით როგორიცაა ენა, ისტორია, რელიგია, ზნე-ჩვეულებანი და ადამიანთა სუბიექტური თვითიდენტიფიკაცია.

როგორც ცნობილია, აფხაზი ხალხი, ისევე როგორც მეგრელი, სვანი თუ კახელი, ისტორიულად, ინსტიტუციონალურად ჩამოყალიბდა როგორც ერთიანი ქართველი ერი თვითიდენტიფიკაციის მძლავრი მითოლოგიური საფუძვლით – ქართლოსის შვილები, რომლებმაც ამ ეროვნული ერთიანობისათვის ხანგრძლივი და მძიმე ისტორია გამოიარეს. მაშ რატომ ისმის დღეს “აფხაზი” და “ქართველი” საიდან ჩნდება ეს დაპირისპირება ნუთუ რელიგიურ ნიადაგზე? ალბათ არა, ვინაიდან საქართველოს მუსულმანურ მოსახლეობის სხვა ნაწილებთან ამ მოძრაობას საერთო არაფერი აქვს. იგი ცალკე, განყენებულ დგას და არც პრეტენზიას გამოთქვამს ამ ნიშნით.

ჰანტინგტონი წერს: ცივილიზაციები განსხვავდებიან ისტორიით, ენით, კულტურით, ტრადიციებით და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია რელიგიით. როგორც ვხედავთ, ისტორიული, ტრადიციული, კულტურული და როგორც უკვე ავლნიშნეთ რელიგიური საფუძვლები ამ კონფრონტაციას არ გააჩნია. ამ თვალსაზრისით უფრო დიდი განსხვავებაა რუსულ-სლავურ და აფხაზურ-ქართულ ცივილიზაციებს შორის. მაშ რატომ ექცევა ასე მძლავრად რუსული ზეგავლენის ქვეშ აფხაზური ფრთა თუ არა სეპარატიზმი?

საქართველომ დღეს გეზი დასავლეთისკენ აიღო. დამოუკიდებლობის გამოცხადებასთან ერთად მან კურსი დემოკრატიაზე, ამერიკული ტიპის საპრეზიდენტო მმართველობაზე აიღო. ჩემი აზრით, სწორედ აქ ჩნდება რეალური დაპირისპირების საფუძველი – რუსეთი ორიენტირებულია მართლმადიდებლურ-სლავურ იდენტიფიკაციაზე, საქართველო კი - ევროპულ, ჩრდილო-ამერიკულზე. მათი ინტერესები მსოფლიოს ახალი გადანაწილების პერიოდში იმიჯნება, ხოლო ცხელი წერტილების შესაქმნელად მოხერხებულია ურთიერთშუღლის თესვა. ეს შენელებული ნაღმი ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის პერიოდში იქნა ჩადებული, როდესაც აფხაზეთში რუსეთიდან ინიშნებოდნენ ადგილობრივი მმართველობის ორგანოების მოხელეები და ხელს უწყობდნენ სეპარატიზტული, შოვინისტური იდეების გაღრმავებას. სწორედ საბჭოთა პერიოდში შეიქმნა აფხაზური დამწერლობა რუსული ანბანის – კირილიცას საფუძველზე, გაიხსნა აფხაზური სკოლები და ბოლოს აფხაზური უნივერსიტეტი. დაპირისპირება ადგილობრივ მოსახლეობაში ჯერ არ იგრძნობოდა. დაპირისპირება იყო მხოლოდ ზედა ფენებში – აფხაზურ ნომენკლატურასა და საქართველოს უზენაეს ნომენკლატურებს შორის. ქვედა ფენებში ეს მხოლოდ სტუმრების მიმართ მსუბუქად იგრძნობოდა – უპირატესობა ენიჭებოდათ რუს და უცხოელ ტურისტებს, საქართველოს სხვა მოსახლეობა მათთვის ნაკლებად საინტერესო იყო. ამას თან დაერთო ეკონომიკური საფუძველი – ციტრუსების დიდი სამომხმარებლო ბაზარი რუსეთი იყო.

თედ გერი თავის წიგნში “რატომ ჯანყდება კაცი” აღწერს მოლოდინების თეორიას, რომელიც შესაძლებლობების თეორიასთან პარალელურად იძლევა ადამიანის დაუკმაყოფილებლობის შეგრძნებას.

რას ნიშნავს ადამიანის დაუკმაყოფილებლობის შეგრძნება? მასლოუს თეორიის მიხედვით ადამიანს ბუნებრივად, სოციოლოგიურად გააჩნია ყველაზე დაბალი, ფიზიოლოგიური მოთხოვნილებანი. როგორც კი ეს მოთხოვნილებანი დაკმაყოფილდება, ადამიანი მოთხოვნილებათა უფრო მაღალ საფეხურზე გადადის – ეს არის უსაფრთხოების, სოციალური, თვითგამორკვევის და სხვა მოთხოვნილებები.

რას მოელოდა აფხაზური სეპარატიზმი და რა შესაძლებლობებს ხედავდა იგი თავის სუვერენიტეტის მოთხოვნაში? დღეს, როდესაც მსოფლიო ინტეგრაციულ პროცესებშია ჩართული და გლობალიზაციის კურსით მიდის, დღეს, როდესაც ასე გადაიქსაქსა საერთაშორისო საბაზრო ქსელები, მცირე ერები, ქვეყნები, ცდილობენ სხვადასხვა ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ ბლოკებად გაერთიანებას. ამავე დროს ისეთი ქვეყნები, სადაც იოლია ურთიერთობათა გამწვავება, ქუცმაცდებიან და ერთიმეორესთან შუღლში ისუსტებენ

ძალებს. (ამის ნათელი მაგალითია იუგოსლავია).

დაქუცმაცებული საქართველო ხომ უფრო ძნელად დადგება ეკონომიკურად ფეხზე, ხომ უფრო ღიდხანს იქნება ხელშემყურე სხვა ქვეყნებისა. ნუთუ ეს აწყობს ქართველ ხალხს?

ყველა ეს კითხვა უარყოფითი პასუხით მთავრდება და ალბათ აფხაზებს რომ დაუსვამთ, ვერც გვიპასუხებენ, თუ რატომ ხდება ასე.

მაგრამ წლებთან ერთად უნდა გამოიკვეთოს ის ძირითადი მიმართულება, რომელიც შემდგომ ურთიერთობებს განაპირობებს. არის მრავალი მოსაზრება. ბევრი თვლის, რომ ამ საკითხის მოგვარება ძალისმიერი მეთოდების გარეშე შეუძლებელია. ბევრს ომის ჭრილობებიც არ მოშუშება და შურისძიების ჟინი, თავგანწირვა ამოძრავებს. ამის მაგალითებია ის პარტიზანული მოძრაობები, რომლებიც ხანდახან დღეს-დღეობით კიდევ გამოყოფენ ხოლმე თავს გალის რაიონში. (თუმცა, არის მოსაზრებაც, რომ ეს პარტიზანული მოძრაობა არა წმინდა პატრიოტულ ნიადაგზეა, არამედ ინსპირირებულია ისევ რუსული ძალების მიერ, რათა დისკრედიტაცია გაუკეთოს საქართველოს).

ზოგი თვლის, რომ კონფლიქტის მოგვარება შესაძლებელია მხოლოდ სამართლებრივი გზით, მოლაპარაკების მაგიდასთან. დღეს ბევრი ლაპარაკობს ალტერნატიულ პოლიტიკაზე, იქმნება კონფლიქტის შემსწავლელი მეცნიერება, ინსტიტუტები, რომლებიც ცდილობენ, რომ ფოკუსირება მოხდეს დიპლომატიაზე, როგორც ურთიერთობის ყველაზე მნიშვნელოვან ფორმაზე. ასეთი პოლიტიკა ცდილობს, არ დაექვემდებაროს ავტორიტარულ კონტროლს და პირველ რიგში გადაჭრას ადამიანური პრობლემები, უარი თქვას იძულებით ფორმებზე, რეპრესიებზე, რომლებიც ადამიანების განვითარებად მისწრაფებას დიდი ხნით ვერ დააკავებენ.

საქართველოს ყველა ეს პრობლემა მოსაგვარებელი აქვს. აფხაზეთის თემას რომც არ შევეხოთ, უამრავი სხვა რამ არის გასაკეთებელი მოსახლეობის მინიმალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების თვალსაზრისით: იქნება ეს ხელფასების თუ პენსიების საკითხი, სამომხმარებლო მინიმუმის საკითხი, უსაფრთხოების, სამუშაო ადგილების და ა.შ. ეს ყოველივე ისედაც ქმნის კონფლიქტურ გარემოს და მოითხოვს პრევენციულ სამუშაოებს. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ საზოგადოება აუცილებლად უნდა იქნას ჩართული კონფლიქტის საომარ მოქმედებაში გადაზრდაში. პირიქით, სახელმწიფო უნდა იქნეს მზად, რომ წინასწარვე აიცილოს თავიდან ეს სიტუაცია. მაგრამ მკაფიოდ უნდა იქნას გამოხატული ის მიმართულება, რასაც ცენტრი აირჩევს რეგიონების მიმართ. საქართველოს მოსახლეობისათვის გაურკვეველია ხელისუფლების პოლიტიკა აფხაზეთთან მიმართებაში – ერთი ნათელია, რომ სახელმწიფო არ აპირებს ამ პრობლემის მოგვარებას, თუმცა ის მიმართავს მოლაპარაკებებს საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით. მაგრამ წლები გადის და კონსტრუქციული ნაბიჯები არ იდგმება. ღრმავდება უფსკრული აფხაზურ და არააფხაზურ მოსახლეობას შორის. ამას ხელს უწყობს გათიშულობაც – არ არის არც სატელევიზიო, არც კულტურულ-ეკონომიკური კავშირები. მდგომარეობას ართულებს ენგურის ნაპირებთან მდგარი რუსული ჯარი.

ალბათ, ყველაზე ეფექტური და პრიორიტეტული დღესდღეობით სწორედ რუსეთის სამხედრო ნაწილების გაყვანაა საქართველოდან, ვინაიდან ამ კონფლიქტში დაინტერესებული პირი სწორედ რუსეთია და ამის გამო მას არ შეუძლია იყოს მიუკერძოებელი ამ ორ მხარეს შორის. რუსეთის ჯარი ვერ შეასრულებს სამშვიდობო მისიას. საერთაშორისო მოლაპარაკებებზე საქართველომ უნდა მოითხოვოს მათი შეცვლა ნეიტრალური სამშვიდობო ფორმირებებით.

ყველაზე მეტად შემაშფოთებლად მიმაჩნია საქართველოს კონსტიტუციის I თავის II მუხლის II ნაწილი: “საქართველოს სახელმწიფო ტერიტორიის გასხვისება აკრძალულია.

სახელმწიფო საზღვრების შეცვლა შეიძლება მხოლოდ მეზობელ სახელმწიფოსთან დადებული

ორმხრივი შეთანხმებით”. ეს მუხლი თავისთავად შესაძლებელს ხდის მეზობელ ქვეყანასთან შეთანხმებას საზღვრების შეცვლის თაობაზე.

ამას თან ერთვის VI მუხლის II ნაწილი, სადაც ნათქვამია: “საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ”. ჩვენს შემთხვევაში, თუ ვთქვათ, მოხდა რუსეთთან საქართველოს მოლაპარაკება აფხაზეთის ტერიტორიის თაობაზე და გაფორმდა საერთაშორისო საფუძველზე კონსტიტუციურად საქართველოს დამცავი მექანიზმი ეცლება ხელიდან. იბადება შეკითხვა ვის უფლებამოსილებაში შედის ამგვარი გადაწყვეტილება? “საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს უმაღლესი წარმომადგენელია საგარეო ურთიერთობებში” (თავი IV, მუხლი 69. 3.). “საქართველოს პრეზიდენტი დებს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, აწარმოებს მოლაპარაკებას უცხოეთის სახელმწიფოსთან” (თავი IV, მუხლი 73, (ა) ).

როგორ ფიქრობთ, ქვეყნის ძირითადი კანონის ეს ნაწილები საფრთხეს ხომ არ ქმნის ტერიტორიული ერთიანობის თვალსაზრისით და ხომ არ მოითხოვს უფრო ყურადღებით სპეციალისტთა გადასინჯვას?

შემდეგი ნაბიჯი სახელმწიფოებრივ დონეზე ურიგო არ იქნებოდა დასავლური გამოცდილების გაზიარებით – მედიაციის საშუალებით წარმართულიყო. როგორც მოგეხსენებათ, ეს მიმართულება აქცენტებს აკეთებს დაპირისპირებულ მხარეებში ჯანსაღ პოტენციალზე, რომელიც ხელს შეუწყობს კონსტრუქციული დიალოგის დაწყებას და მედიატორის დახმარებით შეთანხმების მიღწევას.

ასეთ დროს მედიატორის ფუნქციაა დაპირისპირებულ მხარეთა მიყვანა მოლაპარაკების მაგიდასთან არა გასამართლების, არამედ საკუთარი აზრის გამოთქმის შესაძლებლობის პრინციპზე, არა უაზრო რჩევების მიცემით – არამედ მხარეების მოსმენითა და კონფიდენციალურობით. ეს მეთოდი საქართველოს მთავრობამ უკვე გამოიყენა, მაგრამ პრიორიტეტები საჭიროებებზე, ინტერესებზე რთულდება, იწელება დროში, ვერ ღებულობს სათანადო ფორმულირებას და არ ჩანს შედეგი. რა თქმა უნდა, მედიატორს – მესამე მიუკერძოებელ პირს დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან დიალოგის ძირითადი წარმმართველი სწორედ მესამე პირია, რომელიც ყურადღებას ამახვილებს არა სუბიექტურ რელობაზე, არამედ ახალ ინფორმაციაზე. ეს ინფორმაცია გამოავლენს საერთო ინტერესებს და მედიატორი აფიქსირებს მხარეების მიერ გამოთქმულ აზრებს, აკონკრეტებს მათ მიერვე მიგნებულ გამოსავალს. ახალი იდეები საშუალებას იძლევა მიღწეულ იქნას გადაწყვეტილება. ორივე მხარე დგება იმ პოზიციებზე, როდესაც იწყებენ ფიქრს კონფლიქტის შედეგად შექმნილი პრობლემების გადაჭრაზე. ფიქსირდება მხარეების მიერ მოფიქრებული და დასახელებული ვარიანტები, რომელთაგანაც შეიძლება აირჩეს ოპტიმალური. ამგვარად, შეიძლება მოხდეს შეთანხმება მხარეებს შორის, რომლებიც შემდეგ ხელშეკრულებად გაფორმდება.

მოლაპარაკებების დროს ქართულ მხარეს ურთიერთობა უწევს რუსეთთან, რომელიც ყველანაირად ცდილობს წარმართოს პროცესი არამც თუ სტაბილიზაციისაკენ, არამედ უფრო გაამწვავოს. ამიტომ ხომ არ აჯობებდა, რომ საკითხი დაგვეყენებინა არა რუსეთთან ურთიერთობის ქარგის ქვეშ, არამედ როგორც უფრო ლოკალური – ქართულ-აფხაზური, ეთნიკური.

აფხაზეთის ე.წ. სუვერენული სახელმწიფო დღევანდელ მსოფლიოში ადგილის დამკვიდრებას, ალბათ დემოკრატიული ეგიდით აპირებს. მაშინ რატომ არ შეიძლება პრიორიტეტებად ისეთი საკითხების გამოყოფა, როგორიცაა ეკონომიკური თუ კულტურული თანამშრომლობა, ტურიზმის ერთიანი ქსელი, ერთიანი ავტოკეფალია. მღვდელთმსახურებას იდეოლოგიური

ძალაუფლება გააჩნია და მას შეუძლია უფრო მეტად გააღრმავოს ერთიანობისაკენ სწრაფვის მოთხოვნილება. აფხაზეთის დღევანდელი მოსახლეობის უმრავლესობა ხომ ქრისტიანია. საერთო ინტერესები მოხსნის კონფრონტაციას, დაძლევს გათიშულობას, რაც ეკონომიკური წარმატების საფუძველს შექმნის და ეტაპობრივად გააქარწყლებს სეპარატისტთა პოლიტიკურ ამბიციებს.

ქართული არმია ასეთი საკითხების გადაწყვეტის დროს, რა თქმა უნდა, კულისებს მიღმა რჩება. მას დღეს ფუნქცია არ გააჩნია – არ ძალუძს ქვეყნის საზღვრების გამაგრება. ხომ არ იქნებოდა სამხედრო საკითხის გადასინჯვა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი დღევანდელი ხელისუფლებისათვის? რა როლს ასრულებს დღეს ქართული ჯარი, რა შეუძლია მას და საერთოდ ჭირდება კი ასეთ პატარა ქვეყანას არმია თავდაცვის მიზნით?

ხომ არ ავლობდა საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობები ლიბერალური გზებით ჩამოეყალიბებინა, თავიდანვე უარი ეთქვა არმიასზე, თავი ნეიტრალურ სახელმწიფოდ გამოეცხადებინა და სავალდებულო სამხედრო სამსახურისათვის სიმბოლური ხასიათი მიენიჭებინა.

ასეთი მიდგომა, ალბათ, ბევრ ვაი პატრიოტს უკან დახევად მოეჩვენება. მაგრამ არსებობს მსოფლიო გამოცდილება, როდესაც გლობალური პრობლემები გადაწყვეტილა უომრად, სისხლის გარეშე, ისე, როგორც ეს იყო ინდოეთის მაგალითზე – ეტაპობრივად, ერთსულოვანი მოთხოვნით.

არაძალადობრივი პოლიტიკა მოწინააღმდეგე მხარეებს შორის უთანხმოების ბარიერის მოსპობას ახერხებს სიყვარულისა და თანაგრძნობის გამოწვევით. ეს ყველაზე რთული გზაა, რომელიც მოითხოვს მაღალ-ზნობრივი საზოგადოების შექმნას, სადაც ღირსეული ადამიანები უსამართლობას შეებრძოლებიან ჯანსაღი აზრით და ჩანერგავენ რწმენას ახალი სამყაროს სამართლიანობის შესახებ.

## სიტყვა წარმოთქმული ნობელის პრემიის გადაცემის ცერემონიაზე

### იცხაკ რაბინი

თქვენო უდიდებულესობაე!

მინდა მივესალმო ნორვეგიის ნობელის პრემიის კომიტეტის წევრებსა და პატივცემულ თავმჯდომარეს, ნორვეგიის პრემიერ-მინისტრს, ლაურეატებს, თავმჯდომარე არაფატსა და ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრს შიმონ პერესს.

თექვსმეტი წლის ასაკში, როდესაც ახალგაზრდები მათემატიკისა და ბიბლიის საიდუმლოებების ამოცნობას ცდილობენ; იმ ასაკში, როდესაც ადამიანი პირველ სიყვარულს განიცდის, იძულებული ვიყავი, იარაღით ხელში დამეცვა ჩემი სამშობლო.

მე ამაზე არ ვოცნებობდი. ყოველთვის მინდოდა, ჰიდროინჟინერი გამოვსულიყავი. ვსწავლობდი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელში და მიმაჩნდა, რომ ჰიდროინჟინერის პროფესია გაუდაბნობულ ახლო აღმოსავლეთში მნიშვნელოვანი იყო. მე დღესაც ასე ვფიქრობ.

ათწლეულების მანძილზე სამხედრო უწყებებში ვმსახურობდი. ჩემი მეთაურობით, ახალგაზრდა ქალები და ვაჟები, რომლებსაც სიცოცხლისა და სიყვარულის წყურვილი ამოძრავებდათ, სიცოცხლეს სწირავდნენ სამშობლოს.

ქალბატონებო და ბატონებო!

მე ხშირად მქონია შესაძლებლობა, თვითმფრინავიდან დამენახა ისრაელის სახელმწიფო და მთელი ახლო აღმოსავლეთი. მერწმუნეთ, ზემოდან დანახული ხედი ულამაზესია: ლურჯი ზღვები, მწვანე მინდვრები, უდაბნოები, ნაცრისფერი მთები, თეთრი სახლები წითელი სახურავებით.

ამ ტერიტორიაზე ბევრი სასაფლაოცაა.

ახლო აღმოსავლეთში, ჩვენს სახელმწიფოში, აგრეთვე ეგვიპტეში, სირიაში, ლიბანსა და იორდანიაში ასობით სასაფლაოა. თვითმფრინავის ფანჯრიდან უტყვი საფლაოები მოჩანს, მაგრამ მათი ხმა წლების მანძილზე გაისმოდა მთელს მსოფლიოში.

დღეს მე მიხდა, პატივი მივაგო ყველას, ვინც განვლილ ომებში დაიღუპა. აგრეთვე, მსურს გავიხსენო დაღუპულთა ოჯახის წევრები, რადგან ეს პრემია მათ ეკუთვნით.

ქალბატონებო და ბატონებო!

მე ვიყავი ახალგაზრდა ადამიანი, რომელიც ასაკში შევიდა. სამოცდა-თორმეტი წლის ასაკში უამრავი მოგონება მაქვს. ყველაზე მძაფრი მოგონებები სიჩუმეს უკავშირდება.

თავდაცვის მინისტრის პოსტზე ყოფნისას, მე სამხედრო ოპერაციების განხორციელებასთან დაკავშირებულ განკარგულებებს გავცემდი. გამარ-ჯვების ან დამარცხების განცდასთან ერთად, მე მუდამ მემახსოვრება ასეთი განკარგულებების შემდგომი წუთები.

ამგვარ მომენტებს ადამიანი ვერასოდეს ივიწყებს. მე ვხვდებოდი, რომ ამ გადაწყვეტილებების გამო შეიძლება ადამიანები დაღუპულიყვნენ.

ამ მომენტის წინ ისინი იცინიან, მომავლის გეგმებს აწყობენ და წარმოდგენა არა აქვთ იმის შესახებ, რომ ეს მათი უკანასკნელი დღეებია.

წლების მანძილზე ახლო აღმოსავლეთი უფლის მფარველობას იყო მოკლებული.

ქალბატონებო და ბატონებო!

მე ვიყავი ახალგაზრდა ადამიანი, რომელიც ასაკში შევიდა. ჩემი ცხოვრების

სამოცდათორმეტი წლის მანძილზე, გარკვეული იმედებიც მქონდა.

ჩვენი ხალხის სიცოცხლე ჩვენს ხელთაა. დღეს ჩვენ იმედით გვიყურებენ და აინტერესებთ, თუ როგორი იქნება ხვალინდელი დღე.

ბავშვი არადემოკრატიულ პირობებში იბადება. მას არ შეუძლია საკუთარი მშობლების არჩევა.

ის ვერ შეიცვლის კანის ფერს ან სქესს, რელიგიას, ეროვნებასა და სამშობლოს. დაბადების დღიდან, მის ბედს ქვეყნის ლიდერები განსაზღვრავენ. მათზეა დამოკიდებული, უზრუნველყოფილი იქნება თუ არა ქვეყნის ახალი მოქალაქე. ახლადდაბადებული ბავშვის ცხოვრება ჩვენს (მთავრობების) ხელთაა.

ქალბატონებო და ბატონებო!

ნებისმიერ ქვეყანას საკუთარი, სხვებისაგან განსხვავებული კანონები, კულტურა, ტრადიციები აქვს, ჰყავს საკუთარი ლიდერები. მაგრამ არსებობს ერთი უნივერსალური კანონი, რომელიც მთელი მსოფლიოსათვის საერთოა: სიცოცხლის უზენაესობა.

ქვეყნის ლიდერებმა მოსახლეობას ცხოვრების საუკეთესო პირობები უნდა შეუქმნან.

გარდაცვლილი ადამიანი, მინიჭებული უფლებებით ვერ ისარგებლებს. ამიტომ ნებისმიერი

ქვეყანა, თავისი მოქალაქეების დაცვას უნდა შეეცადოს. მხოლოდ ამ შემთხვევაში შევძლებთ

მოქალაქეების ჯარში გაწვევას. მებრძოლი მოქალაქეების დასაცავად, ჩვენ ინვესტიციებს ვღებთ შეიარაღებაში, მაგრამ მიუხედავად ამისა, ყველა ადამიანის გადარჩენა შეუძლებელია.

ადამიანის გადარჩენის ერთადერთი საშუალება არსებობს: ეს არის მტკიცე მშვიდობის დამყარება.

ქალბატონებო და ბატონებო!

ჯარისკაცის პროფესია გარკვეულ პარადოქსს შეიცავს. ჯარში ჩვენ საუკეთესონი მიგვყავს, ვაწვდით მათ იარაღს, რომელიც ძალიან ძვირი ჯდება. ჩვენ მათ მომავალი მოვალეობებისათვის ვამზადებთ. ამავე დროს, ჩვენ ვლოცულობთ, რომ სისხლისღვრა თავიდან ავიცილოთ.

ისტორიას ახსოვს უამრავი მოვლენა, რომელსაც ათასობით ადამიანი შეეწირა: ასეთად შეიძლება მივიჩნიოთ ნაციზმი. ჩვენი თაობის ყველა ლიდერს მუდამ თვალწინ უნდა ედგას სასაფლაოზე მიმავალი ბავშვებისა და კრემატორიუმის შესასვლელთან მდგარი ქალების შეშინებული სახეები. მეორე მსოფლიო ომი ყველასათვის მაგალითი უნდა იყოს.

ხანდახან, სიცოცხლის ხელშეუხებლობის დასაცავად, საჭიროა რისკი. ზოგჯერ, საკუთარი სიცოცხლის დასაცავად ბრძოლა გვიხდება.

ისრაელის სახელმწიფოში ადამიანის სიცოცხლე უმაღლესი ღირებულებაა. ჩვენ ომს მანამ არ ვიწყებდით, სანამ სხვებმა არ გვაიძულეს.

ისრაელის ისტორიაში ცნობილია ფაქტები, როდესაც ჯარისკაცები სიცოცხლეს სწირავდნენ სამშობლოს.

უახლოეს მომავალში ისრაელის თავდაცვის სამინისტრო დაასრულებს ჯარისკაცების ქცევის კოდექსის შემუშავებას. მე მოვიყვან რამდენიმე ციტატას:

„ჯარისკაცი საკუთარ სიცოცხლეს საფრთხეს შეუქმნის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს აუცილებელია მასზე დაკისრებული მისიის განსახორციელებლად.

ადამიანის ხელშეუხებლობა ისრაელის თავდაცვის ძალების ნებისმიერ ქმედებაში გამოვლინდება.“

წლების მანძილზე ეს სიტყვები ჩვენი ქმედების საფუძველს წარმოადგენდა.

ქალბატონებო და ბატონებო!

ჩვენ, მშვიდობის დამყარების პროცესში ვართ. ეს რთულად მისაღწევი პროცესია. ნებისმიერი შეცდომა მნიშვნელოვნად შეაფერხებს მშვიდობის დამყარებას.

ჩვენ არ დავინებდებით და ყოველმხრივ ვეცდებით, მშვიდობის დამყარებას, რადგან მშვიდობა ჩვენთვის და ჩვენი შვილებისათვის უმნიშვნელოვანესი ფასეულობაა. მშვიდობის დამყარება ასევე მნიშვნელოვანია ჩვენი მოკავშირეებისათვის: ნორვეგიისათვის, აშშ-სა და რუსეთისათვის. ამ ქვეყნებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს კაიროსა და ვაშინგტონის შეთანხმებების მიღწევაში. მე მინდა, მადლობა მოვუხადო ყველას, ვინც სამშვიდობო პროცესის წარმართვაში გვეხმარებოდა.

დღეს მე აქ მარტო არ ვარ. მე გამოვდივარ ებრაელი ხალხისა და იმ პოეტების სახელით, რომლებიც მშვიდობის დამყარებაზე ოცნებობდნენ, ისევე, როგორც ესაია წინასწარმეტყველი. მე, ასევე გამოვდივარ ებრაელი ხალხის შვილების სახელით, ისეთი შვილებისა, როგორებიც იყვნენ ალბერტ აინშტაინი, ზიგმუნდ ფროიდი, ბარუხ სპინოზა და ფრანც კაფკა.



მე გამოვდივარ იმ მილიონების სახელით, რომლებიც ჰოლოკოსტის მსხვერპლნი არიან. ასევე, გამოვდივარ იერუსალიმის სახელითაც.

თუ ნებას დამრთავთ, მე ვისაუბრებ ჩვენი მეზობელი სახელმწიფოების სახელითაც, რომლებიც ჩვენი მტრები იყვნენ. დღეს ჩემთან ერთად არის ისრაელის ხუთი მილიონი მოქალაქე, ასევე ებრაელები, არაბები, დრუზები და ჩერქეზები, რომლებსაც მშვიდობის დამყარება სურთ.

ქალბატონებო და ბატონებო!

მე მინდა, მადლობა მოვასხენო ისრაელის მოქალაქეებს, რომლებიც თავდაუზოგავად იბრძვიან მშვიდობის დასამყარებლად.

ეს პრემია, აგრეთვე ეკუთვნით ეგვიპტელებს, იორდანელებსა და პალესტინელებს, პალესტინის განმათავისუფლებელი არმიის ლიდერს, იასირ არაფატს.

მე მინდა, მადლობა მოვასხენო ისრაელის მთავრობას და საგარეო საქმეთა მინისტრს შიმონ პერესს.

დიდი მადლობა ჩემს ოჯახს, რომელიც მთელი ამ ხნის მანძილზე ჩემს გვერდით იყო.

რა თქმა უნდა, დიდ მადლობას მოვასხენებ ნობელის პრემიის კომიტეტსა და მის თავმჯდომარეს, ასევე ნორვეგიელ ერს.

ქალბატონებო და ბატონებო!

ნება მიბოძეთ, ჩემი სიტყვა ტრადიციული ებრაული ლოცვით დავასრულო:

„უფალი ძალას შეჰმატებს მის ხალხს; უფალი დალოცავს მის ხალხს და ყველა ჩვენთაგანს მშვიდობას მოგვივლენს.“

## **ნიჩურტა! - მე ქართველი ვარ!**

### **გიორგი მარგველაშვილი**

#### **ქართული საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის რექტორი**

საკითხი, რომელსაც ჩვენ შევეხებით ბევრჯერ ყოფილა განხილული მრავალი, განსხვავებული კუთხიდან. ნაწილობრივ, ალბათ, ამ განხილვებმა გვიბიძგეს ამ წერილის დასაწერად, ნაწილობრივაც, ალბათ, სურვილმა გამოვხატოთ ის, რასაც ვგრძნობთ და ასე მტკივნეულად განვიცდით ჩვენი არსებობის ყოველ დღეს. მუხა ჩვენი წერილისა ვართ ჩვენვე – ქართველები, XXI საუკუნის ერი, ღვთისშობლის წილხვედრი ქვეყნის შვილები, ეხ-გრუზინები და ეორგიან ატიონალები, რანნი, კახნი, ჭანნი და ა.შ.

მეოცე საუკუნის ბოლოს ჩვენ – ამ ერმა მივიღეთ, თუ აღვიდგინეთ, სახელმწიფოსა და ერის სტატუსი და დავიწყეთ ჩვენი თავისა და ჩვენი მეობის გამოჭედვა ახალ, ახლა უკვე მსოფლიო სარბიელზე. დავიწყეთ ჩვენი სახის შექმნა.

ბევრი რამ გვიმლიდა ჩვენ ხელს ამ მნიშვნელოვანსა და მტკივნეულ პროცესში. პირველ რიგში ჩვენი ეხ-შოვიეტ წარსული. არც თუ ისე ადვილი გამოდგა კრემლის ვერაგი მარწუხებიდან გამოძრომა, და არც იმდენად პოლიტიკურ, რამდენადაც მსოფლმხედველობრივ კონტექსტში – “რას ვგრიმიტობდით ქართველი ბიჭები რუსეთში!”... “აქედან ერთი იაშჩიკი კონიაკი ჩაგვქონდა და იქიდან ეშალონებით დაგრუზული მოვდიოდით”... “დევუშკა, ტუდა სუდა პაგულაემ, სვეფი ვოზდუხ პაყლაპაემ”... – მოკლედ ამის დათმობა არ არის ასე

ადვილი. ჩვენმა ერმა შეისისხლხორცა და ბუნებრივადაც მოირგო ორსაუკუნოვანი რუსეთის ბატონობა და ბევრ ასპექტში იგი თავის სასარგებლოდ გამოიყენა. რუსეთისაგან ნაპატრონები ჩვენი ქვეყანა, ყოველ ცალკეულ სახლში და ბინაში აყვავდა და გაიფურჩქნა. ცარისგან, ხოლო შემდეგ კომუნისტური რეჟიმისაგან დაპყრობილმა ქართველობამ, ქვეყანა გარედან შიგნით, სახლში შეიტანა და იქ კი, უკვე არხეინად დაამღერა.

ბუნებრივად, სახელმწიფოებრიობის აღდგენა ამ ატიტუდისა თუ მსოფლმხედველობის შეცვლას ნიშნავდა. საქართველო განჯინიდან გარეთ – ქუჩაში, გზაზე, საზღვრებსა და საზღვარგარეთ უნდა გამოსულიყო და გამოჩენილიყო. მაგრამ, ეს ილუზია, უტოპია აღმოჩნდა, ძნელი აღმოჩნდა იმ ძირითადი ვექტორის შეცვლა, რომელიც ორი საუკუნის მანძილზე გარედან შიგნით აზიდინებდა ქართველს. და როგორ შეიძლებოდა იმისი წარმოდგენა, რომ ჩვენ ეს, როდესმე გაგვიადვილდებოდა, რომ ჩვენ ასე უცებ, ერთ ღამეში ვიქცეოდით ნორმალურ ერად? ნებისმიერი ჭკუადმყოფელი, არა ექიმიც კი გეტყვით, რომ სერიოზულად გამრუდებული ფსიქიკის მორჩენა ერთ დღეში კი არა, პრაქტიკულად შეუძლებელია. მამ საიდან უნდა მორჩენილიყო და განათლებულიყო მთელი ერი, რომელთაც ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში მეთოდურად აკნინებდნენ და ხელს უწყობდნენ თვითდაკნინებაში. ხელს უწყობდნენ იმაში, რომ მეოცე საუკუნის ბოლოს, ჩამოვყალიბებულიყავით სახელმწიფოდ, ერად, რომელიც ყველას უყვარს, ყველას ეცოდება, რომლის გამოც “საქართველოს მეგობრებს” გული შესტკივათ, მაგრამ რომელსაც ვერ შევლიან საკუთარი სისულელის, სიჯიუტისა თუ სიჩლუნგის გამო?

ალბათ, იმედი დიდი საქართველოს მომავლისა, თავიდანვე იყო ილუზიური, ამას დღეს ბევრი ხვდება, მაგრამ რა არის იმის მიზეზი, რაც ჩვენ ჩვენი თავისაგან შევქმენით მეოცე საუკუნის ბოლოს? როგორია ჩვენი ავადმყოფობის ფურცელი? დიაგნოზი და პროგნოზი?

დიაგნოზი ერთმნიშვნელოვანია – გონებრივი სისუსტე, მსუბუქი დებილობის ფორმით – ანუ ფაქტიურად მდგომარეობა, როდესაც ადამიანის ფსიქიკური განვითარება ჩერდება გარკვეულ ადრეულ ეტაპზე და არ აღწევს ზრდასრულ ფორმამდე. ზრდასრული ადამიანის ტანი და სუსტი, ადრეული ასაკისათვის შესაფერისი აზროვნება – აი საქართველოს მოსახლეობის, ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა.

მაგრამ, ნათელია, რომ დებილობა ინდივიდში და გონებრივი სისუსტე ერში, განსხვავებულად გამოიხატება. მაშინ, როდესაც კონკრეტული ადამიანის შეფასებისათვის, საკმარისია დააკვირდეთ მის ქცევას, ერის შემთხვევაში, ანალიზი განსხვავებულ პარამეტრთა ანალიზს გულისხმობს, აქ უნდა ამოიცინოთ უფრო ზოგადი - ქცევის პატერნები, სოციალურად მიღებული ნორმები, მსოფლმხედველობის ფორმები, იდეოლოგია, ტრადიციები და წეს-ჩვეულებები. ამ გამოვლინებების ანალიზით, ჩვენ ვაანალიზებთ სოციუმს, როგორც ასეთს და კონკრეტულად, ქართული სოციუმის ანალიზისას, ვასკნით, რომ ჩვენი სოციალური ორგანიზმი, გონებრივი სისუსტის მდგომარეობაში იმყოფება. შენიშვნისათვის, ეს არ ნიშნავს, რომ თუ ამ ტრადიციების, ამ წესებისა და ამ მენტალიტეტის ინდივიდს გავასინჯებთ ფსიქიატრს, იგი მას გონებრივ სიჩლუნგეს, ანდა რაიმე ფსიქიური აშლილობის ფორმას დაუდასტურებს, სრულიადაც არა. მაგრამ, ამავე დროს ამ ინდივიდებისაგან შემდგარი ერი, შესაძლოა იყოს გონებასუსტი. ბატონი მიხაკო წერეთლის განსაზღვრებას რომ დავეთანხმობთ, ერი მეტია, ვიდრე მისი შემადგენელი ცალკეული ინდივიდების ჯამი, ერი ცალკე ცოცხალი ორგანიზმია. შესაბამისად, ამ ცალკე ცოცხალი ორგანიზმის შესახებ შესაძლებელია ვიმსჯელოთ განყენებულად, როგორც ცალკე მთელზე და მიუყენოთ კიდევ მას შეფასების კრიტერიუმები. და სწორედ ეს ცოცხალი ორგანიზმი ჩვენი ერისა არის მძიმედ ავად.

როგორც მოგახსენეთ დიაგნოზი – გონებრივი ჩამორჩენილობა. რაში გამოიხატება? – რაში და ჩვენი არსებობის წესში. დებილობა მხოლოდ გონებრივ ჩამორჩენილობას გულისხმობს, შესაბამისად, ავადმყოფი ფუნქციონირებს პრინციპში ნორმალურად, ხშირად ნორმალურად სოციალურ ასპექტშიც კი, მაგრამ აშკარაა მისი გონებრივი და ფიზიკური განვითარების შეუსაბამობა. ანუ, გარკვეული თვალსაზრისით, ამ ავადმყოფობის ძირითადი ნიშანი სწორედ შეუსაბამობაშია.

ჩვენს ყოფაში კი, შეუსაბამობა ვლინდება მთელ რიგ პლასტებსა და დონეებზე. მოკლედ:

- შეუსაბამობა თვითშეფასებასთან. ქართველები, ცნობიერად თუ ქვეცნობიერად, პოლუსურ, “ზე” რეგისტრში აფასებენ თავის თავს. ან ძალიან კარგები, ან ყველაზე ცუდები. აი ასეთ ისტერიულ, გადახტომა-გადმოხტომაში ატარებს ჩვენი საზოგადოება დროს. მაგრამ ხომ ბუნებრივი და ნათელია, რომ პირველნი ნამდვილად არა ვართ, და ალბათ, არც მეორე ნიშანია ჩვენთვის სრულად მისაღები. მაგრამ ჩვენ ვერ ვახდენთ იმას, რაც ბუნებრივია ზრდასრული ინტელექტისათვის და გონებრივი განვითარების ერთ-ერთ ნორმალურ ეტაპს წარმოადგენს: ჩვენ ვერ ვახდენთ რეალობისა და ამ რეალობაში საკუთარი თავის შეფასებას. ჩვენ გაჟღერდით დაახლოებით იმ საფეხურზე, როდესაც ბავშვი იძახის – “მამაჩემი ცის ტოლაა” – და სამწუხაროდ ვერ გავცდით ამ ეტაპს - “ერთი ქართველი ათს სჯობნიდა...”, “დავით მეფემ ეს სამტონიანი ქვა ერთი ხელით ამოიტანა გელათში, მეორეთი კი თმას ივარცხნიდა...” - და რაც მთავარია ვამბობთ და ვიმეორებთ რა ამას, ჩვენ არ გვჯერა ჩვენივე ნათქვამის. ჩვენ ამ შემთხვევაში ვიქცევით ზუსტად ისე, როგორც ბავშვები, ვამბობთ იმისათვის, რომ ჩვენმა ნათქვამმა ჩვენვე დაგვაჯეროს. ბიჭს უჭირავს სათამაშო საჭე და ეზოში დარბის – დღღღღღღღღღღღღღ... – ყვირის და ჰკონია, რომ მანქანა მიჰყავს. იგივეს რომ გააკეთებს ოცი წლის ასაკში, დებილობას დაუდგენენ, მიზეზი – ასაკთან შეუსაბამო გონებრივი განვითარება.

- შეუსაბამონი ვართ ჩვენ ჩვენს იდეოლოგიურ საფუძვლებშიც. “გაუმარჯოს საქართველოს! გენაცვალებით, გეხუტებით, თქვენს სიყვარულში ვტრიალებ ჩემო ვაჟკაცო და დიდო ხალხო!!! თქვენთვის ვცოცხლობ და თქვენთვის მოგკვდები, ვენაცვალე ამ მიწა-წყალს, ამ ხალხს და ამ გაგებას...” – ეს რომ უბრალოდ სადღეგრძელო იყოს, იყოს რიტუალისათვის ნათქვამი სიტყვა, მაშინ არაუშავს. მაგრამ არ გვერნოთ, რომ ამ სიტყვების მთქმელი ტყუის. ამ ადამიანს სწამს თავისი ნათქვამის. მაგრამ, როგორ, ის ხომ რეალურად მოძალადე, მექრთამე, გამცემი და მჩაგვრელია? ყოველგვარი ნორმალური ლოგიკით იგი ან უნდა ტყუოდეს ან დისონანსში, კონფლიქტში იყოს საკუთარ “მე”-სთან. მაგრამ ეს არ ხდება. მეტიც, მარტივი ფსიქოლოგიური ლოგიკით, ინტენსიური გამეორება რაიმე ტექსტისა, მითუმეტეს ემოციური თანხვედრის ფონზე, ბუნებრივად ქმნის შესაბამის განწყობას და ამთლიანებს ფსიქიკას ამ კონკრეტული მიმართულებით. ამ პრინციპს ხმარობს აუტოტრეინინგი და ბიჰევიორისტული ფსიქოლოგია. მაგრამ ეს მეთოდი არ ჭრის ქართველზე. რატომ? ერთი მარტივი მიზეზით, ქართველის ცნობიერება არ არის იმ ეტაპზე, როდესაც ხდება პიროვნების სრული გამთლიანება. გაიხსენეთ, ბავშვები, ერთ წუთში ექიმობანას თამაშობენ, მეორე წუთში, ორდროშობანას, ხეზე ჩიტს და ფეხბურთს. წარმოიდგინეთ ერთი საათი ექიმად რომ იმუშაოთ, მეორე - პარტიზანად, მესამე - შპიონად და მეოთხე - ფეხბურთელად, ერთ დღეში დაგენგრეოდათ ფსიქიკა, ზრდასრული ფსიქიკა მიმართულია მთლიანობისაკენ და ამიტომ ვერ უძლებს ასეთ რადიკალურ ცვლილებებს. ზრდასრული ფსიქიკა უფრო სტაბილურია, ბავშვისა კი უფრო ლაბილური და ამიტომაც იოლად აუღის როლების სწრაფ ცვლას. ისევე, როგორც ქართველი ერი – “ვენაცვალე ქართველებს, გეხუტებით დავითისა და თამარის შთამომავლებო”, და ამავე დროს, იქვე, იმწამსვე – “არ მოიტან კი არა, დედაბუდიანად ამოგწყვიტავთ მე თქვენი ბინძური დედა...” – არც ერთში ტყუის, ეს ჩვენთვის ნაცნობი პერსონაჟი და არც მეორეში – იგი თამაშობს – სალკა, ჯოხი, ლახტი, რეზინობანა...

– შეუსაბამობა სახელმწიფოსთან მიმართებაში. აი მიპასუხეთ, რანაირ სახელმწიფოს ააშენებდნენ ბავშვები, “სახელმწიფოობანა”, რომ ეთამაშად. არცაა საჭირო გამოცნობა – საქართველოს მსგავსს. არჩევანი, არადანი, მუშტი-სილა... რა არის ქართული სახელმწიფო თუ არა თამაში – “სახელმწიფოობანა”? ძირითადი წესი თამაშისა, როცა ბავშვები თამაშობენ თამაშს, არის: “არაუშავს” და “მაპატიე რა” და “არ მინდოდა”; და კიდევ ის, რომ ეს ყველაფერი თამაშია და არა რეალობა. ეს ზუსტად ისაა, რასაც ჩვენი სახელმწიფო წარმოადგენს. ამ სახელმწიფოში ბევრი რამ ხდება ისე, გეგონება რეალობასთან კავშირი არ ჰქონდეს. ერთნი იპარავენ, მდიდრდებიან, იღებენ და იღებენ, მეორენი ღატაკდებიან და უბელურდებიან. ლოგიკურად ეს დისბალანსია, დისბალანსი, რომლის გასწორებისაკენაც უნდა ილტვოდეს მთელი ერი, მაგრამ ეს დისბალანსი ნარჩუნდება და არ იცვლება. თამაშში, რომელშიც ერთი მხარე “ჟილკობს”, მეორეც ცდილობს “ჟილკობით” მოიგოს. ყოველი უქონელი ქართველის მიზანია, არა გამოასწოროს ვითარება, არამედ თვითონაც იხეიროს სხვათა ხარჯზე. ჩვენი სახელმწიფო “პამპულაობის” თამაშსა ჰგავს, თუ წაგართვეს ბურთი – შენ ხარ პამპულა, თუ შენ წაართმევ – სხვა, მაგრამ ბურთი არსად არ მიდის, მას მიზანი არა აქვს, იგი მოთამაშიდან მოთამაშესთან გადადის. ჩვენთან არაა კორუფცია, ჩვენ უბრალოდ პამპულაობას ვთამაშობთ, დღეს შენ გაპამპულავებენ, ხვალ შენ გაქვს ბურთი. თავის არსში კი ეს ყველაფერი თამაშია, თუ ერთმა მეორეს ფეხი წამოსდო, ეტყვის “მაპატიე რა, არ მინდოდა” და სხვებიც ეტყვიან – “არაუშავს, თამაშია რა”...

- შემდეგი ნიშანია, შეუსაბამობა ნებელობით ფუნქციასთან. როგორც ინფანტილობა, როგორც გონებრივი ჩამორჩენილობის კიდევ ერთი გამოხატულება. ალბათ გახსოვთ ის დაკვირვება ქართულ აზროვნებაზე, სამოცდაათიანებში რომ გაკეთდა, ქართული წინსართის “შემო-“-ს ანალიზის საფუძველზე. “შემომაკვდა”, “შემომეჭამა”, “შემომეუპატიურა” – ეს ხომ ინფანტილური, ლაბილური ფსიქიკის მახასიათებელი ტერმინებია. ქართველისათვის ბუნებრივი, გასაგები და სოციალურად მისაღებია, იმპულსური ქცევის დომინირება. ამით, ხშირად მოვწონვართ კიდევ უცხოელებს, იმიტომ, რომ ჩვენ ადვილად ვამბობთ უარს რაციონალური აზროვნების დომინანტზე და იმპულსებს აყვებით. ჩვეულებრივი, ზრდასრული ფსიქიკის პირობებში ასეთი ქცევა მაღალ ემოციურ ფონს გულისხმობს, რომელიც აჩუმებს რაციონალურ ხმას და იმპულსებს აძლევს პრიორიტეტს; ამიტომაც ვგონივართ ჩვენ ემოციურები. მაგრამ ჩვენ არა ემოციურები, არამედ ინფანტილურები ვართ. ჩვენ ემოციათა მოზღვაების გამო კი არა ვართ იმპულსურნი, არამედ იმიტომ, რომ რაციონალურ აზროვნებას ჩვენში სუსტი საფუძველი აქვს. – “ისწავლე მიშიკო, თორემ მეეზოვე გამოხვალ”, – “აუ, გამიშვი რა ეზოში, რა”... და მერე უკვე შემოაკვდება, შემოეჭმება და შემოეუპატიურება მიშიკოს ვინმე, იმპულსურია ბიჭი და იმიტომ...

- შეუსაბამობა შემოქმედებაში. გასაოცარია, მაგრამ ყველაფერში პრეტენზიული ქართველები არ არიან პრეტენზიულნი იმაში, რაშიც ყველაზე უფრო მაღალ სტანდარტებს უნდა ესწრაფოდნენ – შემოქმედებაში. ერთი მღერის მაღონასავით, მეორე ხატავს მალევიჩივით, მესამე წერს ჯოისის სტილში და მეოთხე აჯახებს ბრეგოვიჩისავით. გასაოცარია, გასაოცარია, რადგანაც ხელოვნება თავის არსში ზესტანდარტული, თავისუფალი სივრცეა. ხელოვნება და საზოგადოდ შემოქმედება სულის უშუალო გამოვლინებაა, მისი საწყისი და ხარისხი დამოკიდებულია იმაზე, რამდენად ძალუძს ინდივიდს თავისი და სამყაროს არსის გახსნა და გადმოცემა, გაზიარება. ამდენად, ხელოვნება არაა არანაირად დამოკიდებული დომინანტურ სტილზე, მოდაზე თუ სხვა სოციალურ სტანდარტებზე, შემოქმედება თვითონ ქმნის ამ სტანდარტებს. გარდა, იმ შემთხვევისა, როდესაც პატარა ბავშვს უფროსების წინაშე ლექსს ათქმევინებენ ან ამღერებენ სკამზე შემდგარს. აი ამ შემთხვევაში კი უკვე მიბაძვას, კარგად გამოსულ იმიტაციას დიდი მნიშვნელობა აქვს. ისევე, როგორც ჩვენს გარემოში, კარგია ის, რაც კარგად გადმომღერებულია – მართალია, რადგანაც ჩვენ ბავშვები ვართ და ბავშვების გარემოში ვტრიალებთ.

მაგრამ, დიაგნოზი, ბევრად არის დამოკიდებული გამომწვევი მიზეზების ანალიზზეც, რამ გამოიწვია ავადმყოფობა?

მიზეზი გონებრივი სისუსტისა, ხშირად სხვადასხვაა, ის შეიძლება ტრავმული, ან თანდაყოლილი იყოს, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში, ალბათ, უფრო კომპლექსურ, კომბინირებულ მიზეზთა კონგლომერატთან გვაქვს საქმე.

- პირველყოვლისა, მიზეზი მძიმე ბავშვობა, არასწორი აღზრდაა. ამ შემთხვევაში, წილი პასუხისმგებლობისა, ერთმნიშვნელოვნად რუსეთის იმპერიის, ლოთი, მფლანგველი და ემოციურად დაუბალანსებელი აღმზრდელების სინდისზეა. რუსეთმა შეგვიქმნა გარემო, რომელიც ნებისმიერი ბავშვის ფსიქიკას გაამრუდებდა. არც მოგვხედა, გვიპატრონა და გვასწავლა სახელმწიფოდ და ერად ცხოვრება, და არც ჩვენ მოგვცა ჩვენი ღირებულებებისა და უნარების შენარჩუნების უფლება. ხან ზედმეტად გაგვიბრაზდებოდა და ხან ზედმეტად გვეფერებოდა. ხან ყველაფერს გვისრულებდა და ხან არაფერს. ერთის მხრივ, ნერგავდა პარვის, მექრთამეობის და მუქთახრობის გარემოს, ხოლო მეორეს მხრივ გვსჯიდა თუ ელემენტარული ღირსებისა ან საზოგადოებრივი აზროვნების პრეცედენტს გამოვამჟღავნებდით. მოკლედ, ფაქტიურად დაგვლუპა, მოგვიშალა ფსიქიკა.

- მაგრამ, არა მხოლოდ რუსეთი, ლოთი მამის პირობებში, მნიშვნელოვნად ამრუდებდა ჩვენს აზროვნებას ჩვენი დედაც - ქართლის დედა – ერთ ხელში თასი და მეორეში ხმალი... ქართლის დედა აკეთებდა იმას, რაც პრინციპში, ლოთი მამის პირობებში, ქალისათვის ბუნებრივია – დაიწყო თავისი ბავშვის დაცვა და ზედმეტი მოფრთხილება. ქართლის დედამ გააკეთა ისე, რომ ბავშვი არამც და არამც არ შედგა კაცად. ისიც მამასავით ყველაფერს უსრულებდა, გაათავხედა და გაამაიმუნა. და თანაც, საწყლად მარტო დარჩენილს, ლოთი ქმრის ხელში სულ ეშინოდა შვილის დაკარგვა, და შეეცადა მისი ბავშვობა მაქსიმალურად გაეწვლა, ისე, რომ არ მისცა ბუნებრივი განვითარების შესაძლებლობა. ერთის თქმა კი შეიძლება მის გასამართლებლად – მართლა არ უნდოდა...

არ უნდოდა, მაგრამ შედეგად მიიღო, კაცი ბავშვის ფსიქიკით. კაცი, რომელსაც ზრდასრული ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი თვისება – პასუხისმგებლობა და სოციალური აზროვნება არ გააჩნია. ასეთია ქართველი. ქართველს არ ეშინია შეცდომის დაშვების, ცუდად მოქცევის, რადგანაც “დედა ყველაფერს აპატიებს”. დედა ჯარიდანაც დაიხსნის, მილიციიდანაც გამოიყვანს, უმაღლესშიც მოაწყობს, უშოვნის ცოლსაც და სამსახურსაც – “ენაცვალოს დედა”... ორი, უკვე ღიპიანი და უღვაშ დამშვენებული კაცი ლაგუნა ვერეს აუზში ზვანცალებს, ერთმანეთს წყალს აწუწუებენ, იცინიან, მხიარულობენ. გეგონებთ დედა დგას ზევით და უყურებს, ხარობს, მოესწრო ბიჭები, პირსახოცი აქვს გადაკიდებული ხელზე და თან მზრუნველად, ეუბნება, “რამაზი, ბესიკი, ამოდით წყლიდან, არ გაცივდეთ”, და თან ტკბება სანახაობით, ისინი კი თამაშობენ, უხარიათ...

ამ პირობებში, ბუნებრივია ძალიან მძიმდება კლინიკა და ის შედეგი, რაც დღეს სახეზეა, არა მარტო მოსალოდნელი, არამედ გარდაუვალია. გარდაუვალია, ბავშვს, რომელსაც ასეთი მშობლები ჰყავს, ჰქონდეს პრობლემები ზრდასრულობის ასაკში, ისევე როგორც ჩვენ. მაგრამ, ასეთ ხალხს, ჩვეულებრივ გარემო ღმობიერად ექცევა, ისევე, როგორც ჩვენც – ნიჩურტა – გვაპატიეთ ვალები, ჩვენ ქართველები ვართ...

## **ქართული კულტურა: ქალური, მამაკაცური, ბავშვური**

### **გაგა ნიჟარაძე, ფსიქოლოგი**

IBM, მოგეხსენებათ, ერთ-ერთი უდიდესი კომპანიაა მსოფლიოში. მისი ფილიალები და საწარმოები ხუთივე კონტინენტის რამდენიმე ათეულ ქვეყანაშია განთავსებული. მათი

მენეჯერები, ბუნებრივია, სხვადასხვა ერის წარმომადგენლები არიან, მაგრამ ყველა მათგანი სტანდარტულ მომზადებას გადიოდა პროგრამით, რომელიც დაფუძნებული იყო ამერიკული მენეჯმენტის თეორიისა და პრაქტიკის საუკეთესო მიღწევებზე. დროთა განმავლობაში გამოიკვეთა დამაფიქრებელი ფაქტი – ამგვარად მომზადებული მენეჯერები განსხვავებულ ქვეყნებში, განსხვავებული წარმატებით უძღვებოდნენ საწარმოებს. ცხადი გახდა, რომ მენეჯმენტის ამერიკული მოდელი უნივერსალური არაა; საქმის წარმატებული გაძლიერებისათვის აუცილებელია ამა თუ იმ ქვეყნის კულტურული თავისებურებების გათვალისწინება.

კომპანიამ არ დაიშურა სახსრები და დააფინანსა სოციალური ფსიქოლოგიის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური გამოკვლევა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ჰოლანდიელი მეცნიერი გ. ჰოფსტედე. გამოკითხულ იქნა ათიათასობით ადამიანი 60-ზე მეტ ქვეყანაში, დაგროვდა უზარმაზარი ინფორმაცია, რომლის დამუშავების შედეგად ჰოფსტედემ არა მარტო გამოასწორა IBM-ის “ჩამორ-ჩენილი“ ფილიალების მდგომარეობა (კვლევის შემდეგ მენეჯერთა მომზადების პროგრამაში სათანადო კორექტივები შეიტანეს), არამედ კულტურის ფსიქოლოგიას ახალი თეორიაც შესთავაზა. ამ თეორიის მიხედვით, არსებობს ოთხი ე.წ. “კულტურული განზომილება“; სათანადო სტატისტიკური მასალის დამუშავების შედეგად თითოეულ მათგანზე ამა თუ იმ კულტურას მიეწერება გარკვეული რიცხვითი მნიშვნელობა, რომელთა თანაფარდობა განსაზღვრავს კულტურის “პროფილს“.

ერთ-ერთი ასეთი განზომილებაა მასკულინობა-ფემინობა, რომელიც გვიჩვენებს რამდენად, პირობითად რომ ვთქვათ, ქალურია თუ მამაკაცურია ესა თუ ის კულტურა. მასკულინურ კულტურებში ტრადიციული მამაკაცური ღირებულებები მთელ საზოგადოებას მსჭვალავენ, და მათ ქალებიც იზიარებენ. ამგვარი კულტურებისათვის დამახასიათებელია მამაკაცისა და ქალის სოციალური როლების მკვეთრი გამიჯნვა და ნორმირება; არსებობს მამაკაცური და ქალური პროფესიები, საქმიანობა და მათი აღრევა დაუშვებელია (მაგალითად, ქალი არ უნდა იჯდეს საჭესთან); ქალის ცხოვრება უფრო მკაცრადაა ნორმირებული, ხოლო წესის დარღვევისათვის მას უფრო მძიმე სასჯელი ელის, ვიდრე კაცს; საზოგადოებრივი ფასეულობანი დაკავშირებულია მიღწევასთან, გმირობასთან, გამარჯვებასთან; ფასობს “ყველაზე-ყველაზე“ - ყველაზე დიდი, ყველაზე მაღალი და მისთ. მსოფლიოს განვითარებულ კულტურებში (გასაგებია, რომ პრეინდუსტრიულ ეტაპზე მყოფი კულტურები IBM-ს ნაკლებად აინტერესებდა) მასკულინობის ყველაზე მაღალი ინდექსი აღინიშნა იაპონიაში; შემდეგ, სოლიდური ჩამორჩენით, მოდიან გერმანულ-ენოვანი კულტურები.

ფემინურ კულტურებში დომინანტური ღირებულებებია ისინი, რომლებიც ტრადიციულად ქალის როლს უკავშირდებიან: თავმდაბლობა, ცხოვრების ხარისხი (კომფორტი და დაცულობა), დახმარებისათვის, განსაკუთრებით სუსტების მიმართ, მზადყოფნა, ბუნებრივ გარემოზე ზრუნვა, ურთიერთობა ფულზე ძვირფასია, ღამაზია არა “ყველაზე დიდი“, არამედ პატარა და კოხტა. ფემინურობის მაჩვენებლით ლიდერობენ სკანდინავიის ქვეყნები და ჰოლანდია (გავიხსენოთ, ამ ქვეყნების მოსახლეობის დიდი ნაწილი, ძირითადად, მრისხანე ვიკინგების შთამომავლობას წარმოადგენს!).

ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში ჰოფსტედეს გამოკვლევა არ ჩატარებულა. მიუხედავად ამისა, მაინც შეიძლება ზოგიერთი დასკვნის გაკეთება მასკულინობა-ფემინურობის თვალსაზრისით. მაგალითად, რუსულ კულტურაში ყველაზე პოპულარული წმინდანები იყვნენ არა რწმენისათვის თავდადებული გმირები, არამედ უდანაშაულო მსხვერპლები - ბორისი და გლები, უფლისწული დიმიტრი. ეს კი ფემინური ნიშანია. ამასთან, რუსული კულტურისათვის დამახასიათებელი სწრაფვა გრანდიოზული შენობებისა თუ პროექტებისადმი ამ კულტურაში ძლიერ მასკულინურ საწყისზედაც მიუთითებს. ასე რომ, “შერეული“ კულტურებიც არსებობს.

თუ მასკულინობა-ფემინობის თვალსაზრისით ქართულ კულტურას განვიხილავთ, ერთობ რთული სურათი წარმოგვიდგება. ერთი შეხედვით, ჩვენი კულტურა ცალსახად მასკულინურია - ხელმძღვანელ პოსტებზე მამაკაცები ბევრად სჭარბობენ ქალებს, ოჯახში ბიჭის გაჩენა, ჩვეულებრივ, უფრო სასურველია, ქალების ცხოვრების ნორმები, განსაკუთრებით სექსის სფეროში, გაცილებით უფრო მკაცრია; და საერთოდ, საზოგადოებრივ წარმოდგენაში მამაკაცი უფრო ჭკვიანი და “სრულყოფილი“ არსებაა, ვიდრე ქალი.

მაგრამ თუ უფრო ღრმად ჩავუკვირდებით, საქმის ვითარება სხვაგვარად წარმოგვიდგება. ქართულ კულტურაში წამყვანი ღირებულებაა ურთიერთობა და არა საქმე, რაც ფემინური ნიშანია. ჩვენი ეროვნული სიმბოლო ქალია – ქართლის დედა, რომელიც, არ დაგვავიწყდეს, მამაკაცური ატრიბუტებითაა აღჭურვილი. ყველაზე პოპულარული ისტორიული ფიგურაა - თამარ მეფე. ზოგადად კი ყველაზე მნიშვნელოვანი და სათაყვანო სოციალური როლი საქართველოში არის დედა (რასაკვირველია, დედის ცნება სხვა კულტურებშიც უმნიშვნელოვანესია, მაგრამ საქართველოში მას მაინც განსაკუთრებული დატვირთვა აქვს).

ცნობილმა ფსიქოლოგმა ერის ფრომმა შემოიტანა “დედობრივი“ და “მამობრივი“ სიყვარულის ცნება. დედობრივი სიყვარული უპირობოა – როგორც არ უნდა მოიქცეს შვილი, რა უარყოფითი თვისებები არ ჰქონდეს – მას არ ემუქრება მშობლის სიყვარულის დაკარგვა ან თუნდაც შესუსტება. მამობრივი სიყვარული კი განპირობებულია – თუ შვილი რაღაც პირობებს არ შეასრულებს, იგი აღარ ეყვარებათ.

სიყვარულის აღწერილი ტიპები შეიძლება აკავშირებდეს არა მარტო მშობლებს და შვილებს, არამედ ნებისმიერი სქესისა და ერთმანეთთან სხვადასხვა დამოკიდებულებაში მყოფ ადამიანებს – მეგობრებს, ნათესავებს და ა.შ. ფრომის აზრით, თანამედროვე დასავლეთის ბევრი პრობლემა განსაზღვრულია იმით, რომ აქ მამობრივმა სიყვარულმა პრაქტიკულად განდევნა დედობრივი; ურთიერთობები, მათ შორის ოჯახური, ფორმალისებურია, გულწრფელი გრძნობები ეწირება კარიერის, საქმის მოთხოვნებს. ქართულ კულტურაში საქმე საწინააღმდეგოდაა: “ჩემიანი“ ყოველთვის მართალია, საქმის ინტერესები დაქვემდებარებულია არაფორმალური ურთიერთობის ნორმებს, ერთი სიტყვით, დედობრივი ტიპის ურთიერთობებია გამეფებული.

დედობრივი ტიპის ურთიერთობათა სიჭარბე ქართულ კულტურაში განაპირობებს ბავშვის აღზრდის სტილს და ამ აღზრდის საბოლოო “პროდუქტსაც“.

აღზრდის ქართული სტილისათვის დამახასიათებელია ბავში-სათვის მაქსიმალური კომფორტისა და ზრუნვის ატმოსფეროს შექმნა, მისი პრობლემების მოგვარება მშობლების მიერ, შვილის აღქმა არა როგორც მომავალი სუვერენული პიროვნებისა, არამედ მშობლების განუყოფელი ნაწილისა. შედეგად ბავშვებს და, შესაბამისად მოზრდილებს, რომლებაც იქცევიან ეს ბავშვები, ახასიათებთ ნებელობის მკვეთრი დეფიციტი. ნებელობა ფსიქიკური ფუნქციაა, რომლის მეშვეობითაც ადამიანი ამჟამად არასასურველ ქცევას მიმართავს, ან ცნობიერად ითმენს გასაჭირს, მომავალი ჯილდოს იმედით (მაგალითად, არცთუ საინტერესო საგანს სწავლობს იმ რწმენით, რომ ეს მომავალ პროფესიულ საქმიანობაში დაეხმარება). სწორედ ეს თვისება (რომელიც მამაკაცურად ითვლება) სრულიად არ ინერგება ქართული ტრადიციული, ოჯახური თუ სასკოლო, პედაგოგიკის მიერ. ეს კი განსაზღვრავს ბევრ ისეთ პრობლემებს, რომლებიც ასე მძიმედ აწევს დღევანდელ საქართველოს. მთელი ჩვენი საზოგადოება, საშუალო ინდივიდით თუ ოჯახით დაწყებული და სახელმწიფოს მმართველი წრეებით დამთავრებული, ორიენტი-რებულია დღევანდელ დღეზე და სრულიად არ ფიქრობს მომავალზე. უფრო სწორად, გვაქვს საკმაოდ ბუნდოვანი რწმენა, რომ თუ რაღაც მოხდება,

გამოსავალიც მოიძებნება - ვინმე დაგვეხმარება, ნათესავები, მეგობრები ან ამერიკა, - როგორც დედა გვეხმარებოდა ბავშვობაში.

შეიძლება ითქვას, რომ ქართული კულტურა ინფანტილიზმის, ანუ უმწიფარობის, ბავშვურობის, დალითაა აღბეჭდილი, და სწორედ ეს განსაზღვრავს მამაკაცური და ქალური ნიშნების ერთობ უცნაურ კომბინაციას ჩვენს საზოგადოებაში. აქ უნდა ვეძიოთ დედის სოციალური როლის, ცენტრალური ადგილი ჩვენს ცხოვრებაში. ჩვენ გვსურს ბავშვებად დავრჩეთ, ამისათვის კი მუდმივად გვჭირდება დედა. ხშირად ქართველი მამაკაცი ცოლშიც დედას ეძიებს (რაც ზოგჯერ სერიოზულ კონფლიქტს იწვევს ნამდვილ დედასთან).

საბოლოო ჯამში კი ვიღებთ ჩვენი ცხოვრების წესს: ნომინალური ლიდერი მამაკაცია, რეალური კი - ქალი, უფრო ზუსტად კი დედა. სწორედ ქალი იღებს უმეტესწილად გადაწყვეტილებას, როგორ დაიხარჯოს ოჯახური ბიუჯეტი, სად ისწავლოს ბავშვმა, როგორ დაოჯახდეს... მაგრამ ეს ხდება არა მარტო ოჯახის ღონეზე - გავიხსენოთ, როგორი გავლენით სარგებლობდნენ ქვეყნის პირველი პირების ცოლები, მაღამ მჟავანადით დაწყებული...

აღწერილი ვითარება არაა ჯანსაღი - საზოგადოება ან მასკულიზური უნდა იყოს, ან ფემინური; ინფანტილურ საზოგადოებას მხოლოდ დაქვემდებარებული ქვეყნის სტატუსით შეუძლია არსებობა - სწორედ ამიტომ ვცხოვრობდით ასე უღარდელად საბჭოთა კავშირში. ახლა უღარდელად ვეღარ ვცხოვრობთ - და ვერც ვიცხოვრებთ ვეღარასოდეს. მაგრამ შეგვიძლია, რომ უკეთესად ვიცხოვროთ - იმ შემთხვევაში, თუ ჩავხედავთ საკუთარ თავს, მომავალს შევხედავთ და ვიპოვოთ ჩვენში ძალას, შევცვალოთ ცხოვრების ჩვეული წესი ისტორიის მოთხოვნათა შესაბამისად.

## Intelligens

### რატი ამაღლობელი

დიდი დრო არ გვაშორებს იმ ეპოქებს, როდესაც სამყაროში ფეოდალური ურთიერთობები სუფევდა. სისხლისმიერი, გვაროვნულ-მემკვიდრეობითი ფაქტორი განსაზღვრავდა სოციალური ორგანიზმის ყოველი შრის არსებობას. მეფე - უმაღლესი იერარქი, რომელსაც თეოკრატიული ცნობიერების თანახმად მემკვიდრეობით გადაეცემოდა ნიჭი და უფლება ყოფილიყო ინიციატორი ამა თუ იმ სახელმწიფოებრივი თუ საზოგადოებრივ-სოციალური წარმონაქმნის შინაგანი ძრაობისა, იმავდროულად განასახიერებდა სისხლის და მემკვიდრეობითი საწყისის უპირატესობას [რომელშიც დაგანებული უნდა ყოფილიყო გენეტიკური მენსიერება და ლვთაებრივის პულსაცია] საკუთრივ ადამიანის პიროვნულ, ინდივიდუალურ საწყისსზე. თანამედროვე ცივილიზაციამ ადამიანი თითქოს გაათავისუფლა ფეოდალური ურთიერთობებისაგან, მაგრამ მისი შინაგანაწესისაგან გაათავისუფლება ბევრად უფრო რთული გამოდგა, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს. სინამდვილეში კი ყოველივე გარეგნულად, მოვლენათა და ვითარებათა ზედაპირზე წარიმართა. ჩვენი წერილის მიზანი სწორედ ამ სანახევროდ გაათავისუფლებული, ან საერთოდ ვერ გაათავისუფლებული ცნობიერების კონკრეტულ ვითარებებში გამოვლენის წარომჩენა გახლავთ. მართალია თანამედროვეობამ ადამიანს მოუტანა მსახურების ნაცვლად “სამსახური”, მისცა მას პროფესია, რომლითაც იგი დამოუკიდებელ ინდივიდად, რელიგიური, ტრადიციულ-კულტურული მოდელის გარეშე წარსდგა საკუთარ ინტელიგიბელურ სამყაროსთან, მაგრამ მისი თავისუფლების ბედი დღესდღეისობით მაინც გაურკვეველად წარმოგვიდგება. მოდით ასეთ ადამიანს პირობითად “ადამიანი პროფესიონალი”, “ადამიანი განსწავლული”, “ადამიანი თავისუფალი არჩევანით”,



“ადამიანი ფაუსტი” ვუწოდოთ, რომელიც თანამედროვე საზოგადოების სრულფასოვანი წევრის, თავისი გონებრივი შემოქმედებით მცხოვრები ადამიანის წინასახედ, არქექტიპად გვესახება და რომლის პერსონიფიკაციაც დაგვეზმარება “ინტელიგენს“-ის ცნების განსაზღვრებაში. დღეს გვესმის პიროვნების თავისუფლებაზე საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე, საზოგადოებაში პიროვნებების თავისუფალ თანაცხოვრებაზე საუბარი, და მართლაც, ეს ერთი შეხედვით აბსტრაქტული, მკვდარი და განწყნებული, ფილოსოფიური სპეკულაციებისათვის განწირული თემა, ადამიანის ცოცხალ, უშინაგანეს მოთხოვნად იქცა, მოთხოვნად, რომელიც განსაზღვრავს თითოეული ადამიანის როგორც სოციალურ, ასევე მის კერძო, პიროვნულ ბედს.

გასული ორი საუკუნის საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიამ საქართველოში მკვეთრად წარმოაჩინა ქართული საზოგადოების არარსებობის პრობლემა. ინტელიგენცია როგორც “გონებრივად დაწინაურებული” ადამიანებისაგან შემდგარი საზოგადოების ნაწილი, რომელიც უნდა ყოფილიყო ცოცხალი მაგალითი ადამიანური ცნობიერების თავისუფლებისა და საზოგადოების ჰუმანიზმისკენ მავალი გზის მორიენტირებელი ძალა - ვერ შედგა. ნაცვლად იმისა, რომ ფეოდალური, სისხლისმიერი პრიმატისაგან განთავისუფლებული სივრცე დაეკავებინა კონკრეტული ადამიანის პიროვნულ ნიჭსა და თვისებებს, ჩვენი ე.წ. საზოგადოებრივი ცნობიერება არა თუ ვერ და არ, არამედ თავისუფლების პირუკუ წავიდა. დაშვებული კომპრომისის ისტორია, რომელიც თავისუფლების ღალატის ტოლფასია, თავის ათვლას მეფის რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობიდან იწყებს. სწორედ ვასალურმა მსოფლმხედველობამ, რომელიც ასე გამჟღავნა “წარჩინებული ქართველის” ძვალსა და რბილში, მოიტანა ის საბედისწერო და ქართული საზოგადოებისათვის დამლუპველი შედეგები, ამ ბოლო სამი ათეული წლის მანძილზე რომ მოვიძვეთ. ქართული სახელმწიფოს არქონამ და მის სათავეში წლების მანძილზე ანტი-სახელმწიფოებრივად ორიენტირებული მმართველობის ყოლამ, ქართული საზოგადოების ცნობიერება ორმაგ ვასალურ პირობებში ჩააყენა. საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე გამოსული “ქართველი ფაუსტი” თავისი კარიერის დასაწყისშივე ვეებერთელა ტოტალიტარული რეჟიმის ადგილობრივ, პროვინციულ ფილიალთან, რომელიც ასევე უცხო ქვეყნის სამსახურში შემდგარი ქართველებით “კომპლექტებოდა”, ერთი შეხედვით დაუწერელ, მაგრამ ამავე დროს მომაკვდინებელ ხელშეკრულებას დებდა. მისთვის აღიარება თავს მოხვეული რეჟიმისა იყო ა პრიორი, საკუთრივ რეჟიმი კი იძლეოდა გარანტიებს ამა თუ იმ სფეროში მოღვაწე ადამიანის მხარდაჭერისა, სოციალური უზრუნველყოფისა, მისი მოღვაწეობის წარმატებისა და ა.შ. დაუსრულებლად. ხოლო “ერთგული” მსახურების შემთხვევაში ზემოთ ხსენებული გარანტიები მეძვედრეობით გადაცემასაც ექვემდებარებოდნენ.

შედეგმაც არ დააყოვნა: ხელშეკრულების გეგმა და მიზანი აღსრულდა. პოლიტიკური რეჟიმები თითქოს და მრავალგზის შეიცვალა, ხოლო ხელშეკრულებაზე ხელის მომწერთა ორივე მხარე იგივე დარჩა, თავის უფლებებში, წოდებებში თუ სოციალურ მდგომარეობაში, თავიანთ ხელშეუხებელ “სტატუს ქუ“-ში. გაუთავისუფლებელი ცნობიერების მახინჯი მხარეები ჩამოყალიბდნენ საზოგადოებრივი ურთიერთობების ფორმებად, და რაც მთავარია ყოველივე ამის შედეგი ნათლად ჩანს ქართული საზოგადოების დეგრადაციასა და მის შიგნით მიმდინარე კლასობრივ ურთიერთობებში. ხელშეკრულების შედეგები დროთა განმავლობაში “მუტაციას” განიცდიან და სახეზე გვაქვს ის არნახული სურათი, რომელიც ჩვენი სოციალური, საზოგადოებრივი, სახელმწიფოებრივი, ეკონომიური, რელიგიური, კულტურული, სამართლებრივი ცხოვრების ყველა ასპექტში ჩანს. საზოგადოებრივი ცნობიერების საყოველთაო პროვინციალიზაცია, რაც გამოიხატება “ოჯახების”, “ქუჩების”, “უბნების”, “ელიტარული სკოლების”, “კლასელობის”, და “ბავშვობის მეგობრობის” ცნების ვიწრო ჭრილიდან ხედვასა და საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერი მოვლენის შეფასებაში, რაც პირველ რიგში წარმოშობს კლანურობის პრინციპს, არაპროფესიონალიზმს, ხედვისა და

ცნობიერების უმასშტაბობას, რომლის გარეშეც ყოველი საზოგადოება იკეტება თავის ადგილობრივ, პროვინციალურ ნაჭუჭში და ვერ ადის საზოგადოების ღირსების ხარისხში. ყოველივე ეს კი გადადის კლასობრივ შოვინიზმში, რომლითაც ასე “გამოირჩევა” ქართული საზოგადოება.

“ახლობლობის” და “ქალაქელობის” პრინციპით ინიცირებული ცნობიერება - აი მემკვიდრეობა რომელიც დაგვიტოვა ქართულმა “ინტელიგენს”-მა.

ჩვენი აზრით სათავე ჩვენი გარე-სოციალური და საზოგადოებრივი ცხოვრების აბსურდულობისა, იმ მსოფლმხედველობიდან მომდინარეობს, რომლის მიმართულებებსაც და “სულისკვეთებასაც” დღემდე ზემოთ ხსენებული ხელშეკრულება განსაზღვრავს, რომელიც პირველ რიგში ადამიანების ცნობიერების შიდა სივრცეებში დაიდო და შემდეგ “რეალურ პლანში” უცხო ქვეყნის სახელმწიფო დაწესებულებების კაბინეტებში ხელმოწერილ იქნა და ამდენად გამოდგა მისი “სიცოცხლისუნარიანობა” ხანგრძლივი და მუდმივმოქმედი.

ქართული საზოგადოებრივი აზრის არ არსებობის პრობლემა ნათლად გამოჩნდა უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე. ჩვენი სახელმწიფოებრივი მდგომარეობაც და აზროვნებაც ხომ ამაზე მიუთითებს. ოცდამეერთე საუკუნეში თითქმის წარუმოუდგენელია და შეუძლებელი, დაარწმუნო (იშვიათი გამონაკლისების გარდა) როგორც სახელმწიფო სტრუქტურის წარმომადგენლის, ასევე უბრალო მოქალაქის ცნობიერება, იმაში, რომ ყველანაირი სახელმწიფო სტრუქტურა და ხელისუფლება უნდა იყოს საზოგადოებრივი აზრის მსახური, მისი მსოფლმხედველობრივი ორიენტაციის სიცოცხლეში მომყვანი და არა პირიქით. ჩვენს სივრცეში დემოკრატიის ანბანი და მისი ასო-ნიშნებიც კი უცხოა და როგორ შეიძლება არსებობდეს სახელმწიფო და სახელმწიფოებრივი აზროვნება, როცა არ არსებობს საზოგადოება, საზოგადოებრივი აზრი. საზოგადოებრივი აზრის გარეშე წარმოუდგენელია ამომრჩეველი, ამომრჩეველის გარეშე კი ნებისმიერი ხელისუფლება. ჩვენი სახელმწიფოც და საზოგადოებაც ამ კრიზისშია თხემით-ფეხამდე ჩაფლული, მას არ ყავს ამომრჩეველი. უამომრჩეველად დარჩენილი ხელისუფლება კი საზოგადოების მხრიდან ყოველგვარი კონტროლის გარეშე, თავისი სურვილისამებრ განკარგავს სახელმწიფოს საარსებო ძალებს და საკუთარ თავს ნებისმიერი ნაბიჯის გადადგმის უფლებას აძლევს. სწორედ სახელმწიფოებრივი აზროვნების წყვეტილობაში, ქართული საზოგადოებრივი აზრის არ ქონაში, კლანური ინტერესებით იმპულსირებულ “მოქალაქეობრივ ცნობიერებაში”, რომელიც საკუთარ თავში ვერ აერთმთლიანებს სახელმწიფოს მთლიანობის იდეას და ყოველივეს საკუთარი პირობითობიდან ჭვრეტს, უნდა ვეძებოთ მიზეზები ჩვენი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი შეუძღარობისა. აი ქართული “საზოგადოების” დილემა, ქართული “საზოგადოების” “უაზრობა”, რომელიც ყოველი ფეხის ნაბიჯზე იჩენს თავს, რადგან მას არ გააჩნია პოზიცია რომელიც ანგარიშგასაწევი იქნებოდა ხელისუფლების მიერ.

მეოცე საუკუნის სამოცდაათიან წლებში სწორედ ვასალური ხელისუფლებისა და ამგვარივე “საზოგადოების” მიერ ურთიერთ აღიარების და ხელის შეწყობის შესახებ “ხელშეკრულების” დადება გამოიწვია ის საბედისწერო და ტოტალური ინდუფერენტიზმი და ნიჰილიზმი, რომელიც ადამიანს მისთვის ყველაზე ძვირფასი, პიროვნული თავისუფლების წართმევისას ეუფლება.

ჩვენ, წერილის დასაწყისშივე ვისაუბრეთ თანამედროვეობის მიერ ფეოდალური ცნობიერების რღვევასა და იმ თავისუფლებაზე, რომელიც ადამიანში გარეგნულად, მოვლენათა და ვითარებათა ზედაპირზე წარიმართა. გოეთეს “ფაუსტი”, რომელიც მაძიებელი სულის პერსონიფიკაციაა, ხელშეკრულებას მეფისტოფელთან წმინდად შემეცნებითი პრინციპების გამო დებს. ეს მხატვრული სახე ცნობიერების თავისუფლებისაკენ მიმავალი ყოველი ადამიანის წინასახეა. მისი მთელი ტრაგედია იმაში მდგომარეობს, რომ ხელშეკრულება

რომელიც მან დადო მეფისტოფელთან, მის შემდგომ თავისუფლებას ემუქრება. გოეთესთვის “ინტელიგენს“-ის უნართ დაჯილდოვებული ადამიანის იდეალი, ერთდროულად მოიცავს როგორც შემეცნებით-შემოქმედებით, ასევე პირად-ინდივიდუალურ თავისუფლებას. ცნობიერებისა და ყოფიერების ზღვარზე დადებული ყოველი ხელშეკრულება, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ბოჭავს ადამიანის თავისუფლებას, რომელიც დღეს-დღეისობით გადამწყვეტი ფაქტორია მისი სრულფასოვანი არსებობისა. ჩვენი აზრით “ინტელიგენს“-ი ადამიანური გონების უნარია, უნარი საყოველთაო აღმქმელობისა, გაგებისა, შემეცნებისა, გონიერებისა, რომელიც თავისუფალ სივრცეში ხორციელდება, და არა მოგონილი, ხელოვნურად შეთითხნილი “გასოციალურებული”, ხელშეკრულებებით შეზღუდული და “ძლიერთა ამა ქვეყნისა მიერ” მართვადი, ფსევდო-საზოგადოებრივი ფენა, მრავალი ათეული წლის მანძილზე რომ აბრკოლებს ჯანსაღი საზოგადოების ჩამოყალიბებას.

## **Short Summer Summary from a Conflict Prevention Standpoint**

Summer 2001

It is no secret to anyone that last summer was a very difficult political season for Georgia. Now, the crisis within the government has deepened. President Shevardnadze has been looking to work his way out of this crisis, but so far, he has not found any good avenues of escape. The Parliamentary majority and the Citizens Union party are on the brink of a breakup. The opposition has united against the ruling party. It is interesting to note that conflicting parties such as the left wing Socialists and the right wing Traditionalists have been able to find a common language within the opposing and crippled Georgian Government, but this does not seem to bring us any constructive or positive vision on how to build a country.

- Firstly, the conflict between the President and the executive branch started when the re-establishment of the institution of the Prime Minister was proposed in late May. In exchange for agreeing to this, the opposition demanded to increase the local government's rights, as well as for more de-centralization of Georgia's economic and political system. The President did not want to go quite so far, and he refused to adopt the changes proposed by the opposition. Finally, parliament adopted a very controversial law on local self governance and local elections, not really considering what Tip O'Neil said: "All politics are local". This controversial decision was like thrusting a large thorn into the stability of Georgia, since de-centralization is a crucial step toward solving the problems of the disenfranchised regions. Consequently, during the last nine years of Shevardnadze's presidency, regional separatism has been viewed as a continual threat. As a way to help prevent more potential conflicts, delegating more powers to the regions could option positive steps. Also important is that opportunities for economic development be distributed more evenly between the center and the regions. The opposition rightfully pointed this out, but the governing coalition has not made any compromises on this point.

- Secondly, the problem of the Pankisi Gorge remains a serious threat to peace in Georgia. There have been a number of high profile people kidnapped and taken to the gorge, and large sums of money have been demanded for their release. Police seem to be incapable of doing anything with the criminals. There has been a widespread feeling among the populace that the police force itself has been involved in these kidnappings. Several of the very painful kidnapping cases have been resolved with the involvement of young reformers in the executive and legislative branch, but the problem still remains. Plus, the representatives of the Internal Ministry are practically robbing their own population, since the police have been stopping bystanders and demanding money from them for the release of anyone. As a result, many criminals are out of prison, and many innocent people are in jail. In July, journalist Giorgi Sanaia conducted a number of good

interviews on the topic of Pankisi Gorge on his night show “Ghamis Kurieri”. Giorgi Sanaia was murdered in late July. His murder has not yet been solved, even though the President has been bragging about his serious international investigative help, including having the FBI’s involvement in the investigation. Also, peacefully solving the problem of Pankisi Gorge remains an outstanding issue for Georgia.

- Justice Minister Saakashvili proposed a law that would verify the origins of the money and the property acquired by high government officials. There is a group called the “New Georgians” who have been acquiring money over the past nine years, while also being government members and public officials. Saakashvili points out that this is clearly a conflict of interest. He points to different ministers, like Mr. Vano Chkhartishvili, Mr. Kutateladze and others. According to his information, their wealth, which is indicated by their large, expensive homes and other properties, greatly exceeds what their official salaries could afford. And he is wondering whether this creates a bad image for public servants? He should realize that focusing on economic injustice and other forms of structural violence is essential for helping to prevent violent conflicts in Georgia.

- Finally, by the end of the summer, Mr. Shevardnadze and his Interior Minister started to talk about the possibility of a military confrontation with Abkhazia. According to unofficial sources, there were about 700 to 800 mercenaries brought to the conflict area. Unfortunately, the Russian Army bases are still in Abkhazia, and everyone understands that they are the main reason for the horrific violence that occurred on the territory of Abkhazia eight years ago. But instead of attempting to resolve the problem in a peaceful and political way by beginning direct talks with the Abkhaz people, (who are not the enemies of Georgian people), some elements in the Georgian government are trying to justify possible violent action. This kind of action is not going to benefit either Georgians or Abkhazians. It will benefit only the imperialistic forces that are interested in keeping control of the entire area.

## **Give Peace a Chance, Mr. President Shalva Kedia**

**by Shalva Kedia**

There is a new war in preparation!

Georgian and Chechen forces are getting ready to enter the Abkhaz border!

Russian forces are getting ready to engage in military activities!

Unfortunately, these words are heard in the Georgian press and on the streets of Tbilisi, Batumi, Kutaisi and many other Georgian towns. Anxiety is entering the social consciousness again. We are reminded of 1990-1993, when this country was ravaged by three civil wars. The first conflict started in South Ossetia, then in Tbilisi and Zugdidi between supporters of Gamsakhurdia and Shevardnadze, and finally we came to the Abkhazian tragedy. All of these wars had horrible consequences for everyone involved. The only groups that benefited from these atrocious acts were the high communist party apparatchik nomenklatura and their criminal “death squads” composed of Mkhedrioni and the so-called National Guard. Neither Georgian, nor Abkhaz, nor Ossetian people desired a war. It was a part of a political adventure. As a result of these wars, President Shevardnadze consolidated his power. His main opponents, Zviad K. Gamsakhurdia, Merab Kostava, and Giorgi Chanturia were murdered. Others from the National Liberation movement were either corrupted or marginalized by a very smart but destructive policy of party nomenklatura, who turned their class into a so called “New Georgian Bourgeoisie”. Now,

roughly 90 percent of the Georgian economy is controlled by the “Nouvo-Riche” bourgeoisie and their criminal protectors, while the populace is starving. The rate of unemployment is much higher than officially indicated by government reports - that is the Soviet style of telling the truth.

Beginning in 1996, there was a three-year period of time when people felt more optimistic. They thought that their long aspired change was coming, and finally they would be able to experience a shift in the cycle of structural violence that the Soviet Feudal system had put them in. Liberalism started to come into Georgia, with different developmental programs and a number of NGOs starting to fulfill their role as the builders of civil society. The press started to operate in a more transparent manner. People also had high hopes for fighting a corrupt nomenklatura system, and young reformers came to parliament and started to take action. There were also some young reform-oriented people in the executive branch. Most of the people from the “Death Squads” were arrested, although the smarter ones managed to build big business empires on the money that they got from killing innocent people and robbing their own country. Unfortunately, President Shevardnadze chose to not look in their direction, and the “I know nothing” phrase was the most convenient way for the leader of Georgia to ignore those criminals.

Civil wars and regional conflicts were temporarily suppressed. The NGO community was working hard to start a civic dialogue, but we did not get much support or action from the government. As a result, the Abkhaz as well as Ossetian and other intra-Georgian conflicts remained frozen in time, waiting to explode. President Shevardnadze’s government did not address the underlying causes of violent conflicts. Many disenfranchised people that were extremely unhappy during the Soviet regime remained unhappy, and thousands, if not millions, were added to their numbers. As a result, by the year 2001, structural problems in the country are felt hard. Corruption is rampant. There are many ways to deal with this, but unfortunately, there is not much support or will on the President’s side. Even the Chairman of the Parliament, who stood by the President in every other critical situation, voiced his anger, declaring that the country is at the edge of a catastrophe.

Many people in Georgia believe that Mr. Shevardnadze’s family is responsible for many of Georgia’s outstanding economic, social and political problems. His son-in-law, Mr. Jokhtaberidze, is the head of one of the largest private companies that owns the cell-phone company “Magti-GSM”. His nephew, Mr. Nugzar Shevardnadze controls practically all of the oil movement in Georgia. It is said that hundreds of millions of US dollars in taxes are not reaching the state budget, because tax officials do not want to reveal Nugzar Shevardnadze’s operations. Unfortunately, there is no formal investigation into this matter. According to informed sources from the government and business community, Mr. President’s other in-law; Guram Akhvlediani, controls many state assets. These clans are largely responsible for the problems in Georgia’s contemporary economy.

Also, there are many charges against the government. The Minister of Internal Affairs, Mr. Kakha Targamadze, is said to be the head of one of the largest organized crime groups that controls a big industry of drug trafficking, prostitution, and the kidnapping of people. The police in Georgia are closely tied to the criminal underground “Thief in Law” system. When someone is kidnapped, the police and the criminals jointly demand ransom money for the missing person, and if the payment is made, they always manage to return the lost person. It is very significant that Mr. Targamadze’s kidnapping business has become extremely lucrative, given the involvement of certain members of the government and Mafia. There are unofficial estimates that heroin-producing factories in Pankisi Gorge make about \$300 million from drugs that are sold solely in Georgia. Annually, Georgian drug trafficking overall makes about \$5 billion. These are approximate numbers, but no one doubts that there is a huge problem here with the

drug cartel and the internal ministry. A young Georgian journalist, who opened up a dialogue in the media about the Pankisi Gorge problems, was mercilessly murdered in his own flat, late at night this past July. The time of his murder was carefully chosen, and a message was given to the press community: “You do not cross the border line!” But one thing that the Georgian Government and the Mafia do not realize is that it is impossible to hide the truth—it will always come out.

It is widely known that the Economics Minister, Mr. Vano Chkhartishvili, is a wealthy person. Many people talk about his conflict of interest, since he is considered to be one of the owners on the “United Georgian Bank”, together with thugs like Anton Ingorokva, Zaza Sioridze (who is also under the public payroll) as well as others. This group of government and corporate officials are called the “Gurian Mafia”, as they come from the region of Guria, the same place where Mr. Shevardnadze is from. According to reliable sources, this group has monopolized a variety of formerly state owned assets, and they are controlling a large part of Georgian economy. Mr. Chkhartishvili’s huge house has been a topic of discussion with almost every Georgian family. His salary is not adequate to explain his overall wealth and assets, and naturally, everyone is suspicious of him and his business dealings.

But these are not the only clans that control the Georgian Economy. As a result of the controlling few, approximately 90 percent of the population is impoverished, while, at the expense of their compatriots, a very small percentage of Georgians are extremely wealthy. However, we should not think that these problems could not be solved. Civil Society could be beneficial in helping to answer some of these questions. Peaceful development is absolutely essential for the survival of the fragile democratic achievements that Georgia has made. The problem is that our President likes to start wars, especially when he is hit with the serious political problems—but the war in Abkhazia is not going to solve these rampant corruption problems. Moreover, it will re-create the horrific picture of 1992-1993. Abkhaz and Georgian people do not want to engage in bloodshed. War is only the desire of some corrupt officials and death squads who want to grab more money and get more employment opportunities. Instead of war threats, I think our President should focus on getting the Russian army out of Abkhazia, and then starting a peaceful dialogue with the Abkhaz people. Abkhaz and Georgians are brothers and sisters, and they do not desire to kill each other. I believe that when the Russians are out of Abkhazia, there will be much less of a threat for violence than there is now. We Georgians need to substitute the “Doctrine of Corruption and Suspicion” with the doctrine of Human understanding, compassion and love. This is not impossible, and I think it would be wise for Mr. Shevardnadze to give peace a chance, instead of creating conditions for violence.

Military solutions can never bring positive peace. Positive peace can be achieved by increasing public participation, expanding the resource pie, and letting the people own their own country. The Civil Rights of the people, including every ethnic, religious and race entity should be defended. At the same time, we need to heartily promote the principle of equal opportunity, and abandon feudal patterns of behavior. This country has the potential to be an example of a state that is actively building a peaceful and prosperous society. We just need to have the political will.

One of the starting points for Georgia will be to declare itself a non-military, non-aggressive state, and to open up a dialogue with Abkhaz people. The South Caucasus region is a beautiful place, and the main problems this region has are the armies, whether it’s Russian, Persian, Georgian, Armenian or Azerbaijani. Caucasian people are much better at loving each other than at killing each other. There are only a few elite clans that seem to prefer to have hate and scarcity reign, instead of compassion and abundance.

If Georgia is destined to live, the latter should prevail.

## შემოქმედება, თანაგრძნობა, არაძალადობა

ჩვენი ჟურნალი აგრძელებს რუბრიკას რომელიც წარმოგიდგენთ ხელოვნების ნაწარმოებს. ეს ნიმუშები, ისევე როგორც მეცნიერების ნიმუშები საკმაოდ ინტერდისციპლინარულია. აქ არის მოთხრობები, კრიტიკული ესეები, მხატვრული ინსტალაციები. ახალ ეპოქაში წარმოიშვა მოთხოვნა რომ გადალახული იქნას მოდერნის ერთფეროვნება და ჩვენს აზროვნებაში მრავალ-ფეროვანი ფორმები შემოვიდეს. ასევე, ვცდილობთ ახლებურად გავიაზროთ ხელოვნების სოციალური პასუხისმგებლობა. სოციალურ ხელოვნებას ჩვენში საკმაოდ მდიდარი ისტორია აქვს. აწმყოშიც, ირაკლი ჩარკვიანის, კოტე ყუბენეიშვილისა თუ სხვა სოციალური ხელოვნების წარმომადგენლების საშუალებით, ჩვენ გვაქვს ასეთი ნიმუშები. მაგრამ ამიერიდან საინტერესოა დაიწყოს კონკრეტული მსჯელობა იმაზე, თუ რა როლი შეუძლია შეასრულოს ხელოვნებამ ჩვენი ცხოვრების პირობების შედარებით გაიოლებაში. მე-20 საუკუნის ბოლოს ხშირად ისმოდა პრეტენზიები ჩვენი ხელოვნების მიმართ, რომლებიც ხშირ შემთხვევაში მავანთა და მავანთა აზრით კონფორმისტულ პოზიციას იკავებდნენ და უბრალო ხალხის გვერდით დგომას ამჯობინებდნენ ისტაბლიშმენტის მეხოტბეობას. რამდენად მართალია ეს გამონათქვამები, ჩვენი განსასჯელი არ არის. ჩვენ ვაქვეყნებთ, როგორც მოდერნისტების, ასევე პოსტმოდერნისტების და აგრეთვე ნებისმიერი სხვა მიმდინარეობის წარმო-მადგენელთა ნაწერებს. ამ რუბრიკის მთავარი მიზანია მკითხველს დაანახოს რომ ხელოვნებასაც გააჩნია დიდი პასუხისმგებლობა სოციალური გარემოს ჩამოყალიბებასა და შექმნაში.

ამ ნომერში ვთავაზობთ რამდენიმე საინტერესო ახალი სტილის ნაწარმოებს, რომელშიც ახლებური ხედვაა გადმოცემული. ნინო ჩუბინიშვილისა და გიო სუმბაძის მხატვრული ხედვა მეტად უჩვეულოა ტრადიციული თვალისათვის და სწორედ ამიტომაც წარმოადგენს ღირებულებას. დინა პოუზის სტატია პოსტმოდერნისა და მოდერნის ურთიერთობებზე, ძალიან საინტერესო გამოწვევაა მოდერნისტებისათვის. აგრეთვე, მეტად საინტერესოა დალი და თამარ ბერეკაშვილების მოთხრობების სერია.

იმედი გვაქვს, რომ ამ რუბრიკის კითხვისას მკითხველი არ მოიწყენს.

## Creativity, Empathy, Nonviolence

The words of Johan Galtung: ‘creativity, empathy, nonviolence’ represent an essential part of peace building. We believe that creativity is a significant part of the conflict transformation process, and without a creative approach, we can not overcome the many challenges inherited after so many centuries of violent conflict. Another Galtungian phrase we could use is “Diagnosis, Prognosis, Therapy”. We need to have sound diagnosis to enable us to predict societal development, in order to develop and foster effective healing techniques. Because of their frankness, the reader might find some of the materials in this section to be difficult to read. Please understand that these examples are attempts to make an artistic diagnosis of direct violence, and to emphasize the structural and cultural aspects of violent action.

In this section we offer short stories, contemporary fairy tales, visual arts installations, and essays about the arts that challenge the notion of dogmatic perceptions in the arts and sciences. This is the new field that is filled with mines, but we we feel it is important to risk walking this field, as overcoming obstacles to peace often requires unleashing the creative spirit. New vision

and new paradigms are needed not just for Georgia and the South Caucasus, but for the world at large.

You will see the extremely interesting visual arts installation of Nino Chubinishvili and Gio Sumbadze that was dedicated to the 1999 war in Kosovo. This is a vision of how fashion, color and design can reflect the feelings of human beings during the period of violence. Dena L. Hawes presents an interesting overview of the relationship between socially engaged artistic practices, conflict resolution and social transformation. We hope that you will find our writings to be informative and evocative, and we extend our gratitude for your interest in Peacetimes.

## სოციალურად ანგაჟირებული ხელოვნების როლი

დინა ჰოუზი

“როდესაც ორი ადამიანი ლაპა-რაკობს, ეს საზოგადოებისთვის, კონცეპტუალურად მაინც ღია აქტია.

ყოველთვის შეიძლება ეს ლაპა-რაკი შეწყვიტონ.. აი ეს არის დიალოგის წერის დიდი ნაწილი, მნიშვნელოვანი წყვეტა საუბრისა, რომელსაც თანამოსაუბრეები ერთმანეთს უკეთებენ, ნაუცბადევი ცვლილებები. ამის გამო გვერდი უფრო ცოცხალია, ის უფრო ჰგავს ცხოვრებას და უფრო ჰგავს ცხოვრების მოძრაობას.”

ჯეიმზ ჰილმანი



Barbara Kruger



როგორც არტურ დენტო წერს “მოდერნისტურ ესთეტიკაში ხელოვნება მთლიანად ცხოვრების გარეთ დგას. საკუთარ სივრცეში – ცარიელ თეთრ გალერეაში, ალუმინის ჩარჩოში. იმ ეტაპზე, როდესაც ადამიანი ეძიება უფრო ღრმა კავშირს ხელოვნებასა და ცხოვრებას შორის, მოდერნიზმი მთავრდება”.

ხელოვნება თანდათან ვიზუა-ლური ენისა და ფორმალური აღქმი-საგან – როგორც არის მატერია, ფერი, ფორმა - გარდაიქმნა რაღაცაში, რაც არის შეხების წერტილი, თანამონაწილეობა და დიალოგი. ათწლეულების განმავლობაში მოდერნის-ტულმა ხელოვნებამ მოგვიტანა ნამუ-შევრები, რომლებიც მატარებელია ექსტრაორდინარული სილამაზისა და ფასეულობის, სადაც ცენტრალური ყურადღება ენიჭება შემომქმედი ინდივიდის შემოქმედებით გენიას. მოდერნიზმმა შექმნა იმიჯი ხელო-ვანისა, რომელიც არის ჰეროიკული მამაკაცი,



ALL though me and the Group of architects is in charge of constructing the main body of this object and creating an appropriate layout for it, in the space, this still remains an argument of no vital importance in our role towards the conceptual framework of this highway. We all are well acquainted with the texture and the fabrics that this highway will have to eventually adopt, as well as the heavy weight of the vehicles that will run quickly and continuously through it, leaving nothing but the blurry trace of pollution. The reason of my presence here today has nothing to do with my working duty and career; the main reason of why I'm conducting this and several other operations for implementing constructions is that I decided to use them as a gateway. A gateway that helps me to maintain all the information that will be used in this story. The contents of such information are billions of notes, diaries and mind-projects that have never taken place in reality. These, as I have already mentioned, are the dashes and fragments of ordinary people who deliver the so called [keys and maps] to walk on the [ways that are high], and these who remind us of our supreme destination, from which most of us are eluded. And they rephrase and perpetually repeat this activity. Consequently, my role in this project, besides working out the flesh of this gate-way, also consists of simply standing on a highway and collecting sublime data from these, I know we are going to be attaining their life-time procedures on this very high-way.

DIARY#2."Today was one of those days when the world spins too fast and there is no transparency in the air—when the path that I step on during the day is covered by ice, and when each minute I'm about to fall down and brake my neck. It started in the early morning. They woke me up, shouting and getting all over one another, saying: [it's never gonna be warm again... you'll see. It's going to be cold for the rest of our lives]... indeed, the cold light was the first visual information that I received taking my blanket off and trying to find something to put on... I was pacing up and down the room—it has never been so cold. [that morning the cold war began]. And nobody really knew about it. We were just waiting, anticipating. Not a word was said that morning. The city was dead.


I have a shelter. It is my duty to have a shelter. Otherwise I wouldn't want to have one. I may never see the sun again, and my hair will not grow... [let us find the despair and pain through thought, within our head, but do not make it visible and flesh-like, because that is more than pain, as it brings desolation, but nothing like the perfection of the thought. See, death is not the key answer for those who continue to live in their flesh]. The TV is on. We're listening to the voice of a man called John W. Burton: "...there are such conflicts at all societal levels, that is a situation in which ontological needs of identity and recognition, and associated human developmental needs, are frustrated. These conflicts cannot long be continued, controlled or suppressed, but can be resolved and prevented by the satisfaction of such needs". Then the voice becomes an echo, a diffused, fuzzy wave and we can hear the next words: "that conflict is a

..... Generic phenomenon that knows no systematic boundaries. We need once again an analytical process of conflict resolu...” – and the voice fades out and there is nothing but the roar of the desolated TV screen in front of us.

AUTHOR: sooner or later, I’m going to take you to the second construction that I’m executing. That, other one is more indecisive and more critical then the [high way]. I usually use it as a comparison of two limitations, two radically different edges, that are having disputes within each other. My life would be boring without the things I do. I know this story is boring as well, but I just have to finish it by Monday, because I promised that next Monday is going to be different than today.

Whatever happens, I have to take you to the other object. It is even more important then the first one. Because less people have the chance to get there. And some of the things mentioned in this story will be there, before a dilemma that has no end. The other object/construction is called [bilingual stairs]. They indicate two ways, two stairways that look similar, and have different functions and different directions. Ok, let’s go there:

### BILINGUAL STAIRS



These stairs assign the resemblance of the negative and positive ways –which might easily seem the same, for one that has just started walking on them. Thus they are truly dangerous, despite that they split in directions. Even though they both start from the zero point, which is in the middle, between them, they have different missions. One side of the stairs is minus and the other plus. One side runs up, while the other side runs down. It is very difficult to differentiate one from the other. Very often people mess them up, and with the hope that they are on the right track, they instead very actively walk down the wrong side of the stairs.

DIARY#3” I came across two parallel dreams. One of them was very sensible and close to reality, and it looked like it was something that already happened and will keep on happening over and over again—that was my, very tangible reality. And the other dream was very irrational and distant. It was more likely a dream, then a desire or a wish, maybe because when I make a wish, the centre of the wish is me, but as for this one, I was absent, I wasn’t here nor there, nor was I ever meant to be. I suddenly felt that a real dream, consummate plan, was so unfeasible that it could not carry myself, a human being, as its concept. There just was no place for me there. These two dreams – real and ideal/surreal kept trying to intersect each other but there was something that prevented these two from joining. And that something was the absence of magic in the dream, which was [real], and the presence of the magic in the [ideal], surreal. And because of such a gap and such a conflict between them, none of them could come true”.

AUTHOR: oh, what a shame. By the way, we have two main customers to walk the [bilingual stairs] today. These are real vs. ideal. The argument against [real] comes first. And it too will be a diary, collected on a [high way].

DIARY#4: [When they think...oh, that is an undeniably joyful thing to know.... the breaking point of their thought starts with obliterating the slightest capacity for something that stands beyond the visible form and feasible implementation of their thought. There can't be a second path for their desires and interests. There is only one, defined and acceptable idea, acceptable worldwide. Their dreams—they are about an incomprehensible danger and mud, which might provide a problem instead of a profit. The rats of the media, the rats take control and they too are certainly the matters of God, deprived, diffused and rejected sons of the process, forever stuck in the middle - the period within 2 determined lights, stuck twice between ever knowing or not knowing at all. The identity of the up mentioned person, in ideal form, in some sense, works out to be perfectly adjusted to its flesh, its material body, adequately resembling the thought and the action, thus, incarnating into a progressive and dangerous object.]

AUTHOR: real is real. It is real because we consider it that way. Thus, while considering the real, feasible values of the things around us, we know that there must be something beyond it. And that's ideal. Because we don't possess it, only because we can't have it. Thus it turned out that there is only one candidate to fit my [bilingual stairs], the other—ideal is missing, as always. There is no substantial evidence that it has ever competed with [reality], because they strive to achieve the same goal, though through different means of communication.

DIARY#5: The diary of mine, [when I was in a bad mood]: 37 of July, and there is one, such July – and that's my July, with numbers that exceed the limit and which enumerate not only months, but infinity itself, and that's the most annoying thing ever. let's go back to where it begins-the shape. Now I'll try to start a new project, a new construction. I'll try to match the things that have much in common or have no similarities at all. The simple, or I'd say the simplest sketch-the circle—perfect, stunning, beautiful, and then the key—the stripe—the line crossing it, and slightly diffusing the eye of the observer. But it is the exact key that helps the eye precept and accept or mostly believe in the miracle of the perfect. It would undoubtedly be almost impossible to realise the existence of the perfect, and believe in it if there would have been no distortion—the biological interaction of the two most unmatched creations in the world. “There was, and will always be, the line to distract, and it will stand for the key point of the major level of faith in the human being.”

DIARY: the last. “Idea of development is the development of human being, because human beings are the measure of all things”. Johan Galtung.

## ზღაპრები

### დალი ბერეკაშვილი

### მგელვეფხვა

იყო და არა იყო რა, იყო ერთი მგელვეფხვა, რომელიც ასანთის კოლოფში ცხოვრობდა.

მგელვეფხვა ძალიან საშიში მხეცი იყო და ყველას თავს ესხმოდა. ვისაც არ უნდა ჩაეელო მისი კოლოფის გვერდით, თავი იქნებოდა თუ ზოჭო, სპილო თუ ღინოზავრი, ხვლიკი თუ



ვეშაპი, სულ ერთია, მგელვეფხვა გამობტებოდა ხოლმე თავისი კოლოფიდან და იჭერდა. განსაკუთრებით ვეშაპებს ერჩოდა – სულ მუსრი გაავლო.

შეწუხდნენ ვეშაპები და გადაწყვიტეს ადამიანისთვის ეთხოვათ რჩევა. მიაგზავნეს ერთი ვეშაპი ადამიანთან, ასე და ასე, ძალიან შეგვაფიწროვა მგელვეფხვამ და იქნებ რამე გვიშველო. ადამიანმა უთხრა: მე არ ვიცი, თუ რა უყვარს ან რა ეჯავრება მგელვეფხვას. იქნება თაფლი უყვარს და მდოგვი ეჯავრება, ან, პირიქით, მდოგვი უყვარს და თაფლი ეჯავრება. ამიტომ, ნახევარმა თაფლი წაისვით, მეორე ნახევარმა კი მდოგვი და ვნახოთ, რა მოხდებაო. ერთმა ძალიან ეშმაკმა ვეშაპმა კი თაფლიც წაისვა და მდოგვიც და მგელვეფხვას კოლოფს ჩაუარა. მგელვეფხვა მაშინვე გამობტა და დაიჭირა... დაიჭირა და დაუწყო ლოკვა. ლოკა, ლოკა, ლოკა, სანამ მთელი თაფლ-მდოგვი არ აალოკა. გაძლა და გაუშვა. ამის შემდეგ ვეშაპებმა ამოისუნთქეს, წაისვამდნენ ხოლმე თაფლ-მდოგვს და არხეინად მიმოდრიოდნენ მგელვეფხვას კოლოფის გვერდით. მგელვეფხვა აალოკავდა ხოლმე თაფლ-მდოგვს და უვნებლად უშვებდა.

დინოზავრები კი სულელები იყვნენ, ვერაფერი მოიფიქრეს მგელვეფხვას წინააღმდეგ, ამიტომ, მგელვეფხვამ ისინი სულ ამოწყვიტა. ასე გადაშენდნენ დინოზავრები.

ორი მუხლუხა იყო და არა იყო რა, იყო ორი მუხლუხა. ერთს თავი წითელი ჰქონდა, კისერი ნარინჯისფერი, მერე ყვითელი, მერე მწვანე, მერე ცისფერი, მერე ლურჯი, ბოლო კი იისფერი. მეორეს, პირიქით თავი იისფერი ჰქონდა, მერე ლურჯი, მერე ცისფერი, მერე მწვანე, მერე ყვითელი, მერე ნარინჯისფერი, ბოლო კი წითელი.

წითელთავა კარგად ჭამდა და ბევრს მოძრაობდა – ტოტებზე სულ ზემოთ-ქვემოთ დაძვრებოდა. იისფერთავა კი დედიკოს არ უჯერებდა, არ ჭამდა. ძრომითაც არ დაძვრებოდა. სულ ფოთოლზე იჯდა მოკუნტული და ფიქრებს ეძლეოდა. წითელთავა კი ამდენი ძრომისაგან ისე გავარჯიშდა და გათამამდა, რომ ერთხელ ხის კენწეროზე აძვრა, მერე რომ, ვეღარ ნახა ასაძრომი, მოირკალა მშვილდით, უცებ გასწორდა და გაფრინდა ისარივით ცაში. მეორე მუხლუხამ აიხედა ზემოთ და რას ხედავს – წითელთავა ცაში ამხტარა და პატარა ცისარტყელად გადაქცეულა!

თვითონაც მოუნდა საშინლად. დაიწყო ზემოთ ასვლა. დიდი წვალეებით ააღწია კენწეროს, მოირკალა და ... ზემოთ ახტომის მაგივრად, ქვემოთ ჩავარდა... არა, არ ჩავარდა, პატარა აბრეშუმის ძაფს ჩამოეკიდა (ხომ გინახავს?).

ეკიდა ასე ძაფზე და დარდობდა, ეკიდა და დარდობდა, გარშემო სულ აბრეშუმის ძაფი შემოიხვია, იმიტომ, რომ აღარაფრის დანახვა არ უნდოდა. ეკიდა და ეკიდა. ერთხელაც, მოიშორა შემოხვეული და გამოვიდა გარეთ... პეპელა. ახლა მას ცისარტყელასავით ლამაზი ფრთები ჰქონდა და ფრენაც შეეძლო.

ასე გაჩნდა ცისარტყელა და პეპელა.

## სამი კოჭი

იყო და არა იყო რა, იყო სამი კოჭი. ერთი ქვისგან იყო გამოთლილი, მეორე – ხისგან, მესამე კი თივისგან იყო დაწნული. იდგნენ ერთად თაროზე და კამათობდნენ, არა მე ვჯობებ ვეღვას, არა მეო. ამ დროს გამოჩნდა ხელი და ერთ-ერთი (ქვის) კოჭი აიღო. მაგრამ კოჭი მძიმე აღმოჩნდა და ხელს გაუვარდა. დაეცა ფეხს. ფეხი გამწარდა და კოჭს

წიხლი ჰკრა. კოჭი გაგორდა. ხელმა ახლა მეორე კოჭი აიღო – თივის. მოუჭირა, მაგრამ კოჭი დაიჭმუჭნა. ხელმა ესეც დააგდო. ბოლოს ხის კოჭი აიღო ხელმა. ის არც ზედმეტად მძიმე იყო, არც ზედმეტად რბილი. ხელმა მასზე ძაფი დაახვია და დიდხანს ხმარობდა. კოჭი გულში ამბობდა, “ხომ ვამბობდი, ყველას ვჯობივარო”. ბოლოს ძაფი გამოიღვია. მაგრამ, კოჭი არ გადაუგდიათ: ბავშვები მას საპნის ბუშტების გასაშვებად იყენებდნენ. ხის კოჭი სულ იმეორებდა ამაყად, “ყველა კოჭზე უკეთესი მე ვარო”.

თივის კოჭი კი, ამასობაში, ჭიანჭველებმა ნახეს. ძალიან მოეწონათ – ის ხომ ოქროსავით ბზინავდა და თავის ბუდეში წაიღეს – დედოფლის ტახტს გავაკეთებთო. მართლაც, გააკეთეს. როდესაც მასზე ჭიანჭველების დედოფალი დაბრძანდა, კოჭმა ჩაიცინა თავისთვის, ვინ მედრებოდა, ან როგორ მედრებოდნენო. ის, რა თქმა უნდა, დარწმუნებული იყო, რომ საუკეთესო იყო.

ქვის კოჭს რაღა მოუვიდა? რა და, როცა ფეხმა ჰკრა და გააგორა, დარტყმა ისეთი ძლიერი იყო და ისე სწრაფად გაგორდა მზის ამოსვლის საწინააღმდეგო მიმართულებით, რომ გუშინდელ დღეში ამოყო თავი, მერე უფრო შორს წარსულში და ბოლოს ძველ საბერძნეთში აღმოჩნდა. აქ მას ხელი მოკიდა მშვენიერმა ქალწულმა არიადნემ და ზედ ძაფი დაახვია. როგორც ცნობილია, არიადნემ ის ძაფი თეზევსს მისცა და ამის გამო თეზევსმა მოახერხა ლაბირინთიდან გამოსვლა, მოკლედ, ამ ამბავს აღარ მოყვები, ისედაც იცი (თუ არ იცი, შეგიძლია წაიკითხო). თეზევსის სახელგანთქმული გმირობის მერე კოჭმაც გაითქვა სახელი. მაშინ კი ამასთან დაკავშირებით ტაძრებს აგებდნენ. კოჭსაც აუგეს, შუაში ქვის სვეტზე დააბრძანეს და თავიანთ სცემდნენ.

გამოიცანი, რას ფიქრობდა ამ დროს კოჭი?

## სულ პირველად

სულ პირველად ქვეყნად არაფერი იყო. იყო მხოლოდ ოთხი ამინომჟავა, ორი მუხლუნა, სამი კოჭი, მგელვეფხვა, გლუკოზა და გემოგლობინი.

მგელვეფხვა თარეშობდა და ყველას თავს ესხმოდა. აი, მიახტა ერთ მუხლუნას, მაგრამ ის ცაში ახტა და ცისარტყელად გადაიქცა. მგელვეფხვამ მხოლოდ კუდიდან ამინომჟავას აწყვეტა მოასწრო. მერე მეორე მუხლუნას მიახტა მგელვეფხვა. იმან კი ფრთები გამოიბა და გაფრინდა. მგელვეფხვამ მხოლოდ ამინომჟავის მოწყვეტა მოასწრო. მერე გლუკოზას ეცა. გლუკოზამ რქები ამოკრა და გაექცა. ამასაც კუდიდან ამინომჟავა ააწყვეტა მგელვეფხვამ. ბოლოს, გემოგლობინს ეცა. გემოგლობინმა ოკეანეში ჩაყვინთა. მგელვეფხვამ ბოლოდან ამინომჟავა ააწყვეტა მხოლოდ. ყველა გაუსხლტა მგელვეფხვას, შერჩა მხოლოდ ოთხი ამინომჟავა. რა უნდა ექნა? მოიწყინა. მერე ადგა და ამ ამინომჟავებისაგან სამყარო შექმნა.

სამი კოჭი? სამყარო რამეზე ხომ უნდა დაედგა, ჰოდა, სამ კოჭს დააყრდნო.

## წითელქუდა

იყო და არა იყო რა, იყო ერთი საყვარელი გოგონა, რომელსაც წითელი ქუდის ტარება უყვარდა და წითელქუდას ეძახდნენ. ყველაფრად კარგი და დამჯერი ბავშვი იყო, ოღონდ ერთი უცნაურობა სჭირდა: სადაც კი მგელს დაინახავდა, მივარდებოდა და გადაყლაპავდა ხოლმე. მისი შიშით იმ არემარეში მგელი არ ჭაჭანებდა. ერთხელ ბებია გაუხდა ავად ტყის გადაღმა სოფელში. დედამ წითელქუდას ბებიასთვის კალათში ღვეზელი ჩაუდო, თან დაარიგა,

შენ იცი, ჭკუით მოიქეცი, ტყეში მგლებს დევნას ნუ დაუწყებო. წითელქუდა შეპირდა (ის ხომ დამჯერი ვოგო იყო) და გზას გაუდგა. მგლების ძებნა მართლაც არ დაუწყია.

ამასობაში ტყეში ხმა გაგარდა – წითელქუდა მოდისო. ერთად-ერთი დარჩენილი მგელი შიშით დაფეთდა, აღარ იცოდა სად დამალულიყო. გამოვარდა ტყიდან და ქოხი დაინახა. ეს ბებიას ქოხი იყო. შევარდა მგელი ქოხში, ბებიისთვის შველა უნდოდა ეთხოვა. ბებია არ დაუხვდა – უკეთ გამხდარიყო და ბაზრობაზე წასულიყო. ამ დროს მგელს მოახლოებული წითელქუდას ნახი სიმღერა მოესმა. მგელი აქეთ ეცა, იქეთ ეცა და ბოლოს ბებიას ლოგინში ჩაიმალა, თავზე მისი ჩაჩი დაიხურა და ცხვირზე მისი სათვალე გაიკეთა – ეგება ამ ოხერმა ვერ მიცნოს და გადავრჩეო. შემოვიდა წითელქუდა. მიუახლოვდა ბებიის ლოგინს. ცოტა ეუცნაურა ბებია და გადაწყვიტა გამოერკვია, რაში იყო საქმე. მერე, როგორც იცი, დაკითხვა მოუწყო თვალების, ცხვირის, ხელებისა და კბილების შესახებ. სწორედ კბილებით იცნო საწყალი მგელი (ბებიას არც ერთი კბილი არ ჰქონდა) და მაშინვე გადაყლაპა.

ამ დროს ბებია დაბრუნდა და ხედავს: ზის წითელქუდა გაბერილი მუცლით და კრუსუნებს – მუცელი ატკივდა. ბებია ყველაფერს მიხვდა, დატუქსა გოგონა და მაშინვე სოლიანი წყალი დააღვინა. მგელი უვნებლად ამოვიდა.

მას მერე წითელქუდა მგლებს აღარ ერჩოდა.

### **ცული ზღაპარი**

ერთ მშვენიერ ადგილას დიდი ლამაზი ხე იყო ამოსული. გაზაფხულზე მისი ყვავილები საამურ სურნელს აფრქვევდნენ, ტოტებზე ჩიტები ჭიკჭიკებდნენ, ზაფხულში მის ქვეშ სიგრილე და ნაზი ნიავი იყო, შემოდგომაზე მისი ნაყოფით ჩიტები და ციყვები იტკბარუნებდნენ პირს, ზამთარს კი ციყვი მის ფულუროში ატარებდა თბილად და მყუდროდ.

ერთხელ მოვიდა კვერნა, ციყვი შეჭამა და ფულუროში დასახლდა. მერე მოვიდა მონადირე, კვერნა მოკლა, ხე მოჭრა და მის ადგილას რკინის ბოძი ჩაარჭო. ბოძი წაიქცა, კაცს თავში დაეცა და მოკლა. თვითონ კი დაჟანგდა.

ამ ადგილას მერე ჟანგისფერი ბალახი, კვერნისფერი და ციყვისფერი ყვავილები ამოვიდა.

მივიდა ერთი ბავშვი და ყვავილები სულ გაკრიფა, მაგრამ სანამ მოქონდა, თხა წამოეპარა და თაიგული შეუჭამა. თხას კი, ამასობაში, მგელი წამოეპარა და შეჭამა. მერე ბავშვიც მიაყოლა. მგელმა ამდენი ვერ გადახარშა და ფეხი გაფშიაკა.

იქ, სადაც ის გაიხრწნა, ამოვიდა ბალახი, მერე ყვავილები, მერე ხე, მერე რკინის ბოძი, მერე ციყვი, მერე კვერნა, მერე თხა, მერე მგელი, მერე მონადირე, მერე ბავშვი, და ყველა, გარდა ბალახის, ყვავილების, ხისა და ბოძისა აქეთ-იქეთ დაიფანტა.

### **მძინარე მზეთუნახავი**

ერთ მშვენიერ ქვეყანაში მეფე-დედოფალს დიდი ხნის უშვილობის მერე ქალიშვილი შეეძინა. გახარებულებმა დიდი წვეულება მოაწყეს და ნათლებად ფერიები დაპატიჟეს. პირველმა ფერიამ თავის ნათლულს სილამაზე უბოძა, მეორემ – მშვენიერი ხმა, მესამემ – სიმარდე და სისწრაფე, მეოთხემ ... ვერ მოასწრო ვერაფრის თქმა, როცა დაუპატიჟებლად, გაჯავრებული,

ბებერი ჯადოქარი შემოვიდა და პრინცესას უდროო სიკვდილი აღუთქვა თითისტარის ჩხვლეტისაგან. ამის მერე გაუჩინარდა. ყველა შეძრწუნდა, მაგრამ გამოვიდა მეოთხე ფერია და განაცხადა, რომ თუმცა ჯადოქრის წყევლას მთლიანად ვერ გააუქმებდა, მაინც შეამსუბუქებდა – პრინცესა კი არ მოკვდებოდა, მხოლოდ დაიძინებდა ასი წლით, სანამ მას პრინცი გამოაღვიძებდა კოცნით.

თხუთმეტი-თექვსმეტი წლის მერე პრინცესა ტყეში დანავარდობდა. აქ მას ერთი კეთილი მოხუცი ქალი შეხვდა თითისტარით ხელში (სინამდვილეში, ეს ჩვენი ნაცნობი ბოროტი ჯადოქარი იყო გადაცმული) პრინცესას თითისტარი არასოდეს ენახა, რადგან ბოროტი ჯადოქრის წინასწარმეტყველების შემდეგ მეფემ აკრძალა თითისტარები მთელ ქვეყანაში და გამოქანდა მისკენ – ჯადოქარი უკვე ქირქილებდა ბოროტად საბედისწერო ჩხვლეტის მოლოდინში. მაგრამ პრინცესა ისე სწრაფად მოქროდა – ის, ხომ ქვეყნად ყველაზე სწრაფი იყო – რომ თავი ვერ შეიკავა და ასი კილომეტრით იქით გადაირბინა.

ბოროტი ჯადოქარი ბოლმისაგან იქვე მოკვდა და თქვენი ჭირი წაიღო.

პრინცესა კი ამდენი სირბილისაგან ისე დაიღალა, რომ წამოწვა და დაიძინა ასი წლით.

მერე, რასაკვირველია, მოვიდა მშვენიერი პრინცი და კოცნით გააღვიძა.

## წუნია საპატარძლო

იყო ერთი ძალიან ლამაზი ქალიშვილი. სახელიც ლამაზი და მჟღერი ჰქონდა – ქსეროკობია. ქსეროკობია ყველას ერთი შეხედვით უყვარდებოდა, ამიტომ მთხოვნელები სულ თავს ეხვია. მაგრამ იგი ძალიან მედიდური და ამაყი იყო და ყველას იწუნებდა. მობეზრდა მეფეს (დამავიწყდა მეთქვა, რომ ქსეროკობია მეფის ასული იყო) თავისი ქალიშვილის სიჯიუტე და უცხოეთში გააგზავნა ჭურჭლის მრეცხავად.

იმ სამრეცხაოში, სადაც ქსეროკობია აღმოჩნდა, სულ პრინცესები მუშაობდნენ ჭურჭლის მრეცხავებად. ქსეროკობია რომ ნახეს, ყველას შემურდა მისი სილამაზე და მისი სახელი. ამიტომ, ყველამ მისი მიბაძვა დაიწყო, რომ როგორმე მას დამსგავსებოდნენ და სახელიც ყველამ გადაირქვა – ახლა ყველას ქსეროკობია ერქვა. ასეთმა მოქმედებამ შედეგი გამოიღო – ზოგი მილიონერს მისთხოვდა, ზოგი კინოვარსკვლავი გახდა, ზოგიც – ფოტომოდელი. მალე ჩვენი (ნამდვილი) ქსეროკობია მარტო დარჩა სამრეცხაოში. გაბრაზდა და სახლში დაბრუნდა. აქ ის მჭედელს გაჰყვა ცოლად – მისი დაკუნთული ხელები მოეწონა და სახელიც გადაირქვა – ამალია გახდა.

ქსეროკობიებმა კი მთელი ქვეყანა გაავსეს და დაიპყრეს.

## მოთხრობები

თამარ ბერეკაშვილი

პავლე

იმ დღეს პავლე ცუდ გუნებაზე იყო. ან კი როდის იყო კარგ გუნებაზე?! მაგრამ იმ დღეს განაცხადა, კარგ გუნებაზე ვერა ვარო, პილატეზე ლაპარაკობდა და უიმედობას გამოთქვამდა. ყველაფერში მართალი იყო, გაუგებარი იყო მართო, რატომ დღეს და არა გუშინ ან გუშინწინ, ან იმის წინ, ან რა იქნება ხვალ, ხვალაც ხომ იგივეა? ხვალ პავლე უფრო მხიარული მოვიდა, სინამდვილეში ისევ ისე, მაგრამ ცუდ გუნებაზე არაფერი დასცდენია და ყვაილებსაც წყალი დაუსხა, შემდეგ ერთ-ერთ ნინოს ვარცხნილობა მოუწონა და წავიდა. პილატეზე აღარაფერი უთქვამს. მესამე დღეს პავლე ახალ კოსტუმში მოვიდა, ლამაზი და საქმიანი, თუმცა არაფერი გაუკეთებია, ალბათ ემზადებოდა საქმის დასაწყებად. “ხოროშო” – თქვა, რაც ნიშნავდა, რომ ყველაფერი გასაგები იყო, ისიც, რომ სრულებითაც არ არის ყველაფერი კარგად, მაგრამ მან თადარიგი დაიჭირა და მიიღო როგორც არის. ალბათ პავლე ნებისმიერ ხასიათზე უნდა აიტანო - გაიფიქრა მერიმ.

### ამბავი

მეზობლებში ხმა გაგარდა, დეიდა ივლიტა ცუდად გახდაო. მართლაც დეიდა ივლიტა ეზოში იჯდა, ხელი იმ ადგილას მიედო, სადაც გული ეგულებოდა და ოხვრა-ოხვრით, მაგრამ აღელვებული ყვებოდა.

– ვიჯექი სახლში, ვუყურებდით ტელევიზორს. უცბად საშინელი გუგუნი მომესმა. ვალოდიას ვუთხარი, რა ხდება მეთქი. არაფერიო, მითხრა, ტელევიზორის ხმა არისო. არ დავუჯერე და მართლაც, რას ვხედავ ოთახში დაფრინავს საშინელი მწერი და ღრიალებს. სულ შავია და ბუსუსებია, ზედიზედ ხუთი წყვილი ფეხი აქვს და მე მიმიზნებს. მოვრთე კივილი, მაგრამ არ შეეშინდა. ვალოდია გაბრაზდა, რა გაყვირებს ქალო, ბუზიაო. მე ამისთანა დიდი ბუზი არ მინახავს, თანაც ჩემს თავს. ამეწია წნევა, სულ დამფოთლა, ძლივს გავასწარი. ის ჩემი ტუტუცი კი მიყვირის, მოდი, წავიდაო. მე გამომყოლია. რა უნდა ჩემგან? რას მერჩის? ალბათ ჩემი სადილი მოეწონა, ჩანახი გაუკეთე ჩემს ბიჭს. ახლა რომ შემომეჩვიოს, დამრჩება შვილი უჭმელი.

– აი ასე მოუვა, თქვა გუგულის. – სულ ვეუბნები, ძალიან ანებივრებ შენს შვილს მეთქი და არ მიჯერებს, აი შედეგიც.

### “ფლაკონჩიკები”

ცხრა სტუდენტი იყო ჯგუფში: დაკო, მაკო, სოფო, ეკა, თაკო, ელო, ლიკა, ციკა და გულიზარი. ყველა ერთნაირი იყო, თუმცა ზოგი მაღალი, ზოგი კი დაბალი, გამხდრებიც და მოსუქებულებიც, ყველა რატრატა და მხიარული. ყველა ერთნაირად კარგად სწავლობდა. ყველას უყვარდა სიმღერა და ყველა იგვიანებდა. ზოგი ქერა იყო, სხვები შავრემანი. თვალის ფერითაც ალბათ განსხვავდებოდნენ, მაგრამ მაინც ძნელი გასარჩევი იყვნენ. ლექციის შემდეგ სარკესთან იყრიდნენ თავს და ჟიჟივებდნენ, ბუმბულს ისწორებდნენ. რა ეცვლებოდათ გაუგებარი იყო, მაგრამ ამის შემდეგ ძალიან კმაყოფილები გადიოდნენ ქუჩაში, სრული შეგნებით, რომ ახლა ბევრად მიმზიდველები გახდნენ. ბრწყინავდნენ და ციმციმებდნენ, როგორც ახლად გარეცხილი შუშის ბოთლები სხვადასხვა სახელის ფრანგული სასინჯი სუნამოთი – დაკო, მაკო, სოფო, ეკა, თაკო, ელო, ლიკა, ციკა და გულიზარი “ფლაკონჩიკები”.

### ლიტო

დიტოს ძალიან აღიზიანებდა ქვეყნის გმირული და სასახელო წარსული, უფრო სწორად, არ მოსწონდა, რომ მასაც უნდა ედიდებინა ეს წარსული და ეამაყა მისით. საამაყო ხომ ისედაც ბევრი ჰქონდა – იყო ახალგაზრდა, ჭკვიანი, ნიჭიერი, პროგრესული, კარგად იცოდა ინგლისური და ბოდრიარიც აი, უკვე სამი წელია, რაც წაკითხული ჰქონდა. ცხადია, თვითონაც შეეძლო ეყვირა, ძირძველი და უნიკალური ერი ვართო, მაგრამ ასე ხომ ისინიც ლაპარაკობდნენ, და სწორედ ისინი, ვისაც ბოდრიარი არ ჰქონდა წაკითხული და ინგლისურად მარტო “ო-კეი” იცოდნენ. თანაც იმაშიც დარწმუნებული იყო, რომ ზნე-ჩვეულებებში არაფერი იცვლება და თუ დღეს პრეზიდენტები და სახელმწიფოს მეთაურები ტყუიან, მრუშობენ, პედოფილობენ და ზოოფილობენ, წარსულში მით უფრო ასე მოიქცეოდნენ, როდესაც მეფეები იყვნენ და ყველაფრის უფლებაც ჰქონდათ. და განა რატომ არ შეიძლება დავით აღმაშენებელი გეი ყოფილიყო, როდესაც მისი სათაყვანებელი ფუკო იყო გეი. იმდენი იფიქრა ამაზე, რომ დარწმუნდა კიდევ თავის სიმართლეში. მართალია, სამეცნიერო ნაშრომს ამაზე ვერ დაწერდა, რადგანაც დასაბუთება აკლდა, მაგრამ კარგი მოთხრობა კი გამოუვიდა – თანამედროვე და ყურადსაღები. ძალიან კმაყოფილი იყო.

### დიდი გზა

ბეგიმ შეამჩნია, რომ ყველა დიდ ხელოვანს შარავზების ჩვენება უყვარს – ბუნუელს, ფელინის, კანჩალოვსკის, და კიდევ ვინ მოთვლის რამდენს. გადაწყვიტა, ნამდვილად დიდი გზა უნდა წარმოვაჩინო. დიდი გზა მნიშვნელობას ანიჭებს ყველაფერს, და, რაც მთავარია, ავტორს. დაიწყო ნანახი დიდი გზების გახსენება. მაშინვე თავისი ქუჩა წარმოუდგა თვალწინ ნავიანი პაკეტებით რიგში – არა, ეს არ ვარგაო – გაიფიქრა. შემდეგ ამერიკის ტრასების გახსენება დაიწყო, მაგრამ მარტო კინოში ენახა, ამიტომ რიგიანად ვერ წარმოიდგინა. თავისი სოფლის შარავზა მოიგონა, მაგრამ ეს განა დიდი გზაა?! თანაც ამ გზაზე ვირები და მისი მეზობელი ვარვარა დადიან, ეს არ შთააგონებდა შედეგის შესაქმნელად. იცოდა, რომ ყველა დიდ გზებზე დადიან ვირები, ვარვარები და სხვა საეჭვო არსებები, მაგრამ თავიდანვე, წარმოდგენისთანავე რომ მათ ევლოთ, არ უნდოდა. მოიწყინა. აღმოჩნდა, რომ მას დიდი გზა არ ჰქონდა.

### სწავლული მდივანი

ფრანცი სწავლული მდივანი იყო. ეს ის კაცი იყო, წლიურ თემებს რომ აგროვებდა ინსტიტუტში და ჭერში აწყობდა. ყველა პატივს სცემდა, იმიტომ, რომ თავისი საქმე ჰქონდა და წლის ბოლოს ნებისმიერისთვის შეეძლო მოეკითხა – შენი თემა სად არიო. ფრანცმა იცოდა თავისი ფასი, ამიტომ ყველასთან თამამი და ირონიული იყო.

ერთხელაც წლის ბოლოს აღმოაჩინა, რომ ყველას მოეტანა თემები ტატოს გარდა. ძალიან გაბრაზდა. ეს ტატო ისედაც დიდი ხანია არ მოსწონდა, მისგან მოწიწებას ვერ გრძნობდა. არ უნდოდა დასმენა დაბრალებოდა, ამიტომ გადაწყვიტა ანგარიშით შესულიყო ღირექტორთან, რომელშიც ეწერებოდა, რომ 29 წლიური თემის მაგივრად წელს მარტო 28 თემა შემოუვიდა. ღირექტორი შეეკითხებოდა, რატომ არის ნაკლებიო და ისიც მორიდებით მიუგებდა, ტატოს დაავიანდა მოტანაო, ალბათ დაავიწყდა, რომ ჩვენთან მუშაობს. ღირექტორი განრისხდება და ტატოს სამსახურიდან გააგდება.

ასეც მოიქცა. ღირექტორმა გადაათვალიერა ანგარიში, გაიღიმა და მდივანს გასძახა, ჩაი მომიღულეო. ფრანცს კი ჩაი არ შესთავაზა.

## კარგი კაცობა

რევი კარგი კაცი იყო. იცოდა, რომ კარგი იყო, იმიტომ რომ თვითონ იშრომა თავისი მეობის სრულყოფისთვის. კარგი კაცობა მისთვის მთავარი იყო. რაც გინდა დაებრალეინათ, მაგრამ ვერავინ იტყოდა, რომ გიჟებს, ღრმა მოხუცებს, მეამბოხეებს, მსუბუქი ყოფაქცევის ქალებს ან მოხუცი ახალგაზრდებს არ წყალობდა. როდესაც ვინმე უსაყვედურებდა, რაღა ეს გიჟი ან ყველას მაგინებელი ვიგინდარა მიიღე სამსახურშიო, მშვიდად და კეთილი ღიმილით პასუხობდა, მე ვესაუბრე და ნორმალური ადამიანიო, უბრალოდ ვერავინ უგებს. მოსაყვედურეც მაშინვე ხვდებოდა, რა დიდბუნებოვანი ადამიანი იყო რევი და რა მწირე თვითონ. ცნობილი გახდა ქალაქში თავისი კეთილშობილებითა და უანგარობით, მაგრამ რაც უფრო მეტს ლაპარაკობდნენ მასზე და აქებდნენ, მით უფრო თავმდაბალი და ენატკბილი ხდებოდა – სრულყოფილებას ხომ საზღვარი არა აქვს! გავიდა დრო და რევი გარდაიცვალა, გიჟებმა, ღრმა მოხუცებმა, მეამბოხეებმა, მსუბუქი ყოფაქცევის ქალებმა და დაბერებულმა მოხუცი ახალგაზრდებმა კი ერთმანეთი დახოცეს, იმიტომ რომ არ იყვნენ რევივით კეთილშობილნი და დიდბუნებოვანნი.

## Editorial - რედაქტორის თვალსაზრისი

### First War of the Century or a Chance to have Genuine Peace

by Irakli Zurab Kakabadze

There is absolutely no doubt that the day of September 11, 2001 will be remembered around the world as the one of the worst human nightmares alongside Hiroshima, Holocaust, Genocide and other atrocities committed by different human regimes or groups. There is also no doubt that this was a merciless, cowardly operation, carried out with unprecedented barbarity and with no regard for innocent human life. Our hearts and souls go out to the victims and their families and loved ones. The horror the world has faced watching the terrorist attack live on television is unimaginable. Many people did not believe this was real footage. I happened to be in the Georgian province of Samtskhe-Javakheti, populated with Georgians and Armenians. Everyone was talking about the attack on the World Trade Center. People there were shocked, and they could not believe that this horrible tragedy happened.

Sympathies of the entire world go to America. The homeland of freedom is suffering from a deep wound. And there are many questions regarding how and why this happened. How could the American Air Traffic System have missed identifying the suspicious activity of these four planes that carried out the attacks? People are also wondering what kind of experiences and what sort of rationale can create such bitterness in a person as to motivate them to become a suicide bomber and destroyer of lives of thousands of people?

There is no doubt that terrorists like Osama bin Laden must face justice in a universal court for taking so many innocent lives. In the short term we can work on neutralizing terrorist groups in general for some time, while developing long-term approaches to preventing terrorism in the world. The new dichotomy that is materializing is the North VS South confrontation. Rich vs poor, industrialized vs developing, multi-national corporations vs billions of starving citizens of the world. When the majority of the global population are living below the poverty level, religious fanatics are viewed as standing on much more stable ground. The World Trade Center, a proud symbol of modern capitalism has created mixed feelings. To many people it seemed like

a symbol of economic imperialism, as well as an unachievable dream. In the restaurant in the WTC, the cost of a pot of tea was the same as the monthly income of the working population in many developing countries, including Georgia. The Pentagon was also identified as a defender of the richest corporations who were seen as oppressing the working class majority. This situation is not about religion; nor is it about ethnicity. America could proudly say that there is less religious and ethnic discrimination in the US than in any other world country. Here, we are dealing with the problem of structural violence around the world, where billions of people are suffering from the lack of very basic human necessities. According to the UNDP data of 1998 there is about \$40 billion needed annually to deal with the most basic problems of the South, including malnutrition, lack of medical care and jobs. This amount of money is just a small part of the total revenue of many multi-national corporations, let alone illegal drug profit.

It is, of course, difficult to say what is a remedy from this disease. But one thing is clear: in the 21st century we need to find new ways to meet the basic human needs of the majority of the world's population. It is not impossible, there are ways to create a more humane and just global society. Free markets and democratic systems have the potential to bring happiness to majority of the people in the world. As great Thomas Jefferson wrote in the declaration of American Independence "Every man has the right for life, liberty and the pursuit of happiness". These days we shall say, every human being (and not just a man) in the world has this right to those fundamental sanctities of democratic society. More than 3 billion people should not be currently suffering from inadequate basic resources. To prevent further terrorist attacks, we need to address and resolve the severe imbalances in global resource distribution that currently exist, rather than demonize a religion, culture and/or nation.

President Bush has said that we are facing the first war of our new century. This is indeed, the first war of the 21st century, and we hope that this war is going to bring perpetrators to world justice. We also hope that this war will be waged against poverty, discrimination, deprivation, human suffering, imperialism, and neocolonialism. America is a great country, a country where civil liberties and civil rights are protected. Now we hope that America will lead the world in defending the civil rights of world citizens, so there will be less people who will feel inclined to join some wealthy fanatic or a self-declared violent Messiah.

Creating more opportunities for people in the so called third world, and giving them a chance to participate and engage in a true democratic process is the way out of the terrorist nightmare. The free market certainly could be a productive and even compassionate system, and this can happen when people compete with and against scarcity and poverty, instead of competing with each other. This also happens when we explore collaboration instead of domination. God has created all of us as equals, and all human beings are entitled to have a decent life. Now, when the world is becoming smaller and smaller, we need to take more and more responsibility for those millions of world citizens, who live and die in a horrible misery. We simply cannot ignore them anymore, since all of us are vulnerable to terrorism. And for creating this positive peace we need to work hard. It is not going to be easy, but it is possible.

Meanwhile we pray for those who have died, and extend our deepest compassion to their loved ones.

God bless America; we believe that justice will prevail.

სიყვარულის დოქტრინა სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში

ირაკლი კაკაბაძე



ბევრის წერა შეიძლება სიყვარულის დოქტრინის თეორიული მხარეების შესახებ. თუმცა, მე მინდა, კონკრეტულად გავჩერდე ერთ მეტად მნიშვნელოვან ასპექტზე. ეს არის ის, თუ რა პრაქტიკული მექანიზმები შეიძლება გამოინახოს იმ საშინელი სტრუქტურული ძალადობის გადასალახავად, რომელშიაც დღეს საქართველო არის მოქცეული სხვადასხვა სუბიექტური, თუ ობიექტური მიზეზის გამო.

პირველ რიგში აუცილებლად უნდა ითქვას, რომ საქართველოში ჯერ კიდევ საბჭოთა დროს ჩამოყალიბდა საოცარი სტრუქტურული უთანასწორობა სხვადასხვა კლასებს შორის. ეს ალბათ პარადოქსულია, მაგრამ საბჭოთა კავშირი ბევრად უფრო კლასობრივად შოვინისტური საზოგადოება იყო, ვიდრე განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნები. აქ, ღარიბი მოსახლეობის უფლებები არასდროს ყოფილა დაცული. პირიქით, ისინი ბევრად უფრო საშინლად იყვნენ ექსპლუატირებულნი, ვიდრე მუშები არიან კაპიტალისტურ ქვეყნებში. არ არსებობდა ნამდვილი პროფკავშირები. შედეგად მივიღეთ ნახევრად ბატონყმური და ნახევრად მონათმფლობელური სახელმწიფო, რომელსაც სახელად სოციალისტური ერქვა. საბჭოთა ნომენკლატურა მოდერნიზებულ ფეოდალურ კლასს წარმოადგენდა და მოსახლეობის 80 პროცენტი მაინც მონისა და ყმის მდგომარეობაში იმყოფებოდა. ამან წარმოშვა უდიდესი სოციალური ზღვარი და შუღლი მოსახლეობის სხვადასხვა კლასებს შორის. კლასობრივად შოვინისტური საზოგადოების არსებობა იყო ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, 90-იანი წლების დასაწყისში მომხდარი სოციალური კატაკლიზმებისა.

ამასთან ერთად საზოგადოებაში არ არსებობდა კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარების ინსტიტუტი. კონფლიქტების დარეგულირება ძირითადად ხდებოდა ან კორუმპირებული ნომენკლატურული კლასის მიერ, ან კიდევ უფრო კორუმპირებული, კრიმინალური, ეგრეთწოდებული კანონიერი ქურდების საშუალებით. ორივეს ინტერესებში შედიოდა ძირითადად საკუთარი მოსახლეობის ძარცვა-გლეჯა და იერარქიულ-ტოტალიტარული სისტემის გამყარება. როგორც კი მათ სისტემას საფრთხე დაემუქრა 1991 წელს, ყოფილი ცეკას მდივნები და კრიმინალები მყისვე ერთად დადგნენ საკუთარი წესრიგის დასაცავად. ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ საქართველოს პირველ ხელისუფლებას შეცდომები არ ჰქონდა. მაგრამ, ხელისუფლების ძალადობრივმა დამხობამ უარესი შედეგი მოგვიტანა. ამან გამოიწვია ქურდულ-კომუნისტური მენტალიტეტის აღზევება. ამ სინდრომიდან საქართველო დღემდე ვერ გამოვიდა.

მაინც რა გამოსავალს გვთავაზობს სიყვარულის დოქტრინა იმ პრობლემებიდან, რომლებზეც ახლა გვქონდა საუბარი?..

პირველ რიგში ვეხებით კლასობრივ საკითხს. კომუნისტურ-ფეოდალური წესწყობილება სოციალური განვითარების საშუალებას აძლევდა მოსახლეობის ძალიან პატარა პროცენტს. ახლა ჩვენს პოსტ-კომუნისტურ-ქურდულ გარემოში კი ეს უფრო აშკარად გამოჩნდა. მოსახლეობის ყველაზე მეტი 10 პროცენტს აქვს სოციალურად გასაძლისი პირობები. კარგად ცხოვრობენ მხოლოდ ყოფილი ცეკას მდივნები, კრიმინალები (სხვადასხვა ჯიშის ქურდები და მაფიოზები) და ოლიგარქები (ახალი ქართული მსხვილი ბურჟუაზია). დანარჩენი ადამიანების ეკონომიკური უფლებები ილახება. სოციალური განვითარების საშუალება არა აქვს პრაქტიკულად არავის. სოციალურ ეკონომიკური ლიბერალიზაცია, აუცილებელია ცხოვრების ნორმალიზაციისათვის. ნორმალური ცხოვრება ადამიანების უმრავლესობისათვის ხელმისაწვდომი უნდა გახდეს. ჩვენს დროში აუცილებელია იყოს სოციალური სამართალი, რომელიც საკუთრების ყველა ფორმას დაეყრდნობა. არა მხოლოდ კერძოს, არამედ სახელმწიფოს, საზოგადოებრივსა თუ კოოპერატიულს. ერთ-ერთი საკუთრების ფორმის გაფეტიშებას ყოველთვის ცუდ შედეგამდე მივყავართ. საზოგადოებრივი საწყისის წინ წამოწევა კი აუცილებელი პირობაა ნორმალური, სამოქალაქო საზოგადოების

დამკვიდრებისათვის. ამ შემთხვევაში მარტო მილტონ ფრიდმანისა და ჩიკაგოს ეკონომიკური სკოლის მიმდევრობას, ჩვენთვის კარგი იქნება რომ აგრეთვე გამოვიყენოთ სხვადასხვა ეკონომიკური სკოლების სწავლებებიც. ეს არის ლონდონის ეკონომიკური სკოლის და კეინსიანელების ეკონომიკური თეორიები, აგრეთვე სხვა ეკლექტური ეკონომიკური სწავლებები. მთავარი პრინციპი ის არის რომ ლიბერტარიანული თავისუფლება და პროგრესული, სოციალური თანასწორობა, ერთმანეთთან აუცილებლად ანტაგონისტურ ურთიერთობაში არ არის. სიყვარული და თავისუფლება ერთად არსებობენ, რაც არ უნდა ამტკიცონ ზედმეტად ეჭვიანმა ქმრებმა, რომ ეს ასე არის, ამის მიღწევა სოციალურ სფეროში ნამდვილად შესაძლებელია. სხვათა შორის, თავადი ილია ჭავჭავაძის მიერ წარმოდგენილი ქართული საზოგადოება, სწორედ ასეთ მოდელს უნდა დაყრდნობოდა.

მეორე, ძირითადი პოსტულატი, რომელიც ასაზრდოებს ჩვენს ფეოდალურ-ოლიგარქიულ სისტემას, არის ის უკმარისობის პანიკური შიში, რომელიც გააჩნიათ ცეკას მდივნებსა და კრიმინალებს. ამ უკმარისობის მწვავე შეგრძნების გამო, საზოგადოებაში გამეფებულია დიდი ძრწოლა უკმარისობის წინაშე და ჰეგელის სინარბე. ქონებისა და ძალაუფლების დატაცება სხვის ხარჯზე. ეს ყველანაირად არაჰუმანური და არაქრისტიანული პრინციპი საზოგადოებას კატასტროფის პირას აყენებს. რაც არ უნდა სიუხვე იყოს ქვეყანაში, სანამ ასეთი პრინციპები ბატონობს, მანამ არ შეიძლება გვექონდეს მშვიდობა. მონას და მონათმფლობელს შორის არასდროს იქნება ნამდვილი მშვიდობა. ამ პრობლემის გადაჭრა შესაძლებელია მხოლოდ იმ გზით თუ ჩვენ გავაცნობიერებთ, რომ რესურსებისა და ძალაუფლების გაყოფა ყოველთვის შესაძლებელია. მით უმეტეს ისეთ პატარა ქვეყანაში, როგორც საქართველოა. გასაყოფი აქ არაფერია და პატარა ქვეყანაში სიუხვე ბევრად ადვილი მისაღწევია, ვიდრე ისეთ ქვეყნებში, როგორცაა ინდოეთი და ჩინეთი. და თუ ჩინელებმა შესძლეს ის, რომ ეკონომიკური სიღატაკე მათთვის ისეთი დიდი პრობლემა არ არის, როგორც პოლიტიკური დესპოტია, მაშინ ჩვენთან ყველანაირი ასეთი პრობლემის გადაჭრა შეიძლება.

## **The Statement of the ICCN**

### **About the Terrorist Attack on the United States of America on September 11, 2001**

Was Huntington right in the end? Are we facing the danger of global civilizational wars in the 21st century?

How is it possible that someone who is embittered about his people's suffering and oppression could feel that the response would be to hurt other people? The whole of mankind is divided civilizationally into those who accept this solution, and those who deny it. How can the blood of thousands of people whose only fault is that they are Americans or happen to be in America, be taken in exchange for the suffering of other people in other places in the world? How can anyone in the world consciously join in this well orchestrated celebration of Evil? Is it not the time for humankind to ask this final question of survival?

We feel as being unquestionably on the side of those who have already answered this latter question for themselves. Now we need to put aside all the differences, ambitions, stereotypes and negative perceptions, and express one whole spirit in favor of life, justice and democracy. It's time to realize that anyone who accepts the idea of terrorism as a solution to problems, contributes to its materialization.

We should not indulge in the danger of temptation to identify the Villain as Arabs or Muslims or Middle Easterners. The Villains are just sick persons with money; faceless cowards, who are no

less dangerous as that. Now faceless, or rather UFO (unidentified faceless objects), they need to be identified and punished. But the evil should be identified and dealt with within ourselves, as to witness evil and not act, is also evil.

People, let us all regret that we have allowed this to happen.

---

**ჟურნალში გამოთქმული მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს რედკოლეგიის ან კონფლიქტოლოგიის ცენტრის პოზიციას**

**The Peace Times Published by: International Center on Conflict and Negotiation  
Supported by: Cordaid**

დრო მშვიდობისა გამოიცემა კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის მიერ ჰოლანდიური ფონდის „ქორდეი“-ის ფინანსური მხარდაჭერით

რედაქტორი: ირაკლი კაკაბაძე

რედაქტორის მოადგილე: ლელა ცისკარიშვილი

სარედაქციო კოლეგია: დალი ბერეკაშვილი, გიგა ბოკერია, ლაშა ბუღაძე, გიორგი

მარგველაშვილი, რუსიკო მშვიდლობაძე, გაგა ნიჟარაძე, გიო სუმბაძე, დათო ტურაშვილი,

გიორგი ხუციშვილი

დიზაინი: GOSLAB

განსაკუთრებული მადლობა: ნანა მელიწკაურს და ცისანა ოდიშარას

**ISBN: 99928-824-3-3**

მისამართი: ივ. მაჩაბლის 5, 1 სართული, თბილისი 380007, საქართველო

საფოსტო მისამართი: საფოსტო ყუთი 38, თბილისი 380079, საქართველო

ტელეფონები: 99-99-87, 93-91-78

ფაქსი: 93-91-78

E-mail: [confpro@access.sanet.ge](mailto:confpro@access.sanet.ge)

<http://iccn.tripod.com>

© 2001 by ICCN